



ელექტრონული
ბიბლიოთეკა







# დროშა

აპრილი
№ 4 1977 წ.



# სსრ კავშირის პროფკავშირების XVI ყრილობა

მოსკოვი. 21 მარტს კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიხსნა სსრ კავშირის პროფესიულ კავშირების XVI ყრილობა. ყრილობაზე ვრცელი, ღრმაშინაარსიანი სიტყვით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი. ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა საზეიმო ვითარებაში ოქტომბრის რევოლუციის ორდენი მიაბნია საკავშირო პროფსაბჭოს დროშას. ამ ორდენით სსრ კავშირის პროფკავშირები დაჯილდოვდა რევოლუციურ მოძრაობასა და დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციაში, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაში დიდი დამსახურებისათვის, მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში აქტიური მონაწილეობისათვის.

**სურათზე:** სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი ოქტომბრის რევოლუციის ორდენს მიაბნევს საკავშირო პროფსაბჭოს დროშას.

საქდესი — საქინფორმის ტელეფოტო.

---

## გამარჯვებულთა დიდი ზეიმი

17 მარტს გაიმართა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა კრება, რომელიც მიეძღვნა საქართველოს სს რესპუბლიკისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემას.

სურათზე: გარდამავალი წითელი დროშის გადაცემა.
ო. თურქიას, გ. კიკვიძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



ეროვნული ბიბლიოთეკა

# აპრილის თეზისები

რუსეთის პროლეტარიატის ხანგრძლივი ბრძოლა 1917 წლის თებერვალში ცარიზმის დამხობითა და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებით დამთავრდა. მთელი რიგი ობიექტური მიზეზების გამო, ამ რევოლუციამ მეტად თავისებურად და წინააღმდეგობრივად გადაწყვიტა ძირითადი საკითხი — სახელმწიფო ხელისუფლების საკითხი. ქვეყანაში დამყარდა ორხელისუფლებიანობა: ბურჟუაზიის დიქტატურა — ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის სახით და პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა — მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სახით, სადაც უმრავლესობა ესერ-მენშევიკებს ეკუთვნოდათ.

ისტორიაში ასეთი იშვიათი მდგომარეობა — ორხელისუფლებიანობა ბოლშევიკებისაგან მოითხოვდა ახალ ორიენტირებას, ახალ სტრატეგიულ გეგმას, ტაქტიკური მოქმედების ახალ ხერხებს და ახალ ლოზუნგებს. მაგრამ ყველა ეს გიგანტური ამოცანა ერთბაშად როდი გახდა ნათელი პარტიის ყველა წევრისა და ორგანიზაციისათვის. ახალი ორიენტირების, ახალი პოლიტიკური ხაზის გამომუშავებისას პარტიის მთელ რიგ თვალსაჩინო მოღვაწეებს შორის ადგილი ჰქონდა უთანხმოებას, მერყეობასა და შეცდომებს. მწვავედ იგრძნობოდა ბოლშევიკური პარტიის ბელადისა და მასწავლებლის ვ. ი. ლენინის რუსეთში ყოფნის აუცილებლობა.

ვ. ი. ლენინს რევოლუციამ შვეიცარიაში მოუსწრო. მან მაშინვე სცადა რუსეთში დაბრუნება, მაგრამ მხოლოდ 26 მარტს შეძლო გამომგზავრება. შვეიცარიიდან ერთდროულად გამოემგზავრა 32 რუსი პოლიტიკური ემიგრანტი, რომელთა შორის 19 ბოლშევიკი, 6 ბუნდელი და 7 სხვა პარტიებისა და ჯგუფების წარმომადგენლები იყვნენ. ამ ცხრამეტ ბოლშევიკს შორის ორი ჩვენი თანამემამულე იყო — გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე მიხა ცხაკაია და მწერალი დავით სულიაშვილი.

ცნობას რევოლუციის ბელადის ჩამოსვლის შესახებ აღტაცებით შეხვდა პეტროგრადის პროლეტარიატი. სადგურ ბელოოსტროვში მუშათა დელეგაციასთან ერთად ლენინს შეხვდა ი. ბ. სტალინი. ფინეთის ვაგზლისაკენ კი, სადაც ლენინი უნდა ჩამოსულიყო, დედაქალაქის ყოველი კუთხიდან მძლავრი დემონსტრაციები გაემართნენ.

3 აპრილის საღამოს ვ. ი. ლენინთან შესახვედრად მენშევიკთა ლიდერებიც მოვიდნენ. როდესაც ლენინი ფინეთის ვაგზლის ე. წ. სამეფო დარბაზში შევიდა, მას იქ პეტროგრადის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის დელეგაცია შეხვდა. გამოჩენილმა მენშევიკმა ნ. ჩხეიძემ დაიწყო „მისასალმებელი სიტყვა“, რომელშიც ფარისევლურად განაცხადა, რომ რევოლუციის დაცვის საჭიროება მოითხოვს დემოკრატიის რიგების შემჭიდროებას და იმედი გამოთქვა, რომ ანალოგიურ მიზნებს დაისახავენ ბოლშევიკებიც.

ვ. ი. ლენინმა ზურგი შეაქცია მენშევიკებს და გაემართა ვაგზლის კიბისაკენ, სადაც მას „ურას“ ძახილით შეეგება ათასობით ადამიანი. ამაღელვებლად გადმოგვცემს ამ ეპიზოდს მწერალი დავით სულიაშვილი თავის მოგონებებში „შეხვედრები ვ. ი. ლენინთან ემიგრაციაში“: „აღფრთოვანებულმა მუშებმა... ხელში აიტაცეს ლენინი და სადგურის დარბაზიდან პროჟექტორით განათებულ ქუჩაში გაიყვანეს.

აქ მას უცდიდა უამრავი ხალხი. უცდიდა ჯავშნიანი ავტომობილი. ლენინი ავტომობილზე ავიდა და იქიდან მიმართა შესახვედრად მოსულთ.

ამ სიტყვაში მან მიულოცა მათ რევოლუციის დაწყება და მოუწოდა რევოლუციის დაცვისაკენ და მის საბოლოო გამარჯვებისაკენ. როცა სიტყვა დაამთავრა — „ვაშას“ ძახილსა და ტაშს არ ჰქონდა დასასრული“.

4 აპრილს დილით ლენინმა ბოლშევიკური პარტიის პარტიულ მუშაკთა თათბირზე, საღამოს კი მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად-რუსეთის თათბირის ბოლშევიკი და მენშევიკი დელეგატების კრებაზე წაიკითხა მოხსენება „პროლეტარიატის ამოცანები ამ რევოლუციაში“, რომელიც ისტორიაში შევიდა „აპრილის თეზისების“ სახელწოდებით. აქ ლენინმა წამოაყენა უდიდესი დამრაზმველი ძალის სტრატეგიული და ტაქტიკური ლოზუნგები და ამით პარტია და მუშათა კლასი შეაიარაღა სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლის კონკრეტული გეგმით.

ვ. ი. ლენინმა აპრილის თეზისებში განაზოგადა ბოლშევიკური პარტიის მთელი რევოლუციური გამოცდილება და დასახა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის, ახალ პირობებში მისი მოქმედების მკაფიო პროგრამა.

როგორც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევმა, „აპრილის თეზისები, რომლებმაც მკაფიოდ დასახეს სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლის პერსპექტივა, — ეს არის არა მარტო გარდამტეხი მნიშვნელობის მოვლენა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ისტორიაში, არამედ ახალი ნაბიჯიც მთლიანად რევოლუციის მარქსისტული თეორიის განვითარებაში“.

აპრილის თეზისები წარმოადგენს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურში გადაზრდის ლენინური თეორიისა და თავდაპირველად ერთ, ცალკე აღებულ, ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ მისი დასკვნის შემდგომ განვითარებას. თეზისებმა პარტია და მუშათა კლასი შეაიარაღა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურში გადაზრდის ნათელი, დამთავრებული და მკაფიო გეგმით.

ვ. ი. ლენინის ყველა თეზისის გასაღებს წარმოადგენს მისი მეორე თეზისი, რომელშიც ნათქვამია, რომ „რუსეთის მიმდინარე მომენტის თავისებურება მდგომარეობს რევოლუციის პირველი ეტაპიდან, რომელმაც პროლეტარიატის არასაკმარისი შეგნებულობისა და დარაზმულობის გამო ძალაუფლება ბურჟუაზიას მისცა, მეორე ეტაპზე გადასვლაში, რომელმაც ძალაუფლება უნდა გადასცეს პროლეტარიატს და გლეხობის ღარიბეს ფენებს“.

ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში პროლეტარიატი მიდიოდა მთელ გლეხობასთან ერთად მასებისაგან ლიბერალური ბურჟუაზიის იზოლაციის პირობებში. ხოლო სოციალისტური რევოლუციის მოხდენა რუსეთის პროლეტარიატს შეეძლო მხოლოდ ღარიბეს გლეხობასთან კავშირში, საშუალო გლეხის ნეიტრალიზაციის პირობებში. ნეიტრალიზაციის პოლიტიკა გამომდინარეობდა საშუალო გლეხის ორმაგი ბუნების გათვალისწინებიდან, რომელიც ერთდროულად მესაკუთრეც არის და მშრომელიც. ეს პოლიტიკა მდგომარეობდა იმაში, რომ ჩამოგვეცილებინა საშუალო გლეხი კულაკისა და შემთანხმებლური პარტიებისაგან, შემდეგ კი მიგვეზიდა იგი პროლეტარიატის მხარეზე.

დააყენა რა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლის ამოცანა, ვ. ი. ლენინმა გენიალურად გადა-



ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი „ისკრის“ პერიოდში.

მოქანდაკე ი. ნ ი კ ო ლ ა ძ ე.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 4 (484) აპრილი, 1977 წ.

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა


© „დროშა“, 1977.


მთავარი რედაქტორი
რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა გახტაძე, თენგიზ გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ დემეტრაშვილი, გურამ დოჩანაშვილი, სერგო დურმიშიძე, დინარა ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღუა, უჩა ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი დავით სეფიაშვილი

კორექტორი ქეთევან წერეთელი



ვ. ი. ლენინის ჩამოსვლა პეტროგრადში, 1917 წ. 3 აპრილი. მხატვარი კ. აქსიონოვი.

წყვიტა სახელმწიფო ხელისუფლების ახალი ფორმის საკითხი.

პარიზის კომუნისა და რუსეთის ორი რევოლუციის გამოცდილების შესწავლისა და განზოგადების საფუძველზე ვ. ი. ლენინი მივიდა დასკვნამდე, რომ საბჭოები, რომლებიც პირველად 1905 წელს აღმოცენდნენ და შემდეგ ახალი ძალით აღორძინდნენ 1917 წლის თებერვალში — ეს არის სახელმწიფოს ახალი ტიპი და საბჭოების რესპუბლიკა წარმოადგენს პარიზის კომუნის შემდეგ სოციალისტური რევოლუციის, პროლეტარიატის დიქტატურის მეორე მსოფლიო-ისტორიულ ნაბიჯს.

„პარლამენტური რესპუბლიკა კი არა, — მუშათა დეპუტატების საბჭოების შემდეგ ამ რესპუბლიკისაკენ დაბრუნება ნაბიჯის უკან გადადგმა იქნებოდა, — არამედ მუშათა, მოჯამაგირეთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების რესპუბლიკა მთელ ჩვენს ქვეყანაში, თავიდან ბოლომდე“. ვ. ი. ლენინის ეს დასკვნა წარმოადგენს უდიდეს მეცნიერულ აღმოჩენას, ახალ ისტორიულ პირობებში კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს შესახებ მარქსისტული მოძღვრების შემდგომ განვითარებას.

ვ .ი. ლენინი ჯერ კიდევ 1905 წელს მიუთითებდა, რომ საბჭოები წარმოადგენენ აჯანყების ორგანოებს რევოლუციური ხელისუფლების ორგანოებად მათი შემდგომი გადაქცევით. აპრილის თეზისებსა და მთელ რიგ შემდგომ შრომებში ვ. ი. ლენინმა თეორიულად დაასაბუთა, რომ საბჭოები წარმოადგენენ დემოკრატიის ახალ, უმაღლეს ფორმას. საბჭოები თვით მასებმა შექმნეს და ისინი გადაიქცნენ კლასობრივი დიქტატურის ნიმუშად, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელი გახდა კონტრრევოლუციის და ინტერვენციის ყველა ძალის დამსხვრევა, სამეურნეო ნგრევის ლიკვიდაცია, მშრომელთა ფართო მასების ამაღლება თანამედროვე კულტურის დონეზე, სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვების მიღწევა.

ვ. ი. ლენინი, აღმოაჩინა რა საბჭოების რესპუბლიკა როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ყველაზე მიზანშეწონილი ფორმა, არ თვლიდა საბჭოებს მის ერთადერთ ფორმად.

ვ. ი. ლენინმა აპრილის თეზისებში წამოაყენა ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“, როგორც მთავარი პოლიტიკური ლოზუნგი, რაც გულისხმობდა ორხელისუფლებიანობის ლიკვიდაციასა და საბჭოების ერთხელისუფლებიანობის დამყარებას.

ამ ლოზუნგის წამოყენებით ლენინი არ მოუწოდებდა მუშათა კლასს დაუყოვნებლივ დაემხო დროებითი მთავრობა, რომელიც სარგებლობდა საბჭოების ნდობითა და მხარდაჭერით. ეს იყო რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების გზა.

ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“ მაშინ ნიშნავდა მთელი ძალაუფლების თავმოყრას საბჭოების ხელში, სადაც უმრავლესობა მენშევიკებსა და ესერებს ეკუთვნოდათ, აგრეთვე მთავრობის შექმნას ესერ-მენშევიკებისაგან. ეს მთავ-

# ლენინი შაბათობაზე

კაცობრიობის ისტორიის ნათელ დღედ იქცა 1870 წლის 22 აპრილი — გენიალური მოაზროვნისა და რევოლუციონერის, კომუნისტური პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების დღე.

ადამიანები სიყვარულით იგონებენ დაუვიწყარ ფურცლებს ბელადის ცხოვრებიდან. ერთ-ერთი ასეთი დაუვიწყარი ფურცელია ცნობილი კომუნისტური შაბათობა კრემლში.

ძნელი დრო იყო, ყველაფერს აჩნდა ომის ნგრევის ნაკვალევი. ჩვენს ქვეყანას სწრაფად უხდებოდა თავისი გაჩანაგებული მეურნეობის აღდგენა. სწორედ ამ დროს მიიღო დასაბამი დიდმა სახალხო საქმემ: საბჭოთა ადამიანებმა ერთსულოვნად დაიწყეს შეკრება არა სამუშაო დროს, რათა ყოველგვარი ფულადი ანაზღაურების გარეშე, თავდადებით ეშრომათ და თავიანთი წვლილი შეეტანათ ქვეყნის სიძლიერის განმტკიცებაში.

ეს უკვდავი საქმე პირველად წამოიწყეს მოსკოვ-ყაზანის რკინიგზის კომუნისტმა მუშებმა 1919 წლის 10 მაისს.

ისინი ნებაყოფლობით, საკუთარი სურვილით შეუდგნენ ე. წ. „ორთქლმავლების სასაფლაოს“ გადახარისხებას; არჩევდნენ გამოსადეგ ნაწილებს, ცლიდნენ ქვანახშირითა და შეშით დატვირთულ მატარებლებს... ამგვარ ნებაყოფლობით სამუშაოს ისინი ასრულებდნენ სამუშაო დღეების ბოლოს შაბათობით. ამიტომ იმ დღეებს, როცა საბჭოთა ადამიანები ამგვარი სამუშაოებისათვის იკრიბებოდნენ, შაბათობები ეწოდა.

მოსკოვ-ყაზანის რკინიგზელთა შესანიშნავი მაგალითისამებრ შაბათობების ჩატარება მალე დაიწყეს სხვა რკინიგზების, ქარხნებისა და ფაბრიკების მუშებმაც.

1920 წლის პირველ მაისს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით გამოცხადდა სრულიად რუსეთის პირველი შაბათობა.

ამ დაუვიწყარ, საზეიმო დღეს მუშაობდნენ ყველგან: დაწყებული კრემლითა და დამთავრებული მუშათა დასახლებით შორეულ ციმბირში...

მუშები, მოსამსახურეები, კრემლის სატყვიამფრქვევო კურსების ახალგაზრდა კურსანტები და მეთაურები იმ დღეს გამოვიდნენ და დაეწყვნენ მოედანზე სახალხო კომისართა საბჭოს შენობის პირდაპირ.

კრემლის მოედანზე, შაბათობაში მონაწილეობის მისაღებად მოდიოდა ადამიანთა ახალი ჯგუფები. როცა სპასკის კოშკზე საათი ცხრას უახლოვდებოდა, ერთმა კურსანტმა აღელვებით წამოიძახა:

— ლენინი!.. მართლა ლენინი!..

თავზე კეპით, ძველ კოსტუმში გამოწყობილი ვლადიმერ ილიას-ძე მიუახლოვდა კომისარს, მხრები მორიდებულად აიწურა და თქვა:

— უკაცრავად, მგონი დავიგვიანე?

— არა, ვლადიმერ ილიას-ძევ, დროზე მობრძანდით.

— მაშინ ნება მომეცით, მწყობრში ჩავდგე.

ახლა კომისარი შეცბა.

— ვლადიმერ ილიას-ძევ, მწყობრში სამხედროები დგანან, თქვენ კი სამოქალაქო პირი ბრძანდებით.

— მართლაც, — გაიცინა ილიჩმა, — როგორ მოვიქცე?

— ყველაფერი ძალიან მარტივად ეწყობა, ვლადიმერ ილიას-ძევ, — გამოვიდა მდგომარეობიდან კომისარი, — თქვენ ხომ რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე გემორჩილებათ?

— მემორჩილება.

— ესე იგი, თქვენ უმაღლესი სამხედრო და სამოქალაქო პირი ხართ რესპუბლიკაში. დადექით, ამხანაგო სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარევ, პირველ ფლანგზე.

ვლადიმერ ილიას-ძე კურსანტების გვერდით დადგა, ხოლო კომისარმა გამოაცხადა:

— ამხანაგო კურსანტებო, შაბათობაზე მოვიდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი!

ამ დროს გაისმა კრემლის კურანტების ზარი, რომელსაც მოჰყვა ქვემეხის სამი გასროლა — სრულიად რუსეთის პირველი შაბათობის დაწყების ნიშანი.

ყველა ფეხშეწყობით, მუსიკის თანხლებით გაემართა კრემლისაკენ, იმ ადგილას, სადაც დაყრილი იყო ხის მორები, ქვები, ფიცრები, სხვადასხვა ნაგავი. იქვე ეყარა დამტვრეული ოთხთვალები. მიწა მოფენილი იყო ქვემეხების ჭურვებისაგან ამოთხრილი ორმოებით. ყველაფერი ეს დარჩა თეთრგვარდიელებთან ბრძოლის შემდეგ — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დროს.

რობა იქნებოდა მასების უშუალო გავლენაში, მაგრამ ესერების და მენშევიკების პარტიების ნამდვილი კლასობრივი არსი არ შეიცვლებოდა. ამიტომ ისინი იძულებულნი იქნებოდნენ, ამჯერად აშკარად, განეგრძოთ თავიანთი გამცემლური დამოკიდებულება მუშათა კლასის ინტერესებისადმი და თვითონვე ემხილებინათ საკუთარი თავი.

ხელისუფლებისაგან ბურჟუაზიის ჩამოშორება და ძალაუფლების გადასვლა საბჭოების ხელში შექმნიდა პროლეტარიატის დიქტატურისათვის მშვიდობიანი ბრძოლის შესაძლებლობას. ეს ბრძოლა წარიმართებოდა როგორც კლასებისა და პარტიების ბრძოლა საბჭოების შიგნით. საბჭოების ერთხელისუფლებიანობის პირობებში ბოლშევიკების პარტია მასებსა და საბჭოებში ჩაატარებდა აგიტაციას მთავრობის მიერ რევოლუციის ძირითადი საკითხების დაუყოვნებლივ გადაწყვეტის შესახებ, ამხელდა ესერებისა და მენშევიკების მიერ მუშათა კლასისა და ულარიბესი გლეხობის ინტერესების შესაბამისად მათი გადაწყვეტის უუნარობას. ბოლშევიკთა ახსნა-განმარტებითი მუშაობისა და საკუთარი გამოცდილების გავლენით მშრომელი მასები საქმით დარწმუნდებოდნენ ესერ-მენშევიკების გამყიდველობაში, გამოიწვევდნენ მათ საბჭოებიდან და შეცვლიდნენ თავიანთი ინტერესების ბუნებრივი დამცველების — ბოლშევიკური პარტიის წარმომადგენლებით. ასეთი საბჭოები შეძლებდნენ უზრუნველეყოთ რევოლუციის შემდგომი განვითარება, მისი გადაზრდა სოციალისტურში. ამრიგად, ერთი ხელისუფლების შეცვლა მეორით მოხდებოდა საბჭოების შიგნით მშვიდობიანი ბრძოლით. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის პროცესი დამთავრდებოდა მშვიდობიანი გზით.

აანალიზებდა რა მდგომარეობას, რომელიც უზრუნველყოფდა რევოლუციის მშვიდობიან განვითარებას, ვ. ი. ლენინი ამავე დროს აღნიშნავდა, რომ მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობა წარმოადგენს „ისტორიაში მეტად იშვიათ და მეტად დასაფასებელ“ შემთხვევას. თანამედროვე პირობებში, გაითვალისწინეს რა ის კონკრეტული ცვლილებები, რომლებიც მსოფლიოში მოხდა სოციალიზმის ძალების სასარგებლოდ და კაპიტალიზმის ძალების საზიანოდ, ჩვენმა პარტიამ და მსოფლიო კომუნისტურმა მოძრაობამ გააკეთეს დასკვნა სოციალიზმზე მშვიდობიანი გადასვლის შესაძლებლობის გაფართოების შესახებ. აპრილის თეზისებში ლოზუნგთან „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“ უშუალო კავშირში წამოყენებული იქნა ლოზუნგი „არავითარი მხარდაჭერა დროებით მთავრობას!“

რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების მიზანდასახულობასთან უშუალო კავშირში აპრილის თეზისებმა დააყენეს ომის საკითხი. ომი, რომელსაც დროებითი მთავრობა აგრძელებდა, რჩებოდა მძარცველურ, იმპერიალისტურ და უსამართლო ომად. ლენინი მიუთითებდა, რომ ომის შეწყვეტისათვის საჭირო იყო ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის განხორციელება, ხოლო ამისათვის ბოლშევიკებს თავის მხარეზე უნდა გადმოეყვანათ მასები, პარტიის ლოზუნგი უნდა გაეხადათ მუშების, ჯარისკაცების, გლეხთა მასების ლოზუნგად. რევოლუციის მეორე ეტაპზე გადასვლის ლენინური სტრატეგიული გეგმის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია მის მიერ აპრილის თეზისებში წამოყენებული ეკონომიური ღონისძიებების პროგრამა: ქვეყნის ყველა ბანკის დაუყოვნებლივ გაერთიანების შედეგად ერთი საერთო-ნაციონალური ბანკის შექმნა და მის მუშაობაზე მუშათა დეპუტატების საბჭოების კონტროლის დაწესება, აგრეთვე მემამულეთა მიწების კონფისკაცია და ქვეყნის მთელი მიწის ნაციონალიზაცია. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობის იყო მოთხოვნა გადასვლისა „პროდუქტების საზოგადოებრივი წარმოებისა და განაწილების კონტროლზე მუშათა დეპუტატების საბჭოების მხრივ“.

ვ. ი. ლენინმა აპრილის თეზისებში დააყენა რიგი საკითხებისა, რომელთა შორისაც იყო პარტიის განმტკიცება, მისი ბრძოლისუნარიანობის ამაღლება, რევოლუციაში მისი ხელმძღვანელი როლის გაძლიერება. ასეთი საკითხებია: პარტიის ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევა, პარტიის პროგრამის შეცვლა და პარტიის სახელწოდების გამოცვლა. ლაპარაკობდა რა პარტიის საერთაშორისო ამოცანებზე, ვ. ი. ლენინმა მოითხოვა III კომუნისტური ინტერნაციონალის შექმნა.

აპრილის თეზისების მთავარი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან პარტიას მისცა ახალი ორიენტირება, მეცნიერულად დასაბუთებული, კონკრეტული გეგმა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლისა.

ბოლშევიკურმა პარტიამ აპრილის თეზისები მიიღო როგორც თავისი საბრძოლო პროგრამა. მხოლოდ პარტიის ცალკეული წევრები (კამენევი, რიკოვი, პიატაკოვი) გამოვიდნენ ვ. ი. ლენინის აპრილის თეზისების წინააღმდეგ.

ვ. ი. ლენინის აპრილის თეზისებმა, როგორც მძლავრმა პროჟექტორმა, გაუნათა მუშათა კლასს გზა სოციალისტური რევოლუციისაკენ, მის გარშემო მძლავრად შემჭიდროვდა მთელი პარტია.

**შოთა აფრიდონიძე**

---

საჭირო იყო ერთი დღის განმავლობაში გაწმენდილიყო და მოწესრიგებულიყო ყველაფერი.

ჯერ ხის მორების ზიდვას შეუდგნენ. თითოეული მორი ორ-ორს, ზოგჯერ კი, თუ მორი ძალიან დიდი იყო, ოთხ-ოთხ კაცს უნდა წაელო. შაბათობაზე ვლადიმერ ილიას-ძესთან ერთად მუშაობდა კურსების კომისარი ილია ბორისოვი. იგი სულ ცდილობდა წვრილი ბოლოთი მიეწოდებინა მორი ლენინისათვის, ხოლო თვითონ ეჭიდებოდა მსხვილს, უფრო მძიმეს. მაგრამ ვლადიმერ ილიას-ძემ მაშინვე შენიშნა ეს და თვითონ პირველმა დაიწყო მორების აწევა.

კომისარმა ახაკი მოიმიზეზა და თქვა: „თქვენ ორმოცდაათისა ხართ, მე კი ოცდარვის“. „ასეთ შემთხვევაში, უფროსებს უნდა დაუჯეროთ“. — გაეღიმა ილიჩს.

იყო ასეთი შემთხვევაც: ერთმა კურსანტმა მხარზე გაიდო მძიმე მორი, მაგრამ მარტომ ვერ ზიდა. ვლადიმერ ილიას-ძემ შეამჩნია ეს და მორის მეორე ბოლოს მოჰკიდა ხელი.

კურსანტი მობრუნდა, ეგონა, რომ რომელიღაც თანაკურსელი ეხმარებოდა. ვლადიმერ ილიას-ძე რომ დაინახა, მოულოდნელობისაგან შეცბა, ლენინმა კი ჰკითხა: „რაო, ახლა ხომ უფრო ადვილია?“ „ზუსტად ასეა“, — მიუგო კურსანტმა. „აი, ხომ ხედავთ, — დაამთავრა აზრი ილიჩმა, — რაც ერთს უჭირს, ის ორს, კოლექტივს ეადვილება“.

შაბათობის ერთერთმა მონაწილემ, რომელიც ლენინთან ერთად ზიდავდა ფიცრებს, თქვა, რომ ურიგო არ იქნება თუ სამახსოვრო სურათს გადავიღებთო. ამაზე ვლადიმერ ილიას-ძემ კატეგორიული უარი განაცხადა და დასძინა, რომ ჩვენ აქ სამუშაოდ მოვედით და არა ამის სადემონსტრაციოდო; მაგრამ კრემლის სატყვიამფრქვევე კურსების ერთმა მოყვარულმა ფოტოგრაფმა როგორღაც მოახერხა და გადაუღო სურათი ვლადიმერ ილიას-ძეს, რომელსაც კურსანტების ჯგუფთან ერთად მორი მიჰქონდა.

შესვენების დროს ლენინი შაბათობის მონაწილეებს უამბობდა სრულიად რუსეთის საპირველმაისო შაბათობის დიდი მნიშვნელობის შესახებ.

რევოლუციის ბელადი ჩქარობდა; შესვენების შემდეგ ცდილობდა კიდევ უფრო სწრაფად ემუშავა, მაგრამ შაბათობის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე მაინც მოუხდა წასვლა: ილიჩს კარლ მარქსის ძეგლის საძირკვლის ჩაყრაზე ელოდნენ.

მოედანზე სამუშაო ბევრი არ დარჩენილა.

საათის ისრები პირველის ნახევარს უჩვენებდა. ამგვარად, შაბათობაზე ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა რამდენიმე საათი იმუშავა.

ბევრ ადგილას მოახერხა ყოფნა დიდმა ბელადმა პირველი შაბათობის შემდეგ. იგი გამოვიდა სიტყვით კარლ მარქსის ძეგლის საძირკვლის ჩაყრაზე თეატრალურ მოედანზე (ახლა ი. სვერდლოვის სახელობის მოედანი); ამის შემდეგ ლენინი გამოვიდა სიტყვით განთავისუფლებული შრომის ძეგლის საძირკვლის ჩაყრაზე; ინახულა მომავალი ძეგლის ესკიზთა გამოფენა კაზმული ხელოვნების მუზეუმში (ახლა ა. პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმი); მოგვიანებით ვლადიმერ ილიას-ძე გამოვიდა სიტყვებით მიტინგებზე: ზამოსკვორეჩიეს და ბაუმანის რაიონებში, ზაგორსკის სახელობის მუშათა სახახლის გახსნაზე ბლაგუშე-ლეფორტის რაიონში, მეროხოროვის მანუფაქტურის მუშათა მიტინგზე კრასნაია პრესნაიას რაიონში.

მეორე დღეს, 2 მაისს გაზეთ „პერვომაისკიი სუბბოტნიკში“ დაიბეჭდა ლენინის სტატია „მოსკოვ-ყაზანის რკინიგზის პირველი შაბათობიდან სრულიად რუსეთის შაბათობა-მაისობამდე“.

ადამიანები არასოდეს არ დაივიწყებენ კომუნისტურ შაბათობას კრემლში.

დღეს ადამიანები ხედავენ, თუ როგორ სულ უფრო მძლავრად კაშკაშებს დიდი ლენინის მიერ დანთებული სოციალიზმის ჩირაღდანი.

**ფილიპე მახარაძე,**

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორი.



ვ. ი. ლენინი.
შაბათობაზე კრემლში.
მხატვარი მ. სოკოლოვი.





თარხან არჩვაძის ფოტო

მარცხნიდან: პარტიის ქარელის რაიკომის ინსტრუქტორი ი. სვანიძე, კოლმეურნეობის ეკონომისტი ბ. გელუტაშვილი და სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ბ. მახაჭაშვილი.

დავით ქათამაძე

# ფრონისხეობელთა სიტყვა და საქმე

— მეათე ხუთწლედი ჩვენთვის ძნელი ხუთწლედი იქნება. სახალხო მეურნეობის განმსაზღვრელ დარგებში რესპუბლიკა ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩება საშუალო საკავშირო მაჩვენებლებს.

სკკპ XXV ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან საბჭოთა საქართველოს შესახებ ნათქვამი ეს სიტყვები დაედო საფუძვლად რესპუბლიკის მშრომელთა კეთილშობილურ მისწრაფებას — საკავშირო მასშტაბით მოწინავეთა პოზიციებზე გასვლას.

ქარელის რაიონის სოფელ ფრონისხეობის კოლმეურნეობის წევრებმა სახახელო თაოსნობა გამოიჩინეს. მათ გაზეთ „სოფლის ცხოვრების" საშუალებით საბჭოთა საქართველოს სოფლის მშრომელებს მიმართეს მოწოდებით — გადავაქციოთ მეათე ხუთწლედი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის საბოლოოდ დაძლევის ხუთწლედად!

ამ თაოსნობამ მაშინვე ფართო მხარდაჭერა ჰპოვა. იგი განსაკუთრებით გულმხურვალედ აიტაცეს მხვნელ-მთესველებმა და მეცხოველეებმა, მეხილეებმა და მეზვრეებმა, რომელთა მაჩვენებლებით რესპუბლიკა საკავშირო მასშტაბით ბოლო ადგილებზე იმყოფება.

ფრონისხეობელთა პატრიოტული თაოსნობა მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

დიდი საქმე ყოველთვის ხალხის წიაღში იბადება. ასე იყო ამჯერადაც. ფრონისხეობელთა თაოსნობით დაწყებულმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ, რომლის დევიზი იყო — „საბრძოლო ორიენტირი: მოწინავე პოზიციები!" საქართველოს მთა და ბარი მოიცვა, მეურნეობათა შრომითი კოლექტივების საბრძოლო დროშად გადაიქცა. და საბჭოთა საქართველო კიდევ ერთ დიდ გამარჯვებას — მეათე ხუთწლედის პირველ წელს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის საკავშირო გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოებას რომ ზეიმობს, ამაში ფრონისხეობელთა თაოსნობით დაწყებული სოფლის მშრომელთა შეჯიბრების დიდი წვლილიც არის: რესპუბლიკის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა ახლა მტკიცე, გაბედული ნაბიჯებით რომ მიაბიჯებს წინ მოწინავე პოზიციებისაკენ, მათი ამაგიც არის.

მოდით, ვეწვიოთ პატრიოტული თაოსნობის ინიციატორებს — ფრონისხეობელ კოლმეურნეებს.

• • •

22 და 32.

ეს ორნიშნა ციფრები კოლმეურნეობის მხვნელ-მთესველთა წინ გადადგმულ ნაბიჯებზე მოგვითხრობენ. 1975 წელს ფრონისხეობელებმა ჰექტარზე საშუალოდ 22 ცენტნერი ხორბალი მიიღეს, 1976 წელს კი — 32 ცენტნერი. ხორბლის საჰექტარო მოსავლიანობით კოლმეურნეობამ რაიონში მეხუთე ადგილიდან მეორე ადგილზე გადაინაცვლა. ამჯერად ჰექტარზე 35 ცენტნერი ხორბლისათვის იბრძვიან და პირველობას ალბათ არავის დაუთმობენ.

კოლმეურნეობაში ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა სიმინდისა და ლობიოს მოსავლიანობა.

360 და 375.

ეს სამნიშნა ციფრები მეჭარხლეთა სანაქებო საქმეებზე, მათ მიერ წინ გადადგმულ ნაბიჯებზე მეტყველებენ. კოლმეურნეობაში ყოველწლიურად 120 ჰექტარზე თესავენ შაქრის ჭარხალს. 1975 წელს ჰექტარზე საშუალოდ 360 ცენტნერი მოსავალი მიიღეს. შარშან კი — 375 ცენტნერი. „ტკბილ პლანტაციაში" მოწეულმა მთლიანმა მოსავალმა 45.050 ცენტნერს გადააჭარბა. წელს 25 ცენტნერით კიდევ გაიზრდება შაქრის ჭარხლის საჰექტარო მოსავალი და დამატებით 3.000 ცენტნერ ნედლეულს ჩააბარებენ აგარის შაქრის კომბინატს.

35, 50, 20

ორი ციფრი მევენახეთა წინსვლის მაუწყებელია, მესამე — მეხილეებისა.

მეხილეები და მეზვრეები ერთმანეთს ეცილებიან ხილისა და ვაზის ტრფიალში. ამჯერად მეზვრეებმა აჯობეს: 1975 წლის 35 ცენტნერის ნაცვლად ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 50 ცენტნერი ყურძენი, სახელმწიფო მარანში შეტანილია 2.526 ცენტნერი ყურძენი — წინა წელთან შედარებით 526 ცენტნერით მეტი.

მოწინავეთა გამოცდილების წარმოებაში ფართოდ დანერგვით კოლმეურნეობამ წელს ჰექტარზე საშუალოდ 60 ცენტნერი ყურძნის მიღება გადაწყვიტა. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მესამოცე წლისთავს ფრონისხეობელი მეზვრეები ყურძნით დახუნძლული სამოცცენტნერიანი ჰექტარებით შეეგებებიან!

ხუთწლედის პირველ წელს ოცი ცენტნერით გაიზარდა ხილის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა. სახელმწიფოს წინა წელთან შედარებით 400 ტონით მეტი ხილი მიეყიდა. კოლმეურნეები მიღწეულით მაინც არ არიან კმაყოფილი. მათი მიზანია, წელს 80 ცენტნერამდე გაზარდონ ხილის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა და 1.200 ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი ხილი მიჰყიდონ სახელმწიფოს.

ფრონისხეობელთა ბაღებში შევხვდით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეხილეობის აგროტექნიკის განყოფილების გამგეს გიორგი ჯოვნას, ხელს უწყობენ საკარმიდამო მეფრინველეობის განვითარებას.

მეცხოველეობა მტკიცედ დადგა აღმავლობის გზაზე. და ეს საკვები ბაზის განმტკიცების საქმეა. მოდით, ამჯერადაც ციფრები მოვიშველიოთ. კოლმეურნეობას უნდა დაემზადებინა: სილოსი — 500 ტონა, სენაჟი — 700, თივა — 90, ნამჯა და ჩალა 1.100 ტონა; დაამზადა: სილოსი — 900 ტონა, სენაჟი — 1.290, თივა — 150, ნამჯა და ჩალა — 1.600 ტონა. პირუტყვის მთელი სულადობა უზრუნველყოფილია საკუთარი წარმოების მაღალხარისხოვანი საკვებით, პროდუქტიულობაც ამიტომ გაიზარდა ასე თვალსაჩინოდ. ამასთან ერთად, 60 ათას მანეთზე მეტი შემოსავალი მიიღო კოლმეურნეობამ ჭარბი საკვების გაყიდვით.

ასეა, მონდომებას ყველაფერი შესძლებია!

რამ შეუწყო ხელი ადამიანთა დარაზმვას?

პარტიული ორგანიზაციისა და [illegible] ერმარდიძეს და მცენარეთა დაცვის განყოფილების უფროს მეცნიერ თანამშრომელს ცირა ჩუბინაშვილს.

მათთან ერთად ვათვალიერებთ კოლმეურნეობის ბაღებს.

ჩინებული ბაღებია, ნათლად ჩანს, რომ ხეხილს მზრუნველი ხელი არ აკლია.

ნახეთ ფრონისხეობელთა აფეთქებული ბაღები, ფეხით გაიარეთ მწკრივთა შორის და ღრმად დარწმუნდებით, სპეციალისტების მიერ ნათქვამი სანაქებო სიტყვების ჭეშმარიტებაში.

504.

ეს სამნიშნა ციფრი მწველავთა გმირობაზე მოგვითხრობს. კოლმეურნეობაში ერთ წელიწადში 504 კილოგრამით გაიზარდა ფურის საშუალო წველადობა. ეს დიდი გამარჯვებაა, წინგადადგმული გოლიათური ნაბიჯია! 1975 წელს კოლმეურნეობაში საშუალოდ ერთ ფურზე 1.755 კილოგრამი რძე მიიღეს, 1976 წელს — 2.004 კილოგრამი, წელს კი 2.250 კილოგრამი რძის მიღებისათვის იბრძვიან. მეათე ხუთწლედის მესამე წელს ეს ციფრი 2.500 კილოგრამამდე გაიზრდება, 1980 წელს კი — 3.000 კილოგრამს მიაღწევს.

შარშან სახელმწიფოს 1.000 ცენტნერის ნაცვლად 2.359 ცენტნერი რძე მიეყიდა, წელს 2.500 ცენტნერზე მეტს მიჰყიდიან.

ფერმაში არც ერთი ფური არ დარჩენილა ბერწად — რამდენი ფურიცა ჰყავთ, იმდენი ხბო მიიღეს და გამოზარდეს კიდეც. ესეც მეცხოველეთა დიდი გამარჯვებაა.

კოლმეურნეობამ დიდი გადაჭარბებით შეასრულა აგრეთვე სახელმწიფოსათვის ხორცისა და კვერცხის მიყიდვის ვალდებულება, დაინერგა პირუტყვის ინტენსიური სუქება, დამზადებას მხოლოდ მაღალი და საშუალო ნასუქობის, მძიმე წონის პირუტყვს აბარებენ.

რაიონში მეღორეობისა და მეფრინველეობის სამეურნეობათაშორისო გაერთიანებები რომ შეიქმნა, ღორი და ფრინველი ფრონისხეობელებმა გაერთიანებებს გადასცეს. კოლმეურნეობამ მეღორეობისა და მეფრინველეობის ფერმები მაინც არ გააუქმა; ფრონისხეობაში დიდძალ ფრინველს ზრდიან ყოველწლიურად, მეღორეობის ფერმაც საკმაოდ მძლავრი გახდა, წელიწადში 260 ათასზე მეტ ცალ კვერცხსა და 35 ტონაზე მეტ ღორის ხორცს აბარებენ სახელმწიფოს; გამოსაზრდელ ფრინველითაც აკმაყოფილებენ სოფლის მოსახლეობას, ხელს უწყობენ... თიანი მოქმედებით უნარიანად გამოყენებულმა მორალურმა და მატერიალურმა წახალისებამ, სოციალისტური შეჯიბრების მასობრიობამ, ქმედითობამ, საჯაროობამ, მთელი სოფლის დაუოკებელმა სწრაფვამ სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული გეგმების წარმატებით განხორციელებისათვის.

მოწინავეები?

რამდენიც გნებავთ.

სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობა კოლმეურნეობის მეორე უბანმა მოიპოვა, სადაც 348,975 მანეთის ნაცვლად 367.500 მანეთის პროდუქცია აწარმოეს.

მემცენარეობის ათი საწარმოო ბრიგადის შეჯიბრებაში გაიმარჯვა ტრისტან მამაგულაშვილის ბრიგადამ, რომელმაც 75.910 მანეთის ნაცვლად 93.141 მანეთის პროდუქცია აწარმოა.

გიორგი გამრეკელაშვილის ბრიგადამ საშუალოდ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 158 ცენტნერის ნაცვლად 269 ცენტნერი ბოსტნეული მიიღო, ტრისტან მამაგულაშვილის ბრიგადამ 85 ცენტნერი ვაშლი ნაცვლად 75 ცენტნერისა.

კომუნისტმა სერგო ბაციკაძემ ჰექტარზე 111 ცენტნერი სიმინდი მოიწია.

შვილივით ესათუთება ვაზს ნონა გელუტაშვილი; ჰექტარზე 44,5 ცენტნერის ნაცვლად 81,3 ცენტნერი ყურძენი დაკრიფა და, გარდა ხელფასის, 646 მანეთი პრემია მიიღო.

ალექსანდრე კალმახელიძემ 0,23 ჰექტარ პლანტაციაში 72 ცენტნერის ნაცვლად 304,6 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მოიწია, რისთვისაც 338 მანეთი პრემია ერგო.

ქენია ნიადაგიშვილმა ფურის საშუალო წველადობა გეგმით გათვალისწინებული 1.200 კილოგრამიდან 1.555 კილოგრამამდე გაზარდა.

ქუდზე კაცი შრომობს კოლმეურნეობის დოვლათისათვის. სასოფლო საბჭოს თანამშრომლებმა 4,5 ტონა ხახვი, 8 ტონა პამიდორი, 10 ტონა კომბოსტო მოიწიეს კოლმეურნეობაში. სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბეგლარ მახაჭაშვილმა გაპიროვნებული ნაკვეთიდან 3,5 ტონა სიმინდი და 450 კილოგრამი ლობიო ჩააბარა კოლმეურნეობას.

ასეა, როცა მთელი სოფელი მონდომებით შრომობს, ბარაქაც ხვავდება და ოჯახებიც შეძლებულად ცხოვრობენ. სოფელი წინ მიდის და გლეხის კარმიდამოც კოხტად გამოიყურება.



კოლმეურნეობის ბრიგადირები (მარცხნიდან) ტ. მამაგულაშვილი და გ. გამრეკელაშვილი.

კაცური კაცი თავკაცობს ფრონისხეობის კოლმეურნეობას, სტალინგრადის მისადგომებთან ნაომარი ვაჟკაცი, ხუთი ქალ-ვაჟის აღმზრდელი.

საკოლმეურნეო წარმოებაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის ანდრო ბერიძემ ლენინისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენები დაიმსახურა, კობა ჩოხელის სახელობის პრიზის ლაურეატიც გახდა.

იმ დღეს კოლმეურნეობის თავკაცის ანგარიში მოისმინა პარტიის ქარელის რაიკომის ბიურომ. ყველაფერი ზუსტად გაანალიზეს, ყველაფერი მისხლობით აწონ-დაწონეს. მოწინავე პოზიციებისაკენ კიდევ უფრო გაბედული ნაბიჯებით წინსვლის რეზერვების ამოქმედების საშუალებებზე იმსჯელეს.

— მოგეხსენებათ, კარგი სტარტი საქმის ნახევარია, მიღწეულით დაკმაყოფილების გრძნობა არ დაგვეუფლოს, — თქვა პარტიის ქარელის რაიკომის პირველმა მდივანმა ჰექტორ ხუციშვილმა და კოლმეურნეობის ხელმძღვანელებს, ბიუროს წევრებს ერთხელ კიდევ მოაგონა, რომ აუცილებელია შემდგომ განვამტკიცოთ სახელმწიფო დისციპლინა, კომუნისტური შემართებით ვიბრძოდეთ მოწინავე პოზიციებისათვის, ვალდებულებათა შესრულებისათვის.

— ფრონისხეობელები დანაპირებს შეასრულებენ, ამხანაგო მდივანო! — მისთვის ჩვეული სიდინჯით მიუგო ანდრო ბერიძემ.

— შევასრულებთ, უეჭველად შევასრულებთ! — ათას სამოცდაცამეტი თანასოფლელის ხმა დასტურს აძლევს სოფლის თავკაცს.

მიაბიჯებდა თავმჯდომარე სოფლის შარაგზაზე და გრძნობდა რა ფართო ასპარეზზე გამოიყვანა ფრონისხეობა კოლმეურნეთა მიერ დაწყებულმა თაოსნობამ.

ამ თაოსნობის წამომწყებთა წინ ახალი და დიდი ზღუდეებია დასაძლევი.







ქ. ნიადაგიშვილი. ნ. გელუტაშვილი. ა. კალმახელიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მარცხნიდან. — კომპლექსური ბრიგადის წევრი ვ. მახარაძე და მოწინავე მძღოლი გ. ჩიქური.

# საქართველო ვიხილე ბამზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ჩიქოვანის ფოტო

ჟურნალ „დროშის“ მკითხველებს ვთავაზობთ ფოტორეპორტიორ რევაზ ჩიქოვანის ფოტოსურათებს, რომლებიც მან ამას წინათ გადაიღო ნია-გრუზინსკაიაში მივლინებით ყოფნის დროს.



მარცხნიდან — კომკავშირული ბრიგადის ბრიგადირი ა. ლომიძე, პოეტი ი. ნონეშვილი, სამუშაოთა მწარმოებელი შ. კაკუშაძე და გ. ჩაკვეტაძე.

ბაიკალ-ამურის მაგისტრალის გაყვანას ჩვენმა ხალხმა საუკუნის მშენებლობა უწოდა.

ეს მშენებლობა 1982 წელს უნდა დამთავრდეს.

მაგისტრალის სიგრძე 3000 კილომეტრს მიაღწევს. უკაცრიელ ტაიგაში აიგება 3000-ზე მეტი ნაგებობა, 147 დიდი ხიდი, მრავალი გვირაბი...

ჩვენი სამშობლოს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარგზავნილები თავდადებით იბრძვიან ბამის მშენებლობის სხვადასხვა უბანზე.

დაბა ნია-გრუზინსკაიას, როგორც ცნობილია, საქართველოს წარმომადგენლები აშენებენ.

მათ თავდადებულ შრომაზე, გმირულ შემართებასა და გაუტეხელობაზე ბევრი რამ უკვე დაიწერა.

ჩვენი ჟურნალის მკითხველებს გვინდა გავაცნოთ ის თბილი სიტყვები, რომლებიც ამას წინათ წარმოთქვეს საქართველოში სტუმრად ჩამოსულმა ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებელთა დელეგაციის წევრებმა.

„პირველი დამკვრელური კომკავშირული რაზმის შემადგენლობაში ქართველი ბიჭებიც იყვნენ. მათ არ გვიმტყუნეს და „ფრიადზე“ გაართვეს თავი საქმეს!“ — თქვა სკკპ უსტკუტის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. პანჩუკოვმა.



მარცხნიდან — მშენებლები ნ. ქობალია, ა. პრესნოვი, გ. ელუხანოვი, ს. ლილუაშვილი.

„მადლობა საქართველოს ასეთი შესანიშნავი მამულიშვილებისათვის!“ — ეს სიტყვები კომკავშირის ირკუტსკის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ა. ორლოვს ეკუთვნის.

„ბამი კარგ ხალხს იზიდავს. ნია-გრუზინსკაიამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა ეს“, — თბილისის აეროპორტზე ჩამოსვლისთანავე განაცხადა გაზეთ „იზვესტიის“ აღმოსავლეთციმბირელმა კორესპონდენტმა ლ. შინკარიოვმა.

საქართველოდან წარგზავნილთა გაუტეხელი შრომით აღტაცებულმა პოეტმა ე. ევტუშენკომ კი აი, როგორი სტრიქონები უძღვნა ქართველებს:

„მე საქართველო ვიხილე ბამზე,
ვნახე და მერე ველარც მოვეშვი.
იქ ბიჭებს ხვითქი სდიოდათ ტანზე,
როგორც თბილისის აბანოებში.
დაბას აგებდნენ მკლავმოუღლელნი,
თუმცა მწარედ კბენდათ ქინქლის ღრუბელი.
მათ სულს ეს ჭონჭყოც ვერ გადათელავს —
ქართველი ყველგან რჩება ქართველი!



დაბა გრუზინსკაიაში აღმოაჩინეს მამონტის ეშვი. შემთხვევის ადგილზე არიან „საქმშენბამის“ უფროსი ა. დვალიშვილი, № 581 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის უფროსი ი. კალესნიკოვი და პოეტი ნ. ჯალალონია.



ბ. სორდია (მარცხნივ) და თბილისის ასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი პ. გვიშია.



ნია-გრუზინსკაია. მშენებლები ისვენებენ.

მდინარე ნიაზე ჩამავალი კიბე, რომლის სიგრძე 500 მეტრია.



# ლექსები

## კოლაუ ნადირაძე

### აკაკი შანიძეს

ერთ საუკუნეს უახლოვდება
თავგანწირული ტრფიალი თქვენი!
გულისმხიბლავი ეგ შთაგონება —
გმირული დაცვა მშობლიურ ენის!

ორთავეს, ვიცი, მუდამ გვატკბობდა
მომხიბლავ ჩანგის სიმთა გალობა —
თქვენი სეხნიის, დიდი აკაკის!
მაგრამ, ჩანს, ბედი მეტად მწყალობდა:
მე ერთით მეტი სიამე ვპოვე —
გავხდი მე თქვენი თანამედროვე,
მოწამე თქვენი წვის და ამაგის!

საქართველოში მკვეთრი მახვილი
გმირავდა მკერდებს შემოსულ მტერთა,
ჩვენ არ ვყოფილვართ ამის მნახველი!
ძვლებს მეომართა და ერის მცველთა
არ დასცემიათ დედათა ცრემლი,
დედათა ცრემლი შეუშრობელი!

მათ ძვლებს ინახავს, მათ სისხლს ინახავს
მათგან დაცული მიწა მშობელი!..

თქვენ წილად გერგოთ სხვაგვარი ხვედრი,
მახვილით, შუბით ბრძოლის გარეშე!
თქვენ ერმა ენის მოგანდოთ ბედი,
შორი წარსულის სიმწუხარეში...
თქვენ ხელთ გადმოგცათ ნდობით, ალერსით,
(რათა ხალხს ენა წმინდა დაურჩეს),
ეს უდიდესი ერის საუნჯე,
დიადი განძი — განძთ-უგანძესი!!.

ნუ ჩამომართმევთ კადნიერებად,
რომ წილად მერგო ბედნიერება:
აი, ამისთვის მშობელი ერის,
მისი ფუძისა და მისი კერის
სახელით, როგორც ლოცვა, გალობა,
თაყვანისცემით გითხრათ მადლობა!

### ყინწვისის ფრესკა

მე არ მენახა და ახლა ვნახე
ეს საოცარი ასხივოსნება —
ღვთაებრივ განცდით შექმნილი სახე,
ეს ხორცშესხმული ჩემი ოცნება!

არ ვიცი, ვინ ხარ! ან რად ვიცოდე,
რომელ ხერუბიმს გამსგავსა ღმერთმა?!
მინდა ამ ცეცხლით მხოლოდ ვიწოდე,
ამ ცეცხლით დამწვას, დამფერფლოს ბედმა!

ყვავილნარს აკმევს ირგვლივ ეს ველი,
ირგვლივ ელვარებს მნათობთ კრებული.
ვით განდეგილი და ვით ვნებული,
შენგან მე ზხნას და სასწაულს ველი!

მომეც უფლება: მარაბდის ველზედ,
შენ, ქართლის დედათ, მტირალი გნახო,
ან მგლოვიარედ გარნისის კლდეზე,
რომ ჩემს ქვეყანას პირჯვარი სახო!

მშვენებავ ციურ ყინწვისის ტაძრის,
შენ ხომ განგებამ შეგამკო მზისებრ,
მე ბეთანიის თაღებ ქვეშ განცდილს
და კვლავ აქ ხილულს შევხარი ისევ!

მომეც უფლება, რომ ერთი წამით,
რომ მხოლოდ წამით პირქვე დავემხო,
დამსკდარი ბაგით, თრთოლვით და კრძალვით,
შენს ფერხთა კიდეს ოდნავ შევეხო!

მომეც უფლება, დავდგე შენს ახლო,
ვარდისფერ ფრთების ქროლვით ბურვილი,
მაგ თვალთა ჭვრეტის სამყარო ვნახო,
დავაცხრო გულის წვა და წყურვილი!

ო, როგორც მგოსანს, დღეს დამრთე ნება,
ლექსად ამღერდეს შენი არსება —
სხივოსან სახის მზისა მსგავსება,
სამარადისო შენი მშვენება,
და ჩემი დიდი ბედნიერება —
ამ სიდიადის სულის ავსება!

მე არ მენახა და ახლა ვნახე
ეს საოცარი ასხივოსნება —
ღვთაებრივ განცდით შექმნილი სახე,
ეს ხორცშესხმული ჩემი ოცნება!

## ილია ხოშტარია

### სამადლობელი

მე წარსული შევკარ ულოდ,
ხანში შეველ, არ ვარ კენტად,
ოი, დღეო, დიდებულო,
დამდგომიხარ ნათლის სვეტად!

არ გამქრალა ჩემი წვლილი,
შრიალებენ კვლავ აფრები,
დიდ ბრძოლებში გამოვლილი,
მხარში მიდგას მეგობრები.

არ ენახოს ფერი თალხის,
ძლიერება შრომამ მისცა,
დაილოცოს ქართველ ხალხის
ნაომარი წმინდა მიწა.

ვიცით, როგორც სიმთა ჟღერა,
არასოდეს არ შეწყდება,
მე მშვიდობა მწამს და მჯერა,
მთელს მსოფლიოს გადაწვდება.

ჰიმნს ვუმღერით ხალხთა ძმობას,
მედგრად ვებრძვით ბნელს და
წყვდიადს,
ჩვენ წავალთ და სხვა თაობა
სამადლობელს გვეტყვის დიადს.

# კუბა — „ივერიის“ ფურცლებზე

კუბელ ხალხს XIX საუკუნის 90-იან წლებში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა უხდებოდა ესპანელ და ამერიკელ აგრესორებთან, რომლებიც ლამობდნენ კუბაში გაბატონებას.

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების ქართული პერიოდული პრესა, მთელი ქართველი საზოგადოებრიობა გულისყურით ადევნებდა თვალყურს კუბელი ხალხის გმირულ ბრძოლას თავისუფლებისათვის. ქართველი ხალხი თანაუგრძნობდა კუბას კეთილშობილურ ბრძოლაში და პრესის ფურცლებზე ხშირად გამოხატავდა თავის სიმპათიას ცეცხლმოდებული პატარა კუნძულის მიმართ.

1895 წლის 19 აგვისტოს „ივერია“ წერდა: „ესპანიისა და კუნძულ კუბას შუა ბრძოლა ძალიან გამწვავდა. ევროპის გაზეთები ახლა უფრო ხშირად გვაწოდებენ ბრძოლის ამბებს და უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ ამ გარემოებას, ვიდრე ბრძოლის დასაწყისში. ბოლო დროს ესპანიას ისე გაუჭირდა, რომ საფიქრებელია კუბამ მიაღწიოს თავის მიზანს და სრულიად განთავისუფლდეს ესპანიის ბატონობისაგან“. შემდეგ გაზეთი ეხება იმ საკითხს, თუ რაოდენ მძიმე იყო ესპანეთის უღელი კუბელი ხალხისათვის. „თუმცა ესპანელნი ევროპელნი არიან, მაგრამ მათ მართვა-გამგეობას ნამდვილი აზიური ხასიათი აქვს. ამიტომ კუნძული კუბა 1823 წლიდან არ დაწყნარებულა“.

გაზეთი „ივერია“ საგანგებოდ გამოყოფს კუბელი ხალხის თავგანწირულ ბრძოლას ესპანეთის უღლის წინააღმდეგ.

„მეტად სამახსოვროა კუბის უკანასკნელი რევოლუცია, — ვკითხულობთ „ივერიაში“, — რომელმაც ათ წელს გასტანა (1868-1878 წ.). თავგანწირულად იბრძოდნენ კუბელნი ათს წელიწადს, მაგრამ ესპანიასაც ძვირად დაუჯდა კუბის დამარცხება! ასი ათას კაცზე მეტი დასტოვა ბრძოლის ველზე და ერთი მილიარდი ფრანკი დაეხარჯა“. გაზეთი ბოლოს დაასკვნის, რომ „გმირული ბრძოლა გამარჯვებას უქადის თავისუფლების მსურველ ერს“.

ამერიკის შეერთებულ შტატებს სურდა ესპანეთ-კუბის კონფლიქტი გამოეყენებინა კუბაში თავისი პოზიციების განსამტკიცებლად. ესპანელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ 1895 წლის თებერვალში დაწყებულ კუბელი ხალხის აჯანყებას და ამ პერიოდში აშშ-ის დაინტერესებას კუბით შეეხო „ივერია“ სტატიაში „ამერიკის შეერთებული შტატები და კუნძული კუბა“, ეს სტატია დაისტამბა 1895 წლის 26 აგვისტოს.

აი, რას ვკითხულობთ აქ: „ბოლო დროს გაზეთებში ხშირად ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ ამერიკა სიმპატიით თვალყურს ადევნებს კუბის ბრძოლას ესპანეთის წინააღმდეგ და ფარულ დახმარებას უწევს. კუბის შეერთება კარგა ხანია სურს ამერიკას. ჯერ კიდევ 1852 წელს გაგზავნილი იქნა კუნძულზე ექსპედიცია ლოპეცის წინამძღოლობით, მაგრამ ესპანელებმა დაამარცხეს. შემდეგ რამდენჯერმე აღიძრა ბაასი კუბის ყიდვის შესახებ. ამჟამადაც ამერიკაში ბევრია ლაპარაკი კუბის შეძენის საჭიროებაზე“.

1895 წლის ზაფხულში კუბაში შექმნილი ვითარების შესახებ „ივერია“ წერდა: „კუბის კუნძულზე ეს რამდენიმე თვეა აჯანყებაა და დღემდე არავინ იცის როდის შეწყდება იგი. აჯანყების მიზეზი ადგილობრივ მცხოვრებთა ნივთიერი უკმაყოფილებაა. ესპანეთის მთავრობის ბევრი აგენტი მხოლოდ გამდიდრებას ფიქრობდა კუბაზე ყოფნის დროს და მთელი მისი მოქმედება ამით ხასიათდებოდა. უკმაყოფილების მიზეზად კიდევ ის გახდა, რომ კუბასა და ესპანიას შორის ცუდი საბაჟო დამოკიდებულება არსებობს, მაშინ როდესაც ესპანიის საქონელი უბაჟოდ გააქვთ, კუბის ნაწარმოებს დიდ ბაჟს აწერენ“.

როგორც ვხედავთ, „ივერიის“ პოლიტიკური მიმომხილველები კარგად ერკვეოდნენ კუბელი ხალხის ბრძოლის ამა თუ იმ მიზეზებში; „ივერიაში“ გამოქვეყნებული მასალები ნათელი დადასტურებაა იმ სიმპათიებისა და თანაგრძნობისა, რომელსაც ავლენდა ქართველი საზოგადოებრიობა პატარა კუნძულის გმირი ხალხისადმი.

მსოფლიოს პროგრესიული ძალების მხარდაჭერით, 1959 წლის 1 იანვარს კუბელმა ხალხმა თავისი განთავისუფლების გმირული ბრძოლა გამარჯვებით დააგვირგვინა. დღეს კუბელი ხალხი წარმატებით აშენებს სოციალიზმს, მაგალითს აძლევს ლათინური ამერიკის ჩაგრულ ხალხებს უკეთესი მერმისისათვის ბრძოლაში. ლ. ი. ბრეჟნევმა 1974 წლის 29 იანვარს კუბის რესპუბლიკაში ვიზიტის დროს, ჰავანაში გამართულ საყოველთაო-სახალხო მიტინგზე განაცხადა: „კუბა დასავლეთ ნახევარსფეროში სოციალიზმის პირველი ქვეყანაა. ეს არის მისი ისტორიული როლი და ისტორიული პასუხისმგებლობა“.

**გურამ შენგელია**

ოთარ ჩხეიძე

## ჩემი სოფლის ეტიუდებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგო და ბიჭი ასუსულიყვნენ შუა ეზოშია, ხელჩაკიდულნი, დამფრთხალნი თუ დაფეთებულნი ასუსულიყვნენ, თითქოს ვიღაცას შემოასწრესო, ანთუ აქედან ვინმე გამოვა, გამოენთება, და აღარ იციან თუ საით გაიქცნენო, — ასუსულიყვნენ და იდგნენ, იდგნენ, და ელოდნენ, სდუმდნენ და ელოდნენ, ელოდნენ ისე, ვეღარც გაეგოთ, კატა რო უკვე მიპგებებოდა, კრუტუნებდა, გარს ეხვეოდა, ეგლისებოდა კანჭებზედა, უცაცუნებდა ფუნჩულა კუდსა ბიჭსაცაო და გოგოსაცაო, უცაცუნებდა და უგლასუნებდა, და ვერ გაეგოთ, ანთუ არაფრად არ ჩააგდებდნენ, ისე ელოდნენ, ელოდნენ, ელოდნენ; ელოდნენ და მიეპყროთ ყური, დაეცქვიტათ, წინ წაეწვდინათ, მერე და რაო, ჩამიჩუმი არ მოისმოდა არცა შინიდანა, არცა ბაღჩიდანა, არცა შუკიდანა, იყო დუმილი, ეზომიდამო გამტკნარებული, და ელოდნენ დუმილში, ელოდნენ მდუმარენი, თითქოს მწყურვალნიო თუ გზადაკარგულნი, თითქოს იმედდაწრეტილნიო, ელოდნენ, ელოდნენ და აკი გაისმა, თბილად გაისმა, მგრძნობიარედა:

— აი, კაჭკაჭი რომ შემომხაროდა!..

ჯერ ხმა გაისმა და, ვიდრე მთქმელსაც დაინახავდნენ, გოგონამ შესძახა გადარჩენილის, დიახ, დიახ, გადარჩენილის სიხარულითა, თუმცა გალეული, დიახ, გალეული ხმითა, გალეული და აფეთქებული მახვილებითა:

— მამიდა!..

შესძახა და დაპროწიალდა, საიდან მომესმა ხმაი სანატრელი, საით მივაწყდე, საით მივაშუროო.

— მოდით, მოდით, მამიდა გენაცვალოთ!..

კიდევ მოისმა და უკეთ გამოირჩა, — თურმე მარნიდან ამოდიოდა, ამოდიოდა და მოვიდა მომაღლო ქალი, ხმელ-ხმელი ქალი, სანდომიანი, სახენათელი, ამოვიდა და ამოიმართა, ამოიმართა და უკეთაც იხილა თუ როგორ გაიელვა იერმა რძლისა, შუათანა რძლისა, გაიელვა და გაიელვა, გადაიარა და არც გადაიარა, იელვა კიდევა, დაპროწიალდა, დაკოწიაწდა, და მიხვდა ცხადია, მამიდა მიხვდა, — ძმისწული სწვევოდა, გოგონა სწვეოდა შუათანა ძმისა. ბიჭი?.. სულ ერთიაო, ჯერ ამას მიხვდა და უცებაც მიხვდა, მერე რაო თუ არც ეხილა გაჩენის შემდეგა, — მიხვდა უმალვე, სხვებსაც ასევე თუ გამოიცნობდა?.. ვინ იცის, ვინ უწყის, არ ენახა არცთუ დანარჩენნი, დაზრდილიყვნენ ამისგან შორსა, ლოგინობის დროს თუმცა სწვეოდა რძლებსა თავისასა, დასწრებოდა განბანასაცა ძმისწულებისა, ოღონდ ის სხვა გახლდა, რაღა თქმა უნდა, სხვა გახლდა ის ღლაპი, ეს სულ სხვა იყო, სხვანი იქნებოდნენ, ალბათ, სხვანიცა, რაღა თქმა უნდა, სხვანი, სულ სხვანი, ტანაყრილნი, გამოკვეთილნი, თავისებურნი, გამოუცნობნი, — ეს მაინც გამოიცნო, რა მალე გამოიცნო, სხვაგან ეგება ვერც მიეტანა გუმანი ოდნავადაცა, ოღონდ აქ მაინც, თავის ეზოში, ისე იელვა თვალებმა რძლისა, ტუჩებმა რძლისა, — პროშებმაო, ასე იტყოდა, — შუათანა რძლისა, ისე იელვა, არ შეცდებოდა, არა, არა, რაღა თქმა უნდა.

— მამიდა!..

იცნო, იცნო გოგონამაცა, თუმცა არ ეხილა იმის შემდეგა, პირველად რო განბანეს, იცნო მაინცა, რაღაც ეცნაურა უფროსი ბიძისა, მამისა არა, უფროსი ბიძისა, სულ ერთია იცნო მაინცა, იცნო და შესძახა, გამოუცნობი სიხარულითა, ბიჭს ხელი უშვა, გაექანა, ზედ შემოესკვნა, ვითარცა ძვირფასსა, ყველაზე ძვირფასსა, უძვირფასესსა, რა ვუყოთო თუ აღარ ეხილა იმ პირველი განბანის შემდეგა, ზოგი მაშინაც ვეღარ იხილავს მახლობელსაო; ის შემოესკვნა და მიიხუტა მამიდამაცა, ცრემლიც ჩამოუგორდა მამიდასა, თბილი, თბილი, სათუთი ცრემლი, წინაც წავიდა, ეგრევე წავიდა გულსმიკრული ძმისწულიანად, წავიდა და ბიჭიც მიიხუტა, მიეთბილა ბიჭსაცა, თუმცა ის უცებ მაინც ვერ გაიგო, ბიჭი თუ რომლისა უნდა ყოფილიყო, — ისიც ისევ შუათანასი, უფროსისა თუ უმცროსისაო, ვერ ამოიკითხა ვერცა თუ რძლები, ვერცა თუ ძმები თვალებში მისთა, ისევ ის დამფრთხალ თვალებში. რა ვუყოთ მერე, ერთი ჰო უცებ ამოიკითხა, ამოიკითხავდა ამასაც მალე.

— მოდით, მამიდა... მამიდა გენაცვალოთ!..

— მამიდა!..

დასძენს გოგონაცა, დასძენს და ოღონდ ლამის გული აუჩუყდეს, ანთუ ლამის ამოესკვნას გულიო, — შუათანაა ასე გულჩვილი, შუათანა ძმაი, რძალი არაო, — ასე გულჩვილი, ასე მოყვარული, მონათესავე, შუათანაა და შუათანასია რაღა თქმა უნდა, მაგრამ რომელიო, უფროსიო თუ უმცროსიო, ეგება ესეც შუათანაო: ამდენს მაინც ვეღარ მიხვდება, მეტისმეტსაც ნუ მოინდომებს, დაშორებია, მერე როგორ დაშორებია, მამიდაა და დაშორებია, სავალალოდ დაშორებია, მართლაც და

# მამიდა



მხატვარი ჯემალ ლოლუა

მართლაც სავალალოდა და სავაგლახოდა თუ გულს მხოლოდ იმითი მოიოხებ, იმდენი თუ იცი, სამ-სამი შვილი რო გაუჩენია სამივე ძმასა, სამივესა და სწორედ სამ-სამი, წაბაძვითაო ერთმანეთისა თუ რჩევითა გაზეთისა, სალიტერატურო გაზეთისა, ჰოო და ჰოო გულს აშითი თუ მოიოხებ და კიდევ იმითი, აგრეთვე ისიც თუ გაგიგია, რამდენი ვაჟია, რამდენი ქალი, ვისი ვაჟებია, ვისი თუ ქალებიო, — კიდევ მადლობა, მადლობა ღმერთსაო, ხოლო თუ ესეც დაგვავიწყდება, მახლობელი თუ დაგვავიწყდება, ანთუ არცა რა დაგვავიწყდება, ანთუ არცა არა მოგვაგონდება, ანთუ არავის არ მოვიკითხავთ, არც არასოდეს გვეცოდინება, არცთუ სურვილი გვექნება ამისა, სურვილი ცოდნისა, თვისტომობისა, ნათესაობისა, მაშინ მოგვწვდება ბედი მდევარიო, ბედი მსახვრალი მაშინ გაგვთელავსო. ეს ბიჭი მაინც, მაინც რომლისაა?.. შუათანასი ჰო სამივე გოგოა, — სამივე გოგოა, და შუათანა გამორიცხულა ამ შემთხვევაში, უკეთუ გამდგარა, იცინის იქითა, ყინჩად იცინის, აბა თუ მიხვდები, აბა თუ ანდე რას გიკარნახებსო. ეს თხელი შუბლი, თხელი თუ გამკრთალი? თხელი ლოყები, თხელი ცხვირი; მხრები აწოწილი? ამისსა ხანში უფროსი ძმაც ასეთი გახლდა, მაგრამ ბევრია ასეთივე ამავე ხანში, გამოკვეთილად არცთუ რა მიუგავს, არა, არაფერი, — არც უმცროს ძმასა, არა, არაფერი, არცთუ რძლებსა, არაფრითა ჰგავს, რა ვუყოთ მერე, ასეცა ხდებაო, ოღონდ და რაო, იყოს, დააცდიოს, დაიცდის და მიხვდება მაინცა, ამასაც უცებ, უცებ მიუხვდება, ანთუ ხმითაო, ანთუ ნაბიჯითა, ხელის აქნევითა, ჩახველებითა, ანთუ რამითა, რაღაც ისეთითა, ვერცთუ გაარკვევ, ეს რაღა იყოო, მაინც მიხვდება, მაინც მიუხვდება, ამოიკითხავს, ამოიკითხავს, მომიკითხავს, ჯერ მაინც:

— მოდით, მოდით, მამიდა გენაცვალოთ!..

— მამიდა!..

მიადევნებს ისევ გოგონაცა, მიადევნებს და უნდა, კიდევ რაღაცა მოუმატოს, ვერას მოახერხებს, სიტყვა გაუწყდება, და თითქოს ნერწყვი აღარა ჰყოფნისო; შუათანასია, რაღა თქმა უნდა, მამა არის ზედგამოჭრილი, ჯერ თუ რძალი შემოგანათებს, მერე ძმა არის, ძმისაა ალიკვალი, აი თუნდ აჰაა: ჩაჰლუნავს თავსა, ცერით, შუათითით წარბებს შეეხება, უცებ აიხედავს და ამოისუნთქებს უფრო ღრმადა, თითქოს შვებითა, თითქოს სევდითაო, — აი აჰაა!.. ესეც როგორ გამოჰყოლია. რძალს ეს არ მოსწონს, შუათანა რძალსა, დედასა ამისასა, არ მოსწონს და უწყრება მეუღლესა, ხანთუ დატევითა, ხან თუ ენამოჩლიქებითა, ვითომ და რაო, ალერსითაო, ხანთუ ბრიალითა თვალებისა, ხანთუ ოხვრითა, ინდურიო თუ არაბული ფილმების მინამგვანი ამოოხვრითა, ხანთუ მოჩქმეტითაცა იდაყვზედაო, ჰო ასეცაო, მოჩქმეტითაცაო, გააჩნია, თუ სად რა არის შესაფერისი. ალბათ, შვილსაც შეუტევს ხოლმე, — ალბათა, ალბათა, ისეთი კრთომა ჩაესახა თვალებში, ისეთი შიშით მიმოიხედა, აი აჰაა, დედა დამტუქსავსო.

— არა მამიდა... მამიდა გენაცვალოთ!..

— მამიდა!..

უბრწყინავს ცრემლი თვალებში გოგონასა, სხვა სიხარულის ცრემლი უბრწყინავს, რაღაც ისეთი მოუტანია, სიხარულისა რო უნდა იყოს, თან მოჰყოლია აგრეთვე რიდიცა, ოღონდ მამიდასი, მხოლოდ მამიდასი, სხვა თითქოს ახლა არც ეკითხება, მამიდაა და მამიდასია, და ცრემლიც იგი მამიდასია, ბზინვაცა ცრემლისა, უკეთუ ბზინვა თვით თვალებისა, კრიალა ცრემლი რამეთუ ჩაუდის, კრიალა ცრემლი, ანკარა ცრემლი, სუფთა, უზადო,, წმინდა, სათუთი.

— მოდით... მამიდა!..

— არა... მამიდა!..

— ჩქარობთ, მამიდა?!

— არა, მამიდა!..

— ჩქარობთ, მამიდა... ასეა, ასე, ყველას ეჩქარება, ვერავის მოუცდია, ისიც კარგია, ერთი წუთით თუ დაგკრა თვალი, ისიც კარგია. ნუ ჩქარობთ, მამიდა, ნუ აჰყვებით, ცუდს ნუ აჰყვებით, ნუ ჩქარობთ, მამიდა!..

— არა, მამიდა!..

— მოდით, მამიდა,.. მამიდა გენაცვალოთ!..

— არა... მამიდა!..

გოგონა დაიხევს, ხელით თითქოს რაღაცას დაეძებს, ხელს აფათურებს, ასავსავებს, ვაჟს ეძებს ცხადია, დასაყრდენს ეძებს: ის ჩაყუნცულა, ვაჟი ჩაყუნცულა, კატას ეფერება, კრუტუნებს კატაცა, უდნება ხელშია, — არა, არა, არა ჰგავს უფროსსა, უმცროსისაც არ უნდა იყოს, შუათანა ჰო უკვე გამდგარა, იქით იცინის, იცინის ყინჩადა, — კატა არ უყვარდა არცერთ ძმასა, კატა ახლოსაც ვერ გაიჭაჭანებდა, სადაცთუ იყვნენ, ვერ გაიჭაჭანებდა, თუმცა და რაო, ეგება რძლებმა მოიყოლეს კატის სიყვარული, ანთუ ორივემა, ანთუ ერთ-ერთმა, ოღონდ რომელმაო, წადი და გაიგე!.. არც ასე ახლოს გასცნობია რძლებსა, ასე მოეწყო წუთისოფელი, ასე ახლოსაც არ გასცნობია. ეს აფათურებს ისევე ხელსა, უკან იხევს და ხელს აფათურებს, — გოგონაი რაღა თქმა უნდა, ის დაყუნცულა და კატას ეფერება, — ვაჟი ცხადია, ოღონდ იმასაც შეასწრებს თვალსა, იმ მოცახცახე, მოფათურე ხელსა, თვალს შეასწრებს და კატას აიყვანს, ხელსაც მისწვდება, ჩაჰკიდებს ისე, ისე ჩაჰკიდებს, ერთად რო ცახცახებს ორივე ხელი. არც ერთ ძმას ხელი არ უცახცახებს, ესეც თუ რძლებმა შემოიტანეს ამათ სისხლშია, შემოუტანეს და წადი და გაიგე, საიდან თუ რა შემოუტანეს, სად თუ რა იჩენს, თუ როგორ იჩენს, რა ავადა თუ რა ვაი-ვაგლახად იჩენს თავსა, წადი და გაიგე!.. მაინც რომლისაა:.. თავიც ისე წაუღუნია, — ძმებს არა, ასე არა სჩვევიათ, არცა უფროსსა, არცა შუათანასა, — შუათანა ჰო განზე გამდგარა, იცინის, იცინის ისე ყინჩადა, — არაცა უმცროსსა, არა, არა უმცროს სულ არა, უმცროსი ჯიქურ მოგწვდება თვალებში, უფროსი — ცერადა, შუათანა... შუათანა ჰო განზე გამდგარა, სამივე გოგონა ჰყავს, ერთი ჰო ესაა, ოღონდ რომელიო, უფროსიო თუ... ეგეც არაფერი, ოღონდ ეს ვაჟი?! ან ეგ თუ რაო?!

— მოდით, მოდით, მამიდა გენაცვალოთ!..

— იცით... მამიდა?!.

— მოდით!..

— იცით?!.

— ჰო!..

— ჰა, ჰა!..

და გოგონა ვაჟს წინ წამოსწევს, მერე თუ შეკრთება, ანთუ ვაჟს შეატყობს კრთომასა ისეთსა, თვითონ წადგება, სანახევროდ აეფარება, აეფარება ვაჟსა ასული, თითქოს საფრთხისგან უნდა იხსნასო.

— მოდით, მამიდა... მამიდა გენაცვალოთ!

ხელს იწვდის მამიდა.

კატა გაიწევს, ჯერ თუ მამიდას მიეტანება, უკეთუ იმა გაწვდილ ხელებსა, მერე ისკუპებს, დატრიალდება, სრიალებს, სლიკინებს სამთა ფერხთ შორისა, უვლის გარეშემო, შიგაც იხლართება ფეხთა თუ ფერხთა, იყოს ფერხთაო, — ფერხთა შორისა, რაღა თქმა უნდა.

— გითხრათ?..

თან თითქოს ტუჩს იკვნეტს გოგონაი.

— მოდით მამიდა...

— გეტყვით...

— ჯერ მოდით...

— ჯერ...

— ცის ქვეშ რაც ითქმის, ჰერქვეშაც ითქმის... მოდით, მამიდა!..

— ოღონდ...

და ნერწყვი ისევ უშრება გოგონასა, ვაჟსლა შეჰყურებს, ის ისევ ისე თავჩაქინდრულა, ისევა მდუმარებს, ენა თუ ჩავარდნია, რატომღაც ჩავარდნია, ანთუ დიდხანს არ დახძრავს კრინტსა, დარცხვენილსაცა ჰგავს, გულმოსულსაცა, გაბედულ-



საცა, დაშინებულსაცა, გაკადნიერებულსაცა და, ღმერთო ჩემო, ლამის გამქრალსაცა მოწიწებისგანა, ასე გაჭედილა ამა წახნაგებში, ლამის გაისრისოს თუ ლამის ზედ შეეხესო, რაც უნდა იყოსო თუ როგორც იყოსო, ძმებს მაინც არა ჰგავს, ძმებსა ამისასა, რაღა თქმა უნდა, არაფრითა ჰგავს, არა არაფრითა, არცათუ სიბრაზითა, არცათუ მორცხვობითა, არა, არაფრითა, — სხვაგვარნი იყვნენ, სხვაგვარნი არიან სიბრაზეშიცა თუ სიმორცხვეშიცა, შორნი არიან, შორით შორეულნი, შორსაც გამდგარან და გულმოსულნიც გამოსცქერიან, — თვითონ რომ იციან, ისე გულმოსულნი, — გამოსცქერიან და ელიან, ელიან, აცა თუ რა მოხდება, აცა თუ რასა იქს ე ჩვენი დაო, გაგვიმართლებს თუ გაგვიმტყუნებსო. აქ რაღაც სხვაა, სხვა ამბავია, რაღაც სხვა რამაა საკითხავი, თორემ ის რაო, რომლისააო, რაღა სათქმელია, როცა სამივენი ეჰაა, შორს გამდგარან და როგორღაც ავად გამოსცქერიან ამ ვიღაც უცხოსა. ვიღაც გარეგანსა, უკეთუ იმასა, ვისაცთუ უნდა დაუახლოვდნენ, ოღონდ ადვილად არ მიიღებენ, ახლოს ადვილად არ გაიკარებენ, მხოლოდ ჯერ ესაა, ეს წამდგარა, დაი იმათი, ჯერ ესა ვნახოთ თუ რასა იქმსო...

— მამიდა?

იკითხავს მამიდა ისეთი შიშითა, თითქოს ესაა, თავზარი დაეცაო.

— მამიდა!..

შესძახებს უმალვე ასულიც ისე, თითქოს და რაო, რა გემართებაო, შესძახებს თითქოს გამამხნევებლადა, თითქოს წყრომისადა, თითქოს იმედგაცრუებისადა, შესძახებს და თვალი გაექცევა, სადღაც შორსა, შორს გაექცევა, სადაცთუ ჰქრება ზოლი ყოველი, ხაზი ყოველი, ლანდი ყოველი, ქარწყლდება ყოველი, უკეთუ ქარწყლდება თვალი და აზრი, — შუათანასია, შუათანასია, ზედგამოჭრილია, შუათანასია.

— მამიდა?..

ისევ მამიდა იკითხავს, უკვე სხვაგვარადა, არა ისე შიშიანადა, — ცოტა მშვიდადა, შემწყნარებლადა, მაინც იკითხავს, მაინც ეჭვითა, მაინც თითქოს ფორიაქითა, იკითხავს და პასუხსაც ელის, მაგრამ აყოვნებს ასული იგი, ისევ იქაა, სადთუ თვალი გაჰქარწყლებია. სადთუ აზრი გაჰქარწყლებია, სადთუ იმედი გარდასწყვეტია, დამსხვრევია თუ დანაფოტებია, იმედი იგი, ასეთ რასაც წამოეყვანა; აყოვნებს და ძალასაც მოიკრებს, თუმცა ნერწყვი ისევ უშრება, მაინც წაიბამს სიტყვაზე სიტყვასა, მაინც აღმოიტყვის მოჩქარებითა, სხაპასხუპითა, თითქოს ზეპირად დაუსწავლიაო, — შუათანასია, შუათანასია, — ბწკალი გადახსნის მოღუშულ თვალთა, შიშიან თვალთა, შუქი გადახსნის თვალთა მამიდასი, შუბლსაც ნათელი წამოადგება, დაეფინება ტუჩსაცა ნათელი და მერე რაო, ძმისწულს მაინც გამოეპარება ნათელი იგი, ნათელი იგი გამოხსნისა მოულოდნელობიდან, გამოეპარება და მიერეკება, მიერეკება სხაპასხუპითა, სხაპასხუპითა, სხაპასხუპითა: — ჩვენ აღარ შეგვეძლო... აღარ შეგვეძლო. — დახეთ თურმე ეს რა ყოფილა, — აქეთ დედაჩემი გაჭირვეულდა, იქით დედამისი... ჩვენ აღარ შეგვეძლო... ჩვენგან რაღაცას მოითხოვენ, რაღაც სიდინჯესა, რაღაც სიბრძნესა, ვერც წარმოიდგენს ადამიანი, ჩვენგან მოითხოვენ და თვითონ ჩვენზედაც მეტი სისულელე ჩაუდენიათ ჩვენი ხნისანი რო ბრძანდებოდნენ, თუნდაც რაო, ნუ ჩაუდენიათ, ჩვენ აღარ შეგვეძლო, მეტი არ შეგვეძლო, ჩვენ ისე პატარები აღარ გახლავართ და ჩვენს ჩვენი გატაცება გვიპყრობს. მეტი რა შეგვეძლო, ერთი სიტყვით, მეტი არ შეგვეძლო, ავდექით და ხელი მოვაწერეთ, ჩუმად მოვაწერეთ ხელი. ავტოსადგურამდე მეგობრებმა გამოგვაცილეს, გამოგვაცილეს და გამოგვემშვიდობნენ, ეგონათ ვიცოდით თუ სად მივდიოდით, ჩვენ რა ვიცოდით, არაფერი ვიცოდით, მივდიოდით და ეს იყო, სადღაც ჰო უნდა წავსულიყავით, შინ თუ აღარ მიგვესვლებოდა, უნდა წავსულიყავით და მივდიოდით, მივდიოდით და არ ვიცოდით, სტიპენდია გვედო ჯიბეში, ეს იყო და ესა, მეტი არ ვიცოდით, — მე არ ვიცოდი, ამან არ იცოდა, არა, არაფერი ჩვენ არ ვიცოდით არც არაფერი, არც არაფრის იმედი გვქონდა. არც თქვენ მახსოვდით, ჰო, არც გიცნობდით, გაგონებით ჰო გამეგონეთ, მაინც არ მახსოვდით, არც არავინ მახსოვდა, ჩვენ მხოლოდ ჩავდევდით ავტობუსთა რიგსა, წარწერებს ვკითხულობდით და უნდა გავყოლოდით ალალბედზედა, ეს იყო და ესა, ამით ვერთობოდით, გულს ვითხებდით თუ შევხაროდით ჩვენს ამა დევნილ ბედნიერებასა... ნუ შემაჩერებთ, სიტყვამ მოიტანა, ეგება სწორიცაა, ეგება არა. მაინც მე ვიტყვი, ბარემ ვიტყვი... და არც ნაცნობი სოფელი შემეფეთა, გაგონილი სოფელი, მამაჩემისგან გაგონილი, ბიძაჩემებისგან გაგონილი, გაგონილი მამიდაც გამახსენდა და გაოგნებული ავვარდი ავტობუსში, გაოგნებული მოულოდნელი სიხარულისგანა. ის წუთი ჩემთვის ყველაფერია, იმ წუთმა მიხსნა და იმ წუთს მივყვები, თქვენ როგორც გნებავთ, მე მართალი ვარ. ჩვენ მართალნი ვართ, ყველასთან მართალნი, თქვენ როგორც გენებოთ გაგვკიცხეთ თუნდაცა, ჩვენ მაინც ცამდის მართალნი ვიქნებით, ჩვენ სადღაც უნდა წავსულიყავით და აი, მოვედით, ჩვენ ეს გვიჭირდა, ეს პირველი ნაბიჯი გვიჭირდა, გზაზე პირველი დადგომა გვიჭირდა, დავადექით და აი, მოვედით, წავალთ და მივალთ, სადთუ მისულან დანარჩენნი, მისულან და ჩვენც მივალთ ცხადია, აქ თუ მოვედით, მივალთ იქაცა... ეს უნდა მეთქვა, ამიტომ გელოდით, თორემ მაშინვე გავბრუნდებოდით. ეს უნდა მეთქვა და მადლობა მეთქვა, — გმადლობთ, მშვიდობით!.. — ასულმა თავი დაჰხარა, ვაჟმაც დაჰხარა, წამიცაო და გაბრუნდებოდნენ. კატა გაეხლართა ორივეს ფეხებში, მერე მამიდას ეტოტინა, შეჰკნავლა ისე, თითქოს და რაო, ვერაფერი გამიგიაო.

— მამიდა!.. — შესძახა მამიდამა, შიშით შესძახა, — ღმერთო მომკალი, ღმერთო, როგორ გაწამებულხართ!.. მოდი, მამიდა... მოდით. მამიდა, ღმერთო მომკალი, ღმერთო მომკალი!. მოდით, მამიდა, მოდით, მოდით, მამიდა გენაცვალოთ!

და კატა ავარდა კიბეზედა, წინ ის ავარდა.

და მერე, სუფრა რო გაიშალა, სახელდახელო სუფრაი, ცხადია, მეზობლებს გასძახა მამიდამა, — გადმოდით ერთი, გადმოიარეთო, ერთი ე სიძე დაგვითვალიერეთო, სული რო შეუბეროო, წაიქცევა, ქალი კი მოუტაცნიაო.

# ზაქარია ფალიაშვილის პორტრეტი

პორტრეტული ჟანრის ერთ-ერთი თვალსაჩინო ოსტატი, პროფესორი გიორგი თოთიბაძე ოცნებობდა შეექმნა ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი კომპოზიტორის, თეატრალისა და საზოგადო მოღვაწის ზაქარია ფალიაშვილის ინტელექტუალური და სკულპტურული სახის ამსახველი პორტრეტი.

ამ მიზნისათვის ავტორმა შეისწავლა უბადლო ხელოვანის შემოქმედებითი ბიოგრაფია, გაეცნო იკონოგრაფიულ მასალას და ზ. ფალიაშვილის წინაპრების პორტრეტებს. ამ მონაცემების საფუძველზე მხატვარმა ვარიანტული, სხვადასხვა ტექნიკით შესრულებული კომპოზიციები შექმნა. ერთ-ერთი მათგანია ზეთით შესრულებული ზაქარია ფალიაშვილის პორტრეტი.

სურათი ზაქარიასეული პორტრეტული და ფსიქოლოგიური ფაქტორებით არის დაგვირგვინებული. მხატვარმა გახსნა კომპოზიტორის მდიდარი სულიერი სამყარო, მისი შინაგანი ძალა, ზ. ფალიაშვილის ინტელექტი, ტალანტის შესატყვისი მდიდარი ხასიათი.

კომპოზიტორი თავის სამუშაო ოთახშია. უკანა პლანზე განლაგებულია სახვითი ხელოვნების ნიმუშები; კომპოზიტორი სავარძელში ზის, კლავირს ღრმად ჩაფიქრებული დასცქერის და აანალიზებს თავისი უკვდავი მუსიკის ჰანგებს, მარჯვენა ხელი აუწევია, რაც სურათს კომპოზიციურად ამთავრებს.

ნაწარმოები შესრულებულია რეალისტური, სტილით. სწორედ ამიტომ ვინც იცნობდა კომპოზიტორს, მის უკვდავ სახეს ერთხელ კიდევ ნათლად წარმოუდგენს, ხოლო მათ, ვისაც არ უნახავს — ნათელ წარმოდგენას შეუქმნის ეროვნული კლასიკური მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებლის მდიდარ შინაგან სამყაროზე.

ეს სურათი ზ. ფალიაშვილის სახლ-მუზეუმს ამშვენებს. გთავაზობთ პორტრეტის ფოტორეპროდუქციას.

**სიმონ ნაციაშვილი,**
საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.



ზაქარია ფალიაშვილის პორტრეტი

მხატვარი გიორგი თოთიბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ“ აღნიშნულია, რომ „მუშათა კლასის, ყველა ქვეყნის კომუნისტთა სოლიდარობა საერთო მიზნებისათვის, ეროვნული განთავისუფლებისა და სოციალური პროგრესის მისაღწევად ხალხთა ბრძოლის მხარდაჭერა, — ეს არის ხორცშესხმული პროლეტარული ინტერნაციონალიზმი“.

ამ სიტყვების ერთ-ერთი მკაფიო გამოხატულებაა ის მხარდაჭერა და მეგობრული დახმარება, რომელსაც ქართველი მეტალურგები უწევენ სოციალისტურ ვიეტნამს ახლადაღორძინებული ინდუსტრიისათვის საჭირო კადრების მომზადების საქმეში.

ვიეტნამელი ახალგაზრდების პირველი ჯგუფი ამ რამდენიმე წლის წინათ ჩამოვიდა რუსთავში. მას შემდეგ რუსთავის № 3 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი სისტემატურად იღებს შორეულ ვიეტნამიდან მეტალურგთა პროფესიის შესასწავლად ჩამოსულ ახალგაზრდებს.

მოძმე ქვეყნების წარმოგზავნილებს ქართველ მეტალურგთა ქალაქში ყოველგვარი პირობები აქვთ შექმნილი საუკეთესო სწავლა-შრომისა და გართობა-დასვენებისათვის.

ისინი გამოცდილი სპეციალისტების ხელმძღვანელობით ეუფლებიან რუსულ ენას, სწავლობენ სხვადასხვა საგნებს, პრაქტიკულად და თეორიულად ითვისებენ მეტალურგთა რთულ პროფესიას.

სამშობლოში დაბრუნებულ ყოველ ჯგუფს თან მოჰყვება ღრმა ცოდნა, რუსთაველი მეგობრების, აღმზრდელი მასწავლებლების, საქართველოში გატარებული დღეების თბილი და ნათელი მოგონება.





# ვიეტნამელები საქართველოში

სოსო დავითაშვილისა და მალხაზ დათიკაშვილის ფოტო












ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფოლადეები

მხატვარი კოკი მახარაძე

# დღე დაუვიწყარი



ადამიანის ცხოვრებაში არის განსაკუთრებული სიხარულით აღსავსე დღეები, რომლებიც არასდროს დაგავიწყდება. კასპის ცემენტის ქარხნის შიფერის წარმოების დამფორმებელი მანქანის მემანქანის შალვა ნატროშვილისათვის მიმდინარე წლის 17 მარტი ორმაგად ღირსშესანიშნავი იყო.

ამ დღეს, რესპუბლიკისათვის საზეიმო დღეს, მონაწილეობდა იგი პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მუშაობაში, რომელიც საქართველოსათვის საკავშირო გარდამავალი დროშის გადაცემას მიეძღვნა. ამ დიდ ზეიმზე საქვეყნოდ გაისმა მისი სახელი. სხდომის თავმჯდომარემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. კოლბინმა კრების მსვლელობისას გამოაცხადა:

— ეს-ეს არის კასპის ცემენტის ქარხნის შიფერის წარმოების დამფორმებელი მანქანის მემანქანის შალვა გაბრიელის-ძე ნატროშვილის სახელზე მიღებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მისასალმებელი წერილი.

დარბაზში გაისმა პარტიის ლიდერის ღრმაშინაარსიანი, გულშიჩამწვდომი, ღრმაადამიანური გრძნობით გამსჭვალული სიტყვები.

საქართველოს სსრ, კასპის რაიონი
კასპის ცემენტის ქარხნის შიფერის წარმოების მემანქანეს ამხ. შ. გ. ნატროშვილს.

**ძვირფასო შალვა გაბრიელის-ძევ!**

**მადლობას მოგახსენებთ თქვენს დეპეშაში გამოთქმული გულთბილი გრძნობებისათვის, იმისათვის, რომ ესოდენ დიდ შეფასებას აძლევთ პარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობას ლენინური კურსის — საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესების, ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრების კურსის განხორციელებისათვის.**

**დიდად გამახარა თქვენი კოლექტივის საწარმოო მიღწევების ამბავმა, სულით და გულით გისურვებთ თქვენ, თქვენს თანამშრომელ ამხანაგებს, ახალი წარმატებები მოგეპოვებინოთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში, მეათე ხუთწლედის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის მიმდინარე ბრძოლაში.**

**პატივისცემით ლ. ბრეჟნევი.**
1977 წლის 14 მარტი.

წერილის წაკითხვისთანავე შალვა ნატროშვილი პრეზიდიუმში მიიწვიეს. დარბაზი მქუხარე ტაშით შეეგება სახელოვანი ადამიანის შრომის მაღალ შეფასებას. ასეთი ბედნიერება ჩვენში ღირსეულთა ხვედრია!

ეს მისალოცი წერილი შალვა ნატროშვილმა მიიღო იმ დეპეშის პასუხად, რომელიც მან გაუგზავნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ქალაქ ტულისათვის „ოქროს ვარსკვლავის“ მედლის გადაცემისას წარმოთქმულ სიტყვასთან დაკავშირებით.

შალვა ნატროშვილი მუშური სინდისით გულწრფელად წერდა:

**თქვენმა ისტორიულმა გამოსვლამ უსაზღვროდ აღგვაფრთოვანა. ჩვენზე განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება დატოვა სიტყვის იმ ნაწილმა, სადაც ლაპარაკობთ ხალხის კეთილდღეობის ზრდაზე. მადლობა პარტიის სიბრძნეს, მის ცენტრალურ კომიტეტს, პირადად თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, იმ ტიტანური მუშაობისათვის, რასაც ეწევით ლენინური კურსის განხორციელებისათვის, რომლის მიზანია საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა, ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრება, ძმობა, მეგობრობა, ურთიერთთანამშრომლობა.**

გარწმუნებთ, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, რომ ამ დიდ მზრუნველობას გაასკეცებული ენერგიით ვუპასუხებთ. პირადად ჩემი საოქტომბრო ვალდებულება იყო გეგმის ზევით 100 ათასი ფილა პირობითი შიფერის გამოშვება, ფაქტიურად გეგმის ზევით დავამზადებ 150 ათას ცალს“.

ეს არის უბრალო მშრომელი ადამიანის გულწრფელი დაპირება, რომლის სიტყვას მუდამ ამშვენებს ცოცხალი, პრაქტიკული საქმე.

* * *

რესპუბლიკის ამ ერთ-ერთ უძველეს საწარმოში შალვა ნატროშვილის სახელი კარგად არის ცნობილი. დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში მოვიდა აქ სამუშაოდ თექვსმეტი წლის პირტიტველა ჭაბუკი. მამა ფრონტზე დაეღუპა, დედას უჭირდა მრავალსულიანი ოჯახის შენახვა. შალვას უნდა ეზრუნა უმცროსი და-ძმის გამოზრდაზე. შალვამ მშობლიური საწარმო გულითადად შეიყვარა. ოცდაცამეტი წელია თავდაუზოგავად იღწვის მისი სახელისა და ღირსებისათვის.

სიამოვნებით იგონებს შალვა პირველ ცნობილ მეცემენტესთან, სოციალისტური შრომის გმირთან ვარდენ მანძულაშვილთან შეხვედრას. ვარდენმა იგი თავისთან მიიწვია სამუშაოდ.

ვარდენ მანძულაშვილის ხელმძღვანელობით, გამოცდილი კადრის მუშების სოლომონ წიკლაურის, დიმიტრი გორგაძის, ვასილ კოტიაშვილის, ვალერიან მაისურაძის, ივანე გეჯაძისა და სხვათა გვერდით ყალიბდებოდა მისი მუშური ხასიათი. შალვამ მუყაითი შრომით კოლექტივის ყურადღება მიიპყრო. მის თავდადებაზე უკვე ლაპარაკობდნენ კრებებზე, წერდნენ გაზეთებში.

შალვამ ოთხი წელი იმუშავა მბრუნავი ღუმელის მემანქანის თანაშემწედ. როცა კასპში შიფერის წარმოებას ჩაეყარა საფუძველი, შალვა ნატროშვილს თავისმა დამრიგებელმა ვარდენ მანძულაშვილმა სიყვარულით დაულოცა გზა დამოუკიდებელი შრომისაკენ.

* * *

შალვა ნატროშვილი თითქმის სამი ათეული წელია შიფერის, წარმოებაში დამფორმებელი მანქანის მემანქანედ მუშაობს. მასზეა დამოკიდებული მეტი და ხარისხიანი სახურავი მასალია გამოშვება, რომელზეც ქვეყნის სახალხო მეურნეობის დიდი მოთხოვნილებაა.

დაკვირვებული და გულისყურიანი, მომთხოვნი თავისი თავისა და სხვებისადმი, ადვილად ართმევს თავს ამ რთულ უბანს. ცვლაში მისი მანქანა ოცდასამი ათასამდე ფილა პირობით შიფერს უშვებს, რაც ბევრად მეტია ვიდრე გეგმით გათვალისწინებული. ხარისხს ხომ არ იკითხავთ? რეკლამაცია აქ არც იციან რა არის. შალვას დამსახურებაც არის კასპური შიფერი მსოფლიოს სტანდარტების დონეზე რომ დგას.

ნოვატორი მემანქანე სოციალისტურ შეჯიბრებაში ხშირად იმარჯვებს. მინიჭებული აქვს კომუნისტური შრომის დამკვრელის, ხუთწლედის დამკვრელის წოდებები.

— შალვა ნატროშვილმა შრომაში თავისი უმცროსი ძმებიც გაიყოლია, — გვითხრა კასპის ცემენტის ქარხნის დირექტორმა თენგიზ ალიბეგაშვილმა და იქვე დასძინა, — მომდევნო ძმა უშანგი ბლოკების საამქროში ყველაზე მოწინავეა, ალექსი ქარხნის წარჩინებული ტრანსპორტელია, ბორისი შესანიშნავი ზეინკალია. ჩვენს კოლექტივში ნაყოფიერად იშრომა შალვას მეუღლემ — მარგო ქესაურმა. ნატროშვილების დინასტია ყველაზე მოწინავეა ჩვენს ქარხანაში!

* * *

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებიდან შალვა გახარებული დაბრუნდა, საკუთარ სახლში შეიარა, ჩვეულებისამებრ მოეფერა შვილიშვილებს, შვილს — პაპის მოსახელე გაბრიელს (იგი კასპის ელექტროაპარატის ქარხნის მოწინავე სპეციალისტია), გამოკითხა თუ როგორ შრომობს ბოლო დღეებში, მერე სპეცტანსაცმელი გადაიცვა და მშობლიურ საწარმოს მიაშურა.

მეგობრები, ამხანაგები გულით ულოცავდნენ შალვას სასიხარულო მოვლენას. მერე ქარხნის მუშა-მოსამსახურეები კლუბში მიტინგზე შეიკრიბნენ, კვლავ მილოცვები, კეთილი სურვილები...

შალვა ნატროშვილი აღელვებული მივიდა ტრიბუნასთან.

— ულრმესი მადლობა მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს იმ დიდი სიხარულის მინიჭებისათვის, რასაც ამ დღეებში განვიცდი. ეს ხომ პარტიისა და ხალხის ერთიანობის, მშრომელი ადამიანების უსაზღვრო სიყვარულის ნათელი დადასტურებაა, რაც გვავალებს ვიმუშაოთ ყოველდღე წარმატებით, გადაჭარბებით შევასრულოთ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი, გამოვუშვათ მხოლოდ მაღალხარისხოვანი პროდუქცია!

შალვა ნატროშვილი ყოველდღიურად ზრდის პირად მაჩვენებლებს. მის ანგარიშზე უკვე 70 ათასი პირობითი ფილა ზეგეგმითი შიფერია. მის მიერ გამოშვებული შიფერი კი მალე იქნება წარდგენილი ხარისხის სახელმწიფო ნიშანზე.

შრომაშია სიხარული და ბედნიერება. ალალმა შრომამ საქვეყნო დიდება და სახელი მოუტანა უბრალო მშრომელ ადამიანს. იგი ახალი ძალით ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში და გადაწყვიტა ხუთწლიანი გეგმის სამწელიწად-ნახევარში შესრულება უპატაკოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს.

დავით ბიწაძე.

# ბიჭი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლალი მარტაშვილი

მოთხრობა

მხატვარი

თენგიზ სამსონაძე

— ერთი ბიჭის გაზრდას ცხრა კოდი ფეტვის დაჩვრეტა მირჩევნიაო, ნათქვამიც არის და მართალიცაო — თქვა დედაჩემმა, როცა ფანჯარასთან ვიყავით ატუზულები და ჩვენი გადარეული ბიჭის მოლოდინში ქუჩას გავყურებდით.

ვარსკვლავიანი ღამეა. მოპირდაპირე შენობის ფანჯრებმა სათითაოდ დახუჭეს თვალები. ქუჩა ხელისგულივით დაცარიელდა. აბა, თუ ვინმემ მაინც შემოუხვია, რომ ჩვენი ბიჭი გვგონებოდა და ერთ წუთს ნერვები დაშვებულიყო.

მამაჩემი რა ხანია დაწვა. ვიცი, არ ძინავს. რა დააძინებს.

ჩვენი ვიშვიში მამაჩემმა გაიგონა, გამოვიდა და დაგვიცაცხანა, ახლავე დაწექითო. მე მაშინვე გავტუნტულდი და ლოგინში ჩავწექი. ვარ მოკუნტული, თვალები მიჭყეტია და სმენად ვარ გადაქცეული.

ფეხის ხმა... ყრუ, ძალიან ყრუ თანდათან ნათელი ხდება. გაჩერდება ეს ხმა ჩვენს ქვევით, მეოთხე სართულზე? არ გაჩერდა. მოდის, მოდის და ზარიც დაირეკა. კართან გავჩნდი.

მობრძანდა ჩვენი ოჯახის შემარცხვენელი. მე არაფერს ვამბობ. რაკი ცოცხალია, აღარაფრის თქმის თავი არა მაქვს. „შენ მოუკვდი შენს დედას", — არც დედაჩემს აქვს მეტის თქმის თავი. ბიჭი კი შემოსვლისთანავე შევარდა აბაზანაში, კარი ჩაიკეტა და სანამ სახლი არ ჩაწყნარდა, იქიდან არ გამოსულა.

მეორე დილით იწყება ჩვენი ბიჭის დაკითხვა და მაშინ აჩქარდება, ვითომ არა აქვს დრო პასუხისათვის, სკოლაში აგვიანდება. კინოში იყო ამხანაგებთან ერთად, რა მოხდა? ბიჭი იღებს გატენილ ჩანთას, რომელიც ორ-სამ დღეში ერთხელაც არ იხსნება და სკოლაში გარბის.

ვერა და ვერ ასწავლა დედაჩემმა ბიჭს სკოლიდან პირდაპირ სახლში მოსვლა. უყურებს საათს დედაჩემი — ბიჭმა დაიგვიანა ხუთი წუთი; ეს არაფერი, 15 წუთი, ესეც არაფერი, ნახევარი საათი, დედაჩემს მერე თოკითაც ველარ დააბამ, ქუჩაში გარბის; ქუჩაში სიწყნარეა, ხალხი არსად არ არის შეგროვილი, ე. ი. მშვიდობაა ჩვენს თავს. მივა, სადმე ბიჭებთან ნახავს, ჩაავლებს ხელს და სახლში წამოიყვანს.

ჩვენი ბიჭი თორმეტი წლისა ბრძანდებოდა, პირველად მილიციაში რომ მოხვდა — შურდულით „სხვისი" სკოლის ფანჯრები ჩაელეწა.

ბიჭმა დაიგვიანა, მივაწყდით სკოლას, ქუჩებს, ახლობლებს, ვერა გავიგეთ რა და... მილიციელი ჩვენს კარზე! როგორი საქმეა? მუხლმოჭრილებმა გავაღეთ კარი.

— თქვენი ვაჟია? — იკითხა მილიციელმა და ქაღალდში ჩაიხედა.

მე და დედაჩემი ვდგავართ გაფითრებულები, სანამ ეს კაცი ჩვენი ბიჭის უბედურებას იტყვის.

მე და დედაჩემი მილიციაში გავვარდით, ცრემლისაგან თვალებდათხრილი ბიჭი თავის განუშორებელ ამხანაგთან ერთად სამორიგეოში იჯდა. სხვა სკოლის მოწაფეს „ცუდი სიტყვა" (მიყვარხარო) ეთქვა მათი თანაკლასელი გოგოსათვის და ამ ვაჟკაცებს არ უპატიებიათ და „მტრის" სკოლის ფანჯრები ჩაულეწავთ. დაიტოვა მილიციამ ჩვენი ბიჭის ავტოგრაფი, რომ დღეის იქით ასეთ სისულელეს აღარ ჩაიდენდა და წამოვიყვანეთ სახლში.

გადავწყვიტეთ, უნდა დავტვირთოთ ბიჭი. წაიყვანა დედაჩემმა ჩვენი ნათესავის სიძესთან კულტსახლში ქორეოგრაფიულ წრეს რომ ხელმძღვანელობდა. ქორეოგრაფმა სმენა გაუსინჯა და დაიტოვა. საცაა კონცერტზე გამოიყვანენ ბიჭს. მეზობლის ბიჭი ხატვის წრეზე დადიოდა, კარგადაც ხატავდა, ჩვენმა ბიჭმაც სცადა, კარგი გამოუვიდა, იმ ბიჭმა შეაგულიანა. და ამანაც ცეკვა მალე მოიმწვანილა, ატყდა, ხატვის წრეში მინდაო, წავიყვანეთ, ნახეს, მოეწონათ, მიიღეს.

გულზე ვარდი გვეფინებოდა ისეთ ლამაზყელიან სურებს ხატავდა ნატურიდან. სამი წელი ვატარეთ, არ ვაკლებდით ფანქრებსა და სახატავ ალბომებს. ხატა და ხატა ყელიანი სურები, პირმოტეხილი დოქები და ესეც მოსწყინდა. არადა არ გადაიყვანეს იმათაც უფრო რთულზე, არც გამოფენაში მიუღია მონაწილეობა მის ჯგუფს და ამაზეც აიცრუა გული. გაუჩნდა ახალი გატაცება — ფეხბურთი. ბიჭი მგელივით იდგა კარში და ვეფხვივით აცხრებოდა კართან გაჩენილ ბურთს, ხან ცაში იყო და ხან მიწაზე ეგდო გულზე ბურთმიხუტებული. აქებდნენ და ადიდებდნენ.

დროის ფასი მაინც ვერ ვასწავლეთ. ფეხბურთის შემდეგ პირდაპირ სახლში არ მოდიოდა, ორი საათი არ გადეცილებინა, შეუძლებელი იყო.

— სად იყავი? — ღრიალებდა მამაჩემი.

— კინოში, — იყო პასუხი.

— რომელი ფულებით?

— ამხანაგმა წამიყვანა.

თუ ბიჭი ამბობდა — გოგო გავაცილეო, ჩვენ ხმას არ ვიღებდით — რა ვუყოთ, ბიჭია, გოგოსთან რაინდობას იჩენს და სახლში აცილებს, ეს ხომ საძრახისი არ არის!

— ჩვენი ბედნიერება შენზეა დამოკიდებული, — აუჩვილდება ხანდახან გული დედაჩემს, — არაფერი მაკლია ბედნიერებისათვის შენი კაიბიჭობის მეტი...

ბიჭმა კარგად იცის დედაჩემის სუსტი მხარე, ამ დროს მივარდება და ლოყებს უკოცნის (კოცნა მისი ხელობაა), თან ჰპირდება, „აი, ნახეო".

როცა ბიჭი ავად არის, ჩვენს სახლში სრული სიმშვიდეა. იგი წევს გაჩუმებული, დედაჩემი კი ენერგიადქცეული ფუსფუსებს და ფუსფუსებს. ბიჭი შინ არის და უვლის ოჯახს ქალი, უვლის თავის გადარეულ ბიჭს. გადარეული ბიჭი კი აგერ ლოგინში წევს.

... ფეხბურთიდან მოვიდა ბიჭი, ძლივს, თავის დროზე; მე სპორტულ ჩანთას მივვარდი. ტანსაცმელი უნდა დავუბერტყო, თორემ თვითონ ისე ბალახსა და მტვერში ამოგანგლულს ჩაილაგებს ჩანთაში. რაც გინდა მითხარი და ბიჭი ფეხბურთზე არ ყოფილა-მეთქი ვეუბნები დედაჩემს. რა იციო. შეცბა დედაჩემი. როგორც ჩავულაგე, ისევ ისე დამხვდა ჩანთა-მეთქი. ჩვენმა ცრუპენტელამ მაინც სცადა თავისმართლება, მაგრამ აქეთ ჩვენი ბიჭი და იქით ფაქტი — ორივე ჯიუტად იდგა.

ხუთშაბათს ისევ თავის დროზე მოვიდა ბიჭი. გავუხსენი ჩანთა, ტანსაცმელი ისევ ისეთი წესრიგითაა ჩალაგებული, როგორც მე ჩავულაგე, ოღონდ ზედ მიწა აქვს მოყრილი, რა არი, ასე გამიჭუჭყიანდა თამაშში ტანსაცმელიო. დედაჩემი მწვრთნელთან წავიდა. ორი კვირაც არის არ დადის ვარჯიშზეო, შეწუხდა ისიც; ეგონა, ჩვენ ვიცოდით.

...მეცხრე კლასში იყო იმ წელიწადს, ისევ მილიციის კარს რომ მივადექით. დაუდგეს თვალი, თაგვმა თხარა, თხარა კატა გამოთხარაო, არ მოისვენა? არ დაგვიჯერა? აი, რა მოუვიდა დედის წინ მარბენალ კვიცს.

მაინც რა ჩაიდინა? ვნახეთ. ხშირი წამწამები ცრემლით ჰქონდა დანამული. „თუ მნახონ მე დღეის იქით ქუჩაში", — დაგვიდო პირობა ბიჭმა. ჩვენ სირცხვილით თვალს ვერ ვუსწორებთ მილიციელებს — თურმე ცხრა საათზე შემოუვლიათ ქუჩები დ დაუკავებიათ უსაქმური ბიჭები.

ისევ დაიტოვეს ჩვენი ბიჭის ავტოგრაფი.

„ორები" ჩამომწკრივდა მისი გვარის გასწვრივ საკლასო ჟურნალში, წიგნი თვალით არ უნახავს და უწიგნოდ ვის რა უსწავლია?!

მამაჩემმა სკოლაში მიაკითხა, დღეს არ ყოფილაო, — უთხრეს. ბიჭი შუადღის შემდეგ მოვიდა სახლში. ისეთი ცხელი სილა მოხვდა ორივე ლოყაში, მხარგრძელის სილა რა სათქმელია, მამაჩემის ხუთივე თითის ანაბეჭდი სურათივით დაეხატა სახეზე. ბიჭი სახლიდან გავარდა. დედაჩემს ჭირი დაემატა, ვერც მამაჩემს უთხრა რაიმე და ვერც გამოკიდება გაბედა. იმაზე ვდარდობდით, დღეს სკოლა რად გააცდინაო, სად იყო შუადღემდეო და ახლა იმაზე უარესი ჭირი გაგვიჩნდა. დედაჩემს თვალი ვუყავი და მამაჩემის ჩუმად სახლიდან გავიპარე. მივრბივარ, მაგრამ რას მივრბივარ. რა გინახავს და რას დაეძებ, ქალაქია, კაცს იპოვი? ბოლმით სავსეს ორიენტაცია მეკარგება; შოფრები გადავრიე, რას არ მეუბნებიან; მარტო წინ ვიყურები და თვალებს ვაცეცებ.

გათენდა და ისევ დავდივართ, დავეძებთ, ისევ უშედეგოდ. მოვალთ დაქანცულები სახლში და ჩემი პატარა და შეგვეგებება. საწყალი ბავშვი მთელი დღე მარტოა სახლში და გაკვეთილებს ჩაკირკიტებს. ის რომ არ გვყავდეს, რა გვეშველება, ჩვენ კარს გამღები ხომ უნდა? იქნებ მოვიდეს ბიჭი!

არ ნელდება ჩვენს ოჯახში დაძაბულობა, საწყალი გოგო მაინც კარგად სწავლობს. კლასში თუ ორი მოწაფეა მოწინავე, მესამე ჩვენი გოგოა. სწავლობს, რომ ჩვენი ოჯახის დაცემული ავტორიტეტი თავისი კაიქალობით აღადგინოს. გუშინ სკოლიდან ატირებული მოვიდა. ჩვენი ბიჭის კლასის ხელმძღვანელი, მარგო მასწავლებელი, გოგოს ბიოლოგიას ასწავლის. მთელი გაკვეთილი თურმე ჩვენი ბიჭის აუგი ილაპარაკა კლასში, გოგო შერცხვენილა თავის ამხანაგებში. დედაჩემს სისხლი ყელში მოაწვა, საგარეო კაბა გადაიცვა და სკოლაში წავიდა. ნახა მარგო მასწავლებელი და კატეგორიული ტონით შეეკითხა:

— ჩემი შვილი მზია გიშლით ხელს გაკვეთილზე?

— არა! — იყო პასუხი.

— სწავლაში ჩამორჩება?

— არა! — იყო პასუხი.

— მაშ აღარ გავიგონო, რომ მისი ძმის შესახებ რაიმე ილაპარაკოთ კლასში! — ბრძანა დედაჩემმა და გამოტრიალდა.

— არ მინდა, არა, მომაშორეთ კლასიდან თქვენი ბიჭი, გადაიყვანეთ სხვა სკოლაში, მე მაგის დევნის თავი არა მაქვს! — მოსძახოდა დედაჩემს თურმე მარგო მასწავლებელი.

...აღარც ჩვენ მივდივართ მილიციაში და არც ისინი გვატყობინებენ რაიმეს — ჩვენც დადუმებული ვართ და ისინიც. დღეს დილით კი (ეს მეოთხე დღეა) ჩემ პატარა დას სიმღერა აუტყდა, და თან რასა მღერის: „ეეხ რაზ, იშჩო რაზ, იშჩო მნოგო, მნოგო რაზ“... მესიამოვნა, რომ საშინელი დუმილი სიმღერით დაირღვა, იქნებ კეთილი დილა გაგვითენდა! და კარზე ზარიც გაისმა. ფოსტალიონმა დეპეშა გადმოგვცა, ჩავყურებ დეპეშას და ვერა გამიგია რა — ასოები ერთმანეთში ირევა. იმ მარჯვენას ვენაცვალე, რომელმაც ჩაწერა სიტყვა „ზადერჟან“. ბიჭი დაკავებულიაო, ვახარე დედაჩემს, იწერებიან ქალაქ სოჭის მილიციიდან. ჩვენი ბიჭი გაქცეულა, თავისი მსგავსი ორი ბიჭი შეუპირებია, ერთს სახლიდან რადიომიმღები გამოუტანია, ვიღაცისთვის მიუყიდნიათ და იმ ფულით ბედის საძიებლად წასულან — ქვეყანა დიდია, ვიმუშავებთ და ვიცხოვრებთო, ჩვენი თავის ბატონები ჩვენ ვიქნებითო. ჯიბეში არაფერი. ტანზე არაფერი, თავში არაფერი, ასე მარტო გვარითა და სახელით გავიდნენ ცხოვრების გზაზე.

გაფრინდა საწყალი მამაჩემი სოჭში და იმ დღესვე ჩამოიყვანა ჩვენი შემარცხვენელი.

დედაჩემმა დაიწყო ისევ სადილების კეთება და ოჯახის მოვლა. ჩვენი ბიჭი ჯერჯერობით თავს იჭერს. ახლა კლასის ხელმძღვანელი გახდა ჩვენთვის ყველაზე ძნელი უბანი: ბიჭმა დღეები გააცდინა და საბუთი მომიტანეთო. დედაჩემმა გულახდილად უთხრა, რაც გვჭირდა, მაგრამ ის მაინც საბუთს გაიძახოდა. ვერ მივუტანეთ საბუთი.

— ღმერთო, ამრავლე ირაკლისთანა ბიჭები! — ლოცავს დედაჩემი ბიჭის კლასის ამხანაგს.

ახლა დიდი ზეიმი ახლოვდება და ჩვენი ბიჭიც დადის ფეხბურთის სტადიონზე, ისიც დიდი ზეიმის მონაწილეა.

ჩემი ძმის ცუდ ამხანაგს მამაჩემი „ჩვიდმეტი წლის ვირად“ იხსენიებდა. იგი ორი წლით უფროსია ჩემ ძმაზე და ორი მისხალით მეტი ჭკუა აქვს. „ვირიო“ რომ იტყვის მამაჩემი, პაპაჩემის ვირი მახსენდება ხოლმე და მიკვირს რა შესადარებელია ის ღვთის გარეგანი ჩვენს ვირთან. პაპა ძალიან აფასებდა მორჩილ პირუტყვს. ექვსი ფუთი ამიკიდნიაო, იტყოდა ხოლმე და წისქვილის სიძვირეში გაღმა, ჩადუნიანში გამიტანია საფქვავიო. ოცი წელიწადი ემსახურა ოჯახს ის ვირი. პაპაჩემი ბებიის ჩუმად ხშირად სიმინდსაც აჭმევდა ხოლმე. ერთ დღეს ვირი ავად გახდა, დაწვა და ვეღარც ავაყენეთ. ბებიამ ვეტექიმიც მოიყვანა, ვერაფერი უშველეს.

— მომკვდარა! — ისეთი დანანებით თქვა ბებიამ გათენებისას, რომ ყველას გული დაგვწყდა. მერე თქვენ გგონიათ პაპამ გადაათრია სოფლის ბოლოში და სამგლედ გახადა? ჩვენს ბაღჩაში, კაკლის ძირას გათხარა სამარე და დამარხა.

— მოგვეცი შრომის საშუალება, შვილო, დაგვასვენე, დაგვაწყნარე, გვაშრომე ისევ შენი უკეთესი მომავლისათვის, — კვნესოდა ჩემი დედმამა, სანამ ახალგაზრდები იყვნენ.

გავიდა წლები, მამაჩემი პენსიაშია, ხანდახან საჭადრაკო კლუბში თუ წავა. დედაჩემი აღარ კერავს; ჩემი ძმა? თვითონ არის მამა და მკაცრად მოითხოვს, რომ შვილი დამჯერი იყოს.

ახლა ჩვენს ოჯახში სიმშვიდეა, ჩემს დედ-მამას აქვს შრომის უფლება, მაგრამ სადღაა ჯანი?!

## თეატრალური მოთხრობანი

# გთხოვთ, ელენა სერგეევნა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსთაველის თეატრი საგასტროლო მოგზაურობაშია ქალაქ კიევში. ბუმბერაზი მსახიობი აკაკი ხორავა მაშინ კიეველი მაყურებლის წინაშე თავისი განთქმული ოტელოსა და ოიდიპოს როლებით წარსდგა.

„ოიდიპოს მეფე“ მიდიოდა. ამ დადგმაში მე მხევალი ქალის როლს ვთამაშობდი. აკაკი ხორავას ხმა გრგვინავდა და კიევის ოქტომბრის სასახლის კედლები ექოს გამოსცემდა. მთელი დარბაზი ფეხზე იდგა და აღტაცებული ყვიროდა: „ბრავო“, ხორავა! ბრავო, ხორავა!“

მე, აკაკი ხორავას ყოფილი სტუდენტი, ჯერ კიდევ დამწყები მსახიობი, მოკრძალებული მისი დიდი ხელოვნებისა და სახელის წინაშე, მისმა ასეთმა წარმატებამ მთლად დამატყვევა.

დამთავრდა წარმოდგენა. ახალგაზრდები საგრიმიორო ოთახებში ერთმანეთს წარმოდგენის შთაბეჭდილებებს ვუზიარებდით და დიდხანს შევყოვნდით. გარეთ კი თეატრალური კიევის მესვეურნი აკაკი ხორავას შემოხვეოდნენ, მის ოიდიპოსს ხოტბას ასხამდნენ და საგანგებო წვეულებაზე ეპატიჟებოდნენ; ბატონმა აკაკიმ მიწვევა მიიღო და თქვა:

— წავიდეთ, იქ გავაგრძელოთ ჩვენი საუბარი!

— თუ შეიძლება, ცოტაც მოვიცადოთ, ბარემ ელენა სერგეევნაც გამოვიდეს! — თქვა იური ტიმოშენკომ (ტარაპუნკამ), რომელთანაც ვმეგობრობ.

— კი, ბატონო, როგორც მიბრძანებთ! — დაეთანხმა ბატონი აკაკი.

ამასობაში მეც გამოვედი და ტარაპუნკასა და მის მეუღლეს გვერდში ამოვუდექი. საუბარი გაგრძელდა.

აკაკი ვასაძე ქართულად შეეკითხა ხორავას.

— რას ვუცდით?

ბატონმა აკაკიმ უპასუხა:

— რა ვიცი, ვიღაც ელენა სერგეევნა უნდა გამოვიდესო!

— წამობრძანდით, უკვე დაგვიანდა! — შეახსენა სტუმრებს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა, უკრაინის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ ნატალია უჟვიმ.

— არავითარ შემთხვევაში, — თქვა ბატონმა აკაკიმ, — უხერხულია, დაველოდოთ ელენა სერგეევნას!

— აი, უკვე მოვიდა, წამობრძანდით! — თქვა ტარაპუნკამ და ჩემზე მიუთითა.

აკაკი ელენა სერგეევნას შესაგებებელად ღიმილით შემობრუნდა და მე რომ შევრჩი, ქართულად დაიბუბუნა:

— შენა ხარ, ბოშო, ელენა სერგეევნა? შენ გელოდებოდით ამდენი ხალხი? — მერე ხაზგასმული თავაზიანობით მომმართა: — **Прошу, Елена Сергеевна!**

**ელენე საყვარელიძე**

# ძველი პრესის ფურცლებიდან

## უხელო და უფეხო მხატვარი

როგორც გაზეთები იტყობინებიან, ინგლისში ერთი მხატვარი ქალი ცხოვრობს, რომელსაც არც ხელები აქვს და არც ფეხები. ეს ქალი ყველაფერს კბილებით და ტუჩებით აკეთებს, მაგრამ შემოსავალი იმდენი აქვს, რომ თვითონაც რიგიანად ცხოვრობს და მოხუც დედ-მამასაც კარგად აცხოვრებს. როდესაც მხატვარი ქალი წერს ან ხატავს, კალამი, ფანქარი ან სახატავი კბილებით უჭირავს ხოლმე. ისეთ კარგ სურათებს ხატავს, რომ მყიდველი ყოველთვის ბლომად ჰყავს.

ბევრმა არ კი იცის, ვინ არის ეს მხატვარი ქალი და როგორ არის დახატული სურათები. ხელსაქმესაც ეს უცნაური ქალი კბილებით აკეთებს. ასე გასინჯეთ, ძაფს ნემსში თვითონ გაუყრის ხოლმე. დაარჭობს ნემსს მაგიდაზე, შემდეგ კბილებით აიღებს ძაფს და თვალის დახამხამებაში გაუყრის.

## დაპატიმრებული მინისტრი

პორტუგალელი მინისტრი პერეირადას საპროსი დიდი მოყვარული ყოფილა ძველი წიგნების. იშვიათად ჩაივლის თურმე ისე დღე, რომ ამ მინისტრმა ნახევარი საათით მაინც არ შეირბინოს საჯარო წიგნთსაცავში და ძველი წიგნები არ გადაათვალიეროს. ამას წინათ ერთის რაღაც საინტერესო წიგნის კითხვას შესდგომია. მინისტრი მოფარებული ყოფილა კარადებს, ამიტომ მოსამსახურეებს უფიქრიათ, წავიდაო და კარები გარედაე დაუკეტიათ. მინისტრი მარტოდმარტო დარჩენილა. ამძვრალა მეორე სართულის ფანჯარასთან, შიგნიდან გაუღია იგი და ყვირილი დაუწყია პოლიციელისათვის, კარები გააღებინეო.

როდესაც პოლიციელს მაღალ ფანჯარაში თვალი მოუკრავს უცნობი კაცისათვის, უფიქრია, ქურდიაო, ამიტომ მაშინვე ცეცხლმქრობელი რაზმისათვის უცნობებია. მოუტანიათ მაღალი კიბე, აუყუდებიათ და ასულან „ქურდის“ ჩამოსაბრძანებლად.

მინისტრს ბევრი უძახია, მინისტრი ვარო, მაგრამ პოლიციელს ყურადღება არ მიუქცევია და მუჯლუგუნის კვრით პოლიციის ნაწილში მიუყვანია. მხოლოდ იქ მიმხვდარან „ქურდის“ ვინაობას.

მეორე დღეს წიგნსაცავის გამგეობას საჩივარი აღუძრავს მინისტრის წინააღმდეგ; წიგნსაცავის წესების ძალით, მესამე ზარის შემდეგ არავის შეუძლია თურმე წიგნსაცავში დარჩენა. თუ პოლიციის მუჯლუგუნებს მოსამართლემაც დაუმატა ჯარიმა ან სხვა სასჯელი, კარგ ჯილდოს მიიღებს მინისტრი ძველი წიგნების სიყვარულისათვის.

## ბაყაყები მოდაში შემოვიდა

ლონდონის არისტოკრატიულ წრეებში ამჟამად დიდ მოდაშია ბაყაყი. ისეთი ოჯახი არ არის, რომელიც ბაყაყებისათვის განსაკუთრებულ აუზებსა და მოწყობილობებს არ მართავდეს. ძალიან დიდი ფასი აქვს გაწვრთნილ ბაყაყებს. ლონდონელნი აწყობენ ბაყაყთა დოღებს და სხვა.

უკვე დაარსდა ლონდონში ბაყაყების მოყვარულთა საზოგადოება.

ასე იცის უსაქმურობამ...

გიორგი
ციალაძე

# პირველი გასროლა

*დოკუმენტური მოთხრობა*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთი-ექვსი წლისა ვიქნებოდი, როცა ეს ამბავი მოხდა.

ღამე იყო, რატომღაც ძილი არ მეკარებოდა. ვიყავი ასე, დედას ჩახუტებული. ყურში ჩამესმოდა ჩემიანების ფშვინვა. კერიაზე ნაღვერდალში ჩარჩენილ ნაკვერცხლების შუქზე ბუნდოვნად მოჩანდა კატა, ნაცრის გროვასთან მიძინებული.

სადღაც შორს, ბნელ კუთხეში ჭრიჭინებდა ჭრიჭინა. გუჩანია აფხაზავას ღელეში გულშემზარავად დაიკივლა ბუმ. ურუანტელმა დამიარა.

კარებთან ფრთხილი კაკუნი მოისმა.

— ფილუ! ფილუ! — მოისმა მამაკაცის ჩაგუდული ხმა.

შიშისაგან დედას უფრო მაგრა მივეკარი, გულმა ბაგა-ბუგი დამიწყო...

მამამ გაიღვიძა, კართან მივიდა, ჯერ მიაყურადა, შემდეგ კარი თამამად გამოაღო. ამასობაში დედამაც გაიღვიძა.

უცნობი მამაკაცები ქოხში შემოვიდნენ და კერასთან დადგმულ გრძელ სკამზე ჩამოსხდნენ.

ვიღაცამ მძინარე კატას ფეხი უნებურად დაადგა და გამწარებული კატის ჭყავილმა მთელი ქოხი შეძრა.

— შენ მოგტყდა ეგ აქლემა ფეხი! — წაიდუდღუნა ვიღაცამ. მერე თავშეკავებული სიცილი გაისმა. დედა მშვიდად იყო. ამან გამათამამა და ჩურჩულით ვკითხე, ვინ არიან-მეთქი.

— წითელრაზმელები არიან, შვილო! — ჩურჩულითვე მიპასუხა დედამ.

დედა ფრთხილად წამოდგა და ჭრაქი აანთო, რომლის სუსტმა სინათლემ ვერ შეძლო გაეფანტა ქოხში გამეფებული სიბნელე და ამიტომ საგნები ისევ ბუნდოვნად მოჩანდნენ.

მაგრამ, როცა დედამ ცეცხლიც დაანთო, თვალწინ წარმომიდგა თოფებით და მაუზერებით შეიარაღებული, წვერულვაშიანი ვაჟკაცები. ბლომად იყვნენ, თოფებზე დაყრდნობილი, მდუმარედ შეჰყურებდნენ აგიზგიზებულ ცეცხლს. სულგანაბულმა რაზმელებს გულდასმით დავუწყე თვალიერება.

უმრავლესობას წითელი სამკლავური ეკეთა. ლოგინიდან წამოვდექი და მუხლებზე ჩამოვუჯექი ერთ-ერთ რაზმელს. ის ჩვენი მეზობელი, ვაჟკაცობით განთქმული, დადიანების მიერ დევნილი ბეჟუკი ნარგია იყო.

დედაჩემი რაზმელებს ვახშამით გაუმასპინძლდა. ისინიც, ძალზე მოშივებულნი, სიამოვნებით მიირთმევდნენ ქოთანში ამოლესილ ლობიოს, შემთბარ ღომსა და სულგუნს. მამაჩემი საზეიმო დღისათვის შემონახულ ოჯალეშს უსხამდა ჭიქებში.

ბეჟუკი ნარგია საჭმელს არ ეკარებოდა. იგი მდუმარედ მისჩერებოდა ცეცხლის ალს, თითქოს ზედ ვიღაცის ბედს კითხულობსო...

მე გავთამამდი და ბეჟუკის წითელ საკლავურს შევავლე ხელი. იგი ფიქრიდან გამოერკვა, ღიმილით შემომხედა და ალერსიანად მითხრა:

— მოგწონს, ბიჭიკო?

როცა თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე, სამკლავური მოიხსნა და კისერზე შემომახვია, შემდეგ მომეფერა, ხელში ამიყვანა და მითხრა:

— აბა, პატარა წითელრაზმელო! დღეიდან ხალხის სამსახურში ხარ, თუ ჩვენ ნიკოია ბლაღოდარს (იგულისხმება ნიკოლოზ მეორე) ბოლო ვერ მოვუღეთ, ჩვენი დაუმთავრებელი საქმე შენმა თაობამ უნდა დააგვირგვინოს!

ეს რომ მითხრა, საწოლთან მიმიყვანა, ბალიშზე თავი დამადებინა და დამარიგა:

— აბა, ყმაწვილო, ძილის დროს ძილია საჭირო!

მეორე დილას გვიან გამეღვიძა, რაც ვნახე, სიზმარი მეგონა, მაგრამ წითელი ნაჭერი, რომელიც კისერზე შემრჩენოდა, ცხადყოფდა სინამდვილეს. დედას რაზმელების ადგილსამყოფელი ვკითხე. მან გაღმა მდებარე დაბურულ ტყეზე მიმითითა და ნაღვლიანად ამოიოხრა...

მინდოდა ჩემი პატარა ტოლამხანაგებისათვის მეჩვენებინა წითელი ნაჭერი, გარეთ გასვლა დავაპირე, მაგრამ დედამ გამომართვა და ზანდუკში შეინახა.

გავიდა წლები. მე უკვე მახლობელი სოფლის სკოლაში ვსწავლობდი. მეცადინეობამ, ახალმა ამხანაგებმა და მრავალგვარმა შთაბეჭდილებამ თითქმის გადამავიწყა წითელრაზმელი ბეჟუკი და მისი ნაჩუქარი სამკლავური.

საგაზაფხულო არდადეგებზე ჩემს ქოხს მივაშურე. ეზოში შევედი თუ არა, დედა შემხვდა, რომელიც შავებში გამოწყობილი მეზობლის ქალებთან ერთად მიეშურებოდა. დედაშვილურად რომ მომიალერსა, შემდეგ ნაღვლიანად მითხრა:

— იცი, შვილო, რა უბედურება მოხდა? ბიძია ბეჟუკი ამ რამდენიმე დღის წინ ყაზახებმა მოკლეს ტალერის ეწერში. დღეს ასაფლავებენ და იქ მივდივართ.

უეცრად თვალწინ წარმომიდგა ბავშვობისას ნანახი რაზმელები, ბეჟუკის მიერ ნაჩუქარი წითელი სამკლავური, გული ამიჩუყდა და ცრემლები გადმომცვივდა.

მე ავიჩემე დასაფლავებაზე წასვლა. დედას წითელი ნაჭერი მოვაძებნინე, ჯიბეში ჩავიდე და სხვებთან ერთად გავემართე სასაფლაოსაკენ.

გზაზე „ყოვლისმცოდნე" დომენტი წამოგვეწია, მან დაწვრილებით გვიამბო, თუ როგორ მოეკლათ ბეჟუკი.

ბეჟუკი თურმე უკანასკნელ ვაზნამდე იბრძოდა, ოთხი ყაზახი მოეკლა. როცა ვაზნები გამოელია, მძიმედ დაჭრილმა, ნაბადი წააწვინა ხის ძირას, თვითონ კი მახლობელი ღელისაკენ ხოხვით წავიდა. მოტყუებული ყაზახები საღამომდე უშენდნენ თურმე ტყვიას ნაბადს. ამასობაში ბეჟუკის ამხანაგებიც მოვიდნენ და ყაზახებს ისეთი დარტყმა აგემეს, რომ მათგან ამბის წამღებიც არ გადარჩენილა. ღელეში ჩასულებს საშინელი სურათი წარმოუდგათ თვალწინ: სისხლში ამოსვრილი ბეჟუკი გულაღმა ეგდო და უკვე აღარ სუნთქავდა.

დომენტისაგან ისიც გავიგეთ, რომ ადგილობრივი უბნის პრისტავი დიდი ქრთამის აღების მერე დათანხმებულიყო, მიცვალებული დაეტირებინათ და ეკლესიის გალავნის გარეთ მაინც დაესაფლავებინათ.

ბეჟუკის ცხედარი ეკლესიის გალავნის შორიახლო სახელდახელოდ გაკეთებულ ფანჩატურაში ესვენა. დედაჩემის გულამოსკვნილმა მოთქმამ და მიცვალებულის ნათესავების შემოტირებამ ძალზე ამაღელვა.

ვიღაცამ ხელი მომკიდა და კუბოს წინ დამაჩოქა. ცოტათი დავწყნარდი, დავაცქერდი მიცვალებულს და აღვიდგინე ბავშვობაში ნანახი სურათი...

ბეჟუკის ვაჟკაცურ პირისახეს ისევ უმშვენებდა კოხტად აგრეხილი ულვაშები, აქა-იქ ჭაღარა გარეოდა. ტუჩები მაგრად ჰქონდა მოკუმული.

ჩამავალი მზის სხივებმა უკანასკნელად დაანათეს ბეჟუკის გაყვითლებულ სახეს. კუბო ნელნელა ჩაუშვეს საფლავში.

მახლობელი ტყიდან რამდენჯერმე მოისმა თოფების ბათქი. სიკვდილს გადარჩენილი წითელრაზმელები მხედრულ სალუტს აძლევდნენ თავის საყვარელ მეთაურს...

* * *

ომს ბოლო არ უჩანდა, ძაძა მოქანცა სოფელს. გამდიდრდნენ ბანძელი ვაჭრები! ამდენი შავი ფართალი თავის დღეში არ გაუყიდიათ!

სოფლის ყოველი კუთხიდან გაისმოდა დედებისა და დაქვრივებული დედაკაცების გულშემაღონებელი მოთქმა-ტირილი.

რამდენჯერ გადმოუცია ჩემთვის სოფლის ფოსტალიონს უბედურების მაუწყებელი დეპეშები მეზობლებისათვის გადასაცემად: ყოველთვის ვცდილობდი თავ აან ამეცდინა ეს სამსახური. უკანასკნელ დროს სოფლის კანცელარიასთან ახლო აღარ გამივლია.

უკვე ორკლასიან სასწავლებელს ვამთავრებდი. გავიზარდე, არალეგარულ მუშაობაში ჩავები. მთელი სოფლის ახალგაზრდობა გარს შემოვიკრიბე და თვეში ერთხელ მაზრაში მივდიოდი „დეიდას" სანახავად.

თებერვლის ულიმღამო დღე იყო. სკოლაში საღვთორჯულის გაკვეთილი მიდიოდა. მოწაფეთა უმრავლესობა თვლემდა...

უცებ სკოლის ეზოში ჟრიამული გაისმა, ცოტა ხანიც და, მთელი სკოლა აგუგუნდა. მღვდელმა სვიმონმა პირჯვარი გადაიწერა და ეზოში გავარდა...

ეზო ხალხით იყო სავსე, მათ შორის მამასახლისი დარსალია დაბორიალობდა, რომელსაც ბეჟუკის ნაქონი რევოლვერი ეკიდა. მამაკაცებმა ყაბალახები მოიძრეს და ჰაერში შეისროლეს:

— გაუმარჯოს რევოლუციას! ძირს ნიკოია! გაუმარჯოს თავისუფლებას!

მთელი სკოლის მოწაფეობა ეზოში გამოვარდა. სოფელ ჭოლას კანცელარიიდან იმპერატორ ნიკოლოზ მეორის პორტრეტი გამოჰქონდათ.

— დავხვრიტოთ ნიკოია! დავხვრიტოთ! — დაიგრიალეს ახალგაზრდებმა და თხმელის ძირას მიყუდებულ სურათს შემოეხვივნენ.

მამასახლისი და მღვდელი ცახცახით ერთმანეთს მიკვროდნენ.

მოგონებებმა გამიელვეს... თვალწინ წარმომიდგნენ ყრმობაში ნანახი წითელრაზმელები, ბეჟუკის ნაჩუქარი წითელი ნაჭერი, მისი დასაფლავება... რამდენიმე ნახტომი, და მამასახლისს ვეცი.

— მომეცი ბეჟუკის მაუზერი! უნდა შევუსრულო დანაპირები! ჩქარა, ჩქარა! მკვდარს რომ აართვი, მაშინ ხომ მარჯვედ იყავი? — დავუცაცხანე მამასახლისს.

დაბნეულმა მამასახლისმა მაუზერი დაუყოვნებლივ გადმომცა.

მაუზერი ბუდიდან ამოვიღე და ჩახმახი შევმართე.

— გვიშველეთ, გაგიჟდა! — წამოიყრანტალა სვიმონ მღვდელმა და მამასახლისთან ერთად ლაფიან დალმართში დაეშვა.

გაღმა გორაკზე წამოსკუპებულ მთავარანგელოზის ეკლესიის სასაფლაოს გავხედე, რომლის გალავნის გარეთაც დაასაფლავეს ბეჟუკი — ხალხისათვის თავდადებული ვაჟკაცი...

— ბიძია ბეჟუკ! მომილოცია! შენი ნატვრა ასრულდა! „ნიკოია ბლაღოდარის" ტახტი დაინგრა! ჩვენ, სოფელ ჭოლას ბიჭები გავიზარდენით. შურს ვიძიებთ მტრებზე! — ვთქვი ხმამაღლა და მაუზერი შუბლში დავუმიზნე და ვთქვი:

— საშუალება არა მაქვს ცოცხალს გესროლო, მაგრამ...

ჩახმახი გამოვშალე, როცა სურათს მივვარდით, დავინახეთ, რომ ნიკოლოზს შუბლი გახვრეტილი ჰქონდა.

შემდგომ ბრძოლებში ბეჟუკის მაუზერი ბევრჯერ გავარდნილა და მიზანს არასოდეს ასცდენია.

# ლექსები

ნოდარ გურეშიძე

## სადიდებელი

ცხოვრება მიდის,
მიდის და მიდის
და ერთი წამით
აღარ ჩერდება,
ვიღაცა გვიძენს,
ვიღაცა გვყიდის,
ვიღაცა ჩნდება,
ვიღაც ბერდება.
ისმის კოსმიურ
რაშთა ჭენება —
ზეცა რაკეტის
ხმით შეიძვრება,
უნდა იჩქარო
თესვაც, შენებაც,
დღეს დახანება არ შეიძლება!
ახლა სიკვდილის
ფასი აქვს ლოდინს.
მიდი, ახადე
სიტყვას სარქველი.
ახლა თუ არა,
მაშ, როდის, როდის,
როდის უნდა თქვა
შენი სათქმელი.
თქვი ვაჟკაცურად
და გააგონე
მტერს და მოყვარეს,
(კვლავაც არ მოხვალ),
შენი ესმოდეთ მაღალ მთაგორებს
ზევით და
ქვევით,
გაღმა,
გამოღმა.
რა დროს განდგომა
და დუმილია,
ცხოვრება მიდის,
მიდის და მიდის,
რა დროს თვლემაა,
რა დროს ძილია,
ვიღაცა გიძენს,
ვიღაცა გყიდის.
მიდამოს მოსდე
მძლავრი ყიჟინი,
თავი ასწიე
და ხმა დასძარი,
არ შეირჩინო
შენი მტრის ჯინი,
ცადაწვდილია
შენი ტაძარი.
ხელი ჩაავლე
გაფრენილ ფაფარს,
მიდი მიუშვი
ცხენი ნებაზე,
უფრო ძლიერად,
მაღლა და სწრაფად
ვით ოლიმპიურ
შეჯიბრებაზე.
არაფერია საფიქრებელი
თუ კი ვიქნებით
ასე მხარდამხარ,
ჩვენ ვართ სინათლის
დამკვიდრებელნი,
ჩვენ ვართ სიმართლის
დამმკვიდრებელნი
და ვთქვათ
სამშობლოს სადიდებელი,
რაც შეიძლება
უფრო ხმამაღლა,
რაც შეიძლება
უფრო ხმამაღლა.

## ... ან კი აქამდე

შორეულ გზებზე მგზავრობის
შემდეგ,
ევროპის შემდეგ,
აზიის შემდეგ,
როცა მრავალი მოვიარე
სიგრძეც — განედი,
მე კავკასიის კალთებზე შევდექ
და მოვიხილე საოცნებო მხარე —
სვანეთი.
სად დავდიოდი,
სად ვიყავი ნეტავ აქამდე-
ან სილამაზეს რად ვეძებდი
უცხო მხარეში,
სვანეთო,
ამდენ სილამაზეს თუ მინახავდი,
ამდენ სიხარულს თუ ვიგრძნობდი
ამ მწვერვალებში.
კოშკები ცისკენ ამართულად
ჩანან ისრებად,
და დგანან მთები სვანურ ქუდით
და თეთრ ნაბდებით,
აქ ლაჟვარდები ცისარტყელით
გადაიხსნება,
ენგური — რაში მოჭიხვინე
აქ იბადება.
როგორ გავლაღდი,
მე მგონია მესხმება ფრთები,
როგორ ავმაღლდი,
უშბავ, შენი ჭვრეტით ავმაღლდი,
მთის ყვავილების დამათრობელ
სურნელით ვთვრები,
თოვლიც თეთრია და ქათქათა
როგორც ქაღალდი.
აქ ყველაფერი ზვიადია
და ვაჟკაცური
და დიადდება და ივსება
სული ნექტარით,
ასე მგონია, ამ სივრცეში
გზნებით გავცურავ,
ასე მგონია, შევიმოსე
ნისლის ბექთარით.
სითბოს გულისას
და სიმაღლეს შენ მაზიარე,
მზისკენ მსრბოლავო,
სიყვარულო ჩემო, სვანეთო,
გნახე და უცებ დამავიწყე
ყველა იარა,
... ან კი აქამდე
როგორ ვძლებდით ურთმანეთოდ!

# გუთნის ამბავი

საბჭოთა საქართველო დღეს მაღალგანვითარებული მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ქვეყანაა. ჩვენს რესპუბლიკაში დამზადებული მრავალი სამრეწველო ნაწარმი და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში იგზავნება.

თუ როგორ მძიმე მდგომარეობაში იყო ქართული სოფელი 80 წლის წინათ, ნათლად მეტყველებს „ივერიაში“ 1897 წელს გამოქვეყნებული მეველეს წერილი „გუთნების ტექნიკური შემოწმება და გაყიდვა“.

მეველე ცნობილი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის დავით მიქელაძის ფსევდონიმია.

ჩვენი ჟურნალის მკითხველებს ვთავაზობთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ მეველეს წერილს.

ხუთ სექტემბერს, სიღნაღის მახლობლად შეიკრიბა დიდძალი საზოგადოება; ახლომახლო სოფლებიდან მოწვეული იყო ხალხი, რომლისთვისაც უნდა ეჩვენებინათ ევროპული გუთნების ღირსება და განსხვავება.

გაიგეს თუ არა, რომ გუთნების გასინჯვას აპირებენო, ხალხმა დილიდანვე იწყო დენა; ოთხასამდე გლეხი მოვიდა და მრავალი კეთილშობილი საზოგადოება. ამ გამოცდას აგრეთვე დაესწრენ სიღნაღის მაზრის მარშალი და მაზრის უფროსი. ეტყობოდა, კახელებისათვის ეს საგანი ფრიად საყურადღებო იყო, და მართლაც დიდი გულმოდგინებით ელოდებოდა შეკრებილი საზოგადოება, როდის დაიწყებდნენ ხვნას.

ამ საქმის მეთაურად და ამხსნელად იყო ნასწავლი აგრონომი ბ-ნი ფირალოვი, რომელმაც განუმარტა ხალხს თითოეული გუთნის ტექნიკური მონაცემები. მოტანილი იყო გასასინჯავად მრავალი სისტემის გუთანი და ყველა გამოცადეს: თითოეულ გუთანს მიჩენილი ჰყავდა რვა-რვა კარგი მუშაკაცი, რომ ამათ თვალყური ედევნებინათ გუთნისათვის და შესძლებოდათ სამართლიანი მსჯავრი შეედგინათ გუთნის ღირსებასა და ნაკლოვანებაზე. სამი საათის მუშაობის შემდეგ ექსპერიმენტებმა ერთხმად აღიარეს, რომ ეს გუთნები „ჩვენს გუთანს ბევრად სჯობიაო“ და იქვე განაცხადეს სურვილი ახალი გუთნის შეძენისა.

უპირატესობა დარჩა სამ გუთანს: გენეს, ეკარტს და ვეისს. პირველი გუთნის მყიდველი აღმოჩნდა — 48 კაცი, მეორესი — 20 და მესამეს — კი — 10 კაცი.

ამ გვარად კახელებში ევროპულ გუთნის მყიდველი აღმოჩნდა 78 კაცი. ყველამ იცის, თუ ხალხი როგორ ძნელად გაჰბედავს მამაპაპათა ჩვეულების უარყოფას. ეტყობა, რომ უპირატესობა ახალი იარაღისა ერთობ თვალსაჩინო ყოფილა და ხალხიც ამას გაუთამამებია. გარდა იმისა, რომ ევროპული გუთანი უკეთესად ხნავს, იგი იმითაც სჯობია კიდევ ქართულ გუთანს, რომ ერთი ორად ნაკლები ხარ-კამეჩი უნდება და, მაშასადამე, ნაკლები კაციც, რომელიც გუთანს უნდა ახლდეს. ამასთან ევროპული გუთანი ჩვენსაზე შედარებით უფრო იაფიც არის.

ამის შემდეგ საგულისხმოა, რომ ჩვენი ხალხი, თუ ყველგან არა, აქა-იქ მაინც მოინახებიან თითო-ოროლა ნასწავლი მეურნენი, დაიწყებს ახალი წესით მუშაობას, უეჭველია, ამ შემთხვევაში ეკონომიური კეთილდღეობა ხალხისა იმატებს, რადგანაც მეურნე ნაკლები საშუალებითა და შრომით უმეტესს მოსავალს მოიწევს.

მაგრამ, საუბედუროდ, ჯერ ჩვენ ერთობ ცოტანი გვყავს ისეთნი, რომელთაც შეესწავლოთ მეურნეობა და განეზრახოთ შეძენილი ცოდნა ხალხში გაავრცელონ. ცხადია, რაც დრო მიდის ამ ნაწილს ჩვენი წარმოებისას მეტი და მეტი ყურადღება მიექცევა, რადგანაც მეურნეობა ერთი უმთავრესი დარგია ჩვენი ცხოვრების წარსამატებლად, და ქართველი მოზარდი თაობა, უეჭველია, თუ დღეს არა, ხვალ მიხვდება და მიაპყრობს ჯეროვან ყურადღებას ქვეყნის მეურნეობის სისუსტესა და დაძაბუნებას.

წინადაც გვითქვამს და ახლაც გავიმეორებთ, რომ ახალგაზრდობამ უნდა ეცადოს, გაინაწილოს ყოველი სფერო მოღვაწეობისა, თუ უნდა რომ ჭეშმარიტი სამსახური გაუწიოს ხალხს და შესძინოს სამშობლოს, როგორც გონებრივი, აგრეთვე ნივთიერი სიმდიდრე და კმაყოფილება.

აქამდის ეს განაწილება პროფესიისა არ ჰქონია სახეში ჩვენს მოზარდ თაობას, და ამიტომ არის, რომ დღეს ერთს აგრონომზე ორმოცდაათი იურისტი მოდის! ვინ იტყვის, რომ ეს ნორმალური განაწილებაა ქვეყნის ღონისა, და რომ ასეთი ერთგვარი მიმართულება სასიკეთო იყოს, მეტადრე იმ ქვეყნისათვის, რომლის მეურნეობას, უთუოდ, შესანიშნავი და სამაგალითო მერმისი მოელის!

მაგრამ, საუბედუროდ, ეს ადვილად გასაგები, ეს ყოვლად უეჭველი აზრი, ძნელი შესათვისებელი შეიქმნა, რომ ნასწავლი კაცების რიცხვი თითოეულ პროფესიაში შეეფერებოდეს ქვეყნის ნამდვილ საჭიროებას.

მეველე

# ცხელ-ცხელი ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მეთხუთმეტე

ჩვენს დიად სამშობლოს კიდევ ერთი მილიონიანი ქალაქი შეემატა.

ჩელიაბინსკი საბჭოთა კავშირში ახლა მეთხუთმეტე ქალაქია, რომლის მოსახლეობამ მილიონს მიაღწია.

აღსანიშნავია, რომ ეს მნიშვნელოვანი მოვლენა ქალაქის დაარსების 240 წლისთავის ზეიმს დაემთხვა.

## სამო სურნელი

ვილნიუსელმა სპეციალისტებმა დაამზადეს საყოფაცხოვრებო დანიშნულების ახალი მოწყობილობა, რომელიც მალე ჩვენს რესპუბლიკაშიც ჰპოვებს გავრცელებას.

ამ მოწყობილობის საშუალებით ბინაში შეიძლება შევქმნათ არა მარტო ჩვენთვის სასურველი მიკროკლიმატი, არამედ ზღვისა და ტყის სამო სურნელებაც გავავრცელოთ ირგვლივ.

## ბენზინის ნაცვლად გაზი

ლვოვის ავტობუსების ქარხანაში ამას წინათ დაამზადეს ახალი მარკის ავტობუსები, რომლებიც ბენზინის ნაცვლად თხევადი გაზით მოძრაობენ.

ამ ახალმა, კომფორტაბელურმა ავტობუსებმა სპეციალისტთა მაღალი შეფასება და საერთო მოწონება დაიმსახურეს.

## დაუპატიჟებელი სტუმრები

ეს კურიოზული შემთხვევა მინსკში მოხდა.

ფოლადის ბადეებით შემორაგულ ავტობუსების სადგომში ღამით მოულოდნელად შევარდა თორმეტი დამშეული გარეული ღორი. მახლობელ ტყიდან მოვარდნილმა დაუპატიჟებელმა სტუმრებმა ვეებერთელა ეშვებით დაიწყეს მიწის თხრა და ყველაფრის მტვრევა.

საგანგებოდ გამოძახებულმა მილიციის მუშაკებმა სასწრაფოდ გააღეს სადგომის კარი, პროჟექტორით გაანათეს გასასვლელი გზა და ტყისკენ გაქცეული ტახები მანქანების ესკორტით გააცილეს.

## რუსული პოეზიიდან



## სერგეი ესენინის ლექსები

●

ღარიბი ვარ, მწირი,
ვარკვლავივით მშვიდი.
ზეციერზე ვმღერი,
როგორც მინდვრის ჩიტი.
აბრეშუმის თეფშზე
ფოთლებია ვერხვის.
არ წაგიცდეს, ხალხო,
ლიამპალში ფეხი.
ველზე ფიჭვებს კოცნის
მხიარული ჩქერი,
მღერის გაზაფხულზე,
სამოთხეზე მღერის.
ღარიბი ვარ, მწირი,
ცად აღვავლენ ლოცვას.
ბალახებში ვწვები,
დაღამდება როცა.
მოვისვენებ ტკბილად
საკმეველის გვერდით.
გულზე კანდელია,
გულში — ქრისტე ღმერთი.

●

ვით ქვარტლის თოვა.
სახლს ბინდი ფარავს.
ნარმის საქსოვად
ტრიალებს ჯარა.
მოედო სოფელს
ლანდების ჯარი,
მოიწევს ღობე:
— გამიღეთ კარი.
ფანჯრიდან ჩრდილმა
შემოიხედა.
გოგონას ტკბილად
აძინებს დედა.
გალობით ჩვილი
სურს დაამშვიდოს:
„იძინე შვილო,
შენ, ჩემო ჩიტო."

### მზის ამოსვლა

ლაჟვარდ ცაზე გადანათდა,
აელვარდა განთიადი.
მოკაშკაშე ზოლად გაჩნდა,
ოქროსფერი ათინათი.
მზის სხივებმა მაღლა ცაზე,
დაუკარგეს ლაჟვარდს ფერი
და სხვა ტალღად შუქით სავსე,
გაიტყორცნა ოქროს ჩქერი.
მიწამ იგრძნო შუქი დილის,
აუხილეს თითქოს თვალი.
ირგვლივ ცაა მოწმენდილი,
ლაჟვარდია გამჭვირვალი.

### ღამე

თვლემს მდინარე მშვიდად,
არ შრიალებს ტევრი.
არც ღალღის ხმა ისმის,
არც ბულბული მღერის.
სიწყნარეა ირგვლივ,
რუ ჩხიალებს მარტო.
არემარეს მთვარე
ვერცხლის ფიფქად ათოვს.
შევერცხლილი არის
ნაკადულიც, ღელეც,
ვერცხლისფერი შვენით
მობიბინე ველებს.

---

სომერსეტ მოემი

# ძვირფასი საუზმე

მოთხრობა

თეატრში მოვკარი თვალი. ხელი დამიქნია და ანტრაქტზე მასთან მივედი. უმალ ხალისიანად გამიბა საუბარი.

— მაინც რამდენი წელი გავიდა ჩვენი შეხვედრიდან?! როგორ გარბის დრო! წლები კი არ გვაკლდება, პირიქით... გახსოვთ, როგორ გავიცანით ერთმანეთი? თქვენ მე სასაუზმოდ მიგიწვიეთ.

როგორ თუ არ მახსოვს?!

ეს იყო ოცი წლის წინათ. იმხანად პარიზში ვცხოვრობდი. ლათინურ კვარტალში ოთახი დავიქირავე. ისე ცოტა ფულს ვშოულობდი, სულს ძლივსძლივობით მივათრევდი. მან ჩემი ერთ-ერთი წიგნი წაიკითხა და წერილი მომწერა. ვუპასუხე, მადლობა გადავუხადე და სულ მალე მეორე წერილიც მივიღე, რომელშიც მატყობინებდა რომ პარიზს გავლით ესტუმრებოდა, ჩემთან საუბრის სურვილი მოსვენებას არ აძლევს, დრო საკმაოდ შეზღუდული აქვს და ერთადერთ თავისუფალ დღედ მხოლოდ ხუთშაბათიღა რჩება. ცუდი არ იქნებოდა, „ფოიოში" რომ გვესაუზმა.

„ფოიო" ეს ის რესტორანია — უმალ გავიფიქრე, სადაც ფრანგი სენატორები იკრიბებიან, ჩემი ჯიბე რას გასწვდება? მაგრამ ჩანგალი უკვე მოღებული იყო, თან ძალზე ახალგაზრდა ვიყავი, მიჭირდა ქალისათვის უარი მეთქვა. თვის ბოლომდე საარსებოდ 80 ფრანკიღა მრჩებოდა; იმედი მქონდა, მოკრძალებული საუზმე ორმოცდაათ ფრანკს არ გადასცდებოდა! მომდევნო ორი კვირის მანძილზე ყავის სმისგან თავს თუ შევიკავებდი, ალბათ, როგორმე გავძლებდი კიდეც. ერთი სიტყვით, წერილზე ვუპასუხე, რომ მომდევნო ხუთშაბათს „ფოიოსთან" პირველის ნახევარზე დავხვდებოდი.

სულაც არ აღმოჩნდა ისეთი ახალგაზრდა, როგორსაც მოველოდი; უფრო იმპოზანტური იყო, ვიდრე მომხიბვლელი. ასე, ორმოცი წლისა იქნებოდა. პირველი შეხედვისთანავე მომეჩვენა, თითქოს თეთრი და მსხვილი კბილები იმაზე მეტი ჰქონდა, ვიდრე საერთოდ ადამიანს უნდა ჰქონდეს.

მენიუ რომ მოიტანეს, გაოცებისგან პირი დავაღე. ფასები იმაზე ბევრად მაღალი იყო, რასაც ვვარაუდობდი.

— საუზმემდე, საერთოდ, არაფერსა ვჭამ ხოლმე, — მითხრა მან.

— რას ამბობთ?! — გავიოცე დიდსულოვნად.

— ყოველთვის მხოლოდ ერთ რაღაცას ვჭამ, — განაგრძობდა, — ასე მგონია, ჩვენს დროში ადამიანები ძალიან ბევრს ჭამენ! იქნებ ცოტაოდენი თევზი მოგვეტანა. საინტერესოა, აქვთ თუ არა ორაგული?

ორაგული სეზონისათვის ჯერ ადრე იყო და მენიუში არ იყო შეტანილი. მაგრამ მე მაინც ვკითხე ოფიციანტს.

— კი, ბატონო, მშვენიერი ორაგული გვაქვს. პირველია ამ სეზონში!

ჩემი სტუმრისათვის ერთი ულუფა შევუკვეთე. ოფიციანტმა მკითხა, იქნებ ქალბატონს რაიმე სხვა სურდა, ვიდრე ორაგულს მოუმზადებდნენ.

— არა, — უპასუხა მან, — მე ყოველთვის მხოლოდ

## უძველესი ქალაქი

პოლტავის მახლობლად ამას წინათ არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ძველი ქალაქის ნაშთები, იქვე მიაკვლიეს სხვადასხვა საოჯახო ნივთებს, ძვირფას ბეჭდებს, ყელსაბამებს...

როგორც ვარაუდობენ, არქეოლოგებმა აღმოაჩინეს უძველესი ქალაქი გელონი, რომელიც ჰეროდოტეს აქვს მოხსენიებული.

## უახლოეს ხანში

მოსკოვში ყველაზე „მდიდარი“ შენობები აშენდება ქალაქის ცენტრიდან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით გაჭიმულ ნოვოკიროვსკის პროსპექტზე.

ამ მაგისტრალზე აშენდება საგარეო ვაჭრობის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და სხვა საერთაშორისო დანიშნულების ბანკები.

პროექტს ამუშავებს არქიტექტორთა ჯგუფი, რომელსაც დ. ბურდინი ხელმძღვანელობს.

## ფუტკარი გვეხმარება

საბჭოთა სპეციალისტმა ბ. პოდორვანოვმა ამას წინათ დაამზადა ახალი ბაქტერიოლოგიური პრეპარატი, რომელიც მცენარეთა მავნე მწერებში მწვავე ეპიდემიას იწვევს და სწრაფად სპობს მათ.

სასარგებლო მწერებისათვის, მათ შორის ფუტკრებისთვის, ეს ნივთიერება სრულიად უვნებელია.

ფუტკარი, რომელსაც ახალი პრეპარატი აქვს შეპკურებული, არა მარტო მცენარეების დამტვერვას უწყობს ხელს, არამედ მათ მავნებლებსაც სპობს.

## ახალი წარმატებები

წარმატებით მიმდინარეობს კავკასიონის ქედში გამავალი ჩვენი ქვეყნის უდიდესი ავტოსაგზაო ტრასის სატრანსპორტო გვირაბის გაყვანა.

ეს გვირაბი, როგორც ცნობილია, ორი მხრიდან უნდა შეერთდეს: ჩრდილოეთ ოსეთიდან და სამხრეთით — ზემო როკიდან.

„თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს გვირაბგამყვანებმა, რომლებიც დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად თავდადებით შრომობენ, სასახელო წარმატებები მოიპოვეს უნიკალური გვირაბის მშენებლობაში.

## მოკლე დროში

მოსკოვის მუსიკალური ინსტრუმენტების ექსპერიმენტულ ქარხანაში, ახალი საგანგებო მოწყობილობის საშუალებით, ორ კვირაში შეიძლება ასი წლით დავაბეროთ ხის მერქანი.

მერქნის ხელოვნურად დაბერების ეს ახალი მეთოდი საშუალებას გვაძლევს, საუკეთესო ვიოლინოსა და სხვა საკრავებისათვის საჭირო ძვირფასი მასალა მნიშვნელოვნად მოკლე დროში დავამზადოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამე არის წყნარი
და ყველაფერს ხძინავს.
ყოველივე ირგვლივ
ვერცხლისფერად ბზინავს.

●

მე მივატოვე სახლი მშობელი,
რუსეთის ზეცა თვალშეუდგამი
და დედის სევდა ჩაუქრობელი —
სამი არყის ხე — ვარსკვალი სამი.

ოქროს ბაყაყად გართხმილა მთვარე
და არ ირხევა მდუმარი წყალი.
თითქოს და ვაშლის ყვავილი არი,
მამაჩემს წვერი უბრწყინავს ჟღალი.

ვერ დავბერდები მე ასე უცებ!
თოვლში უჩემოდ იმღერებს ქარი.
ისევ დარაჯობს ჩემს ცისფერ რუსეთს
ხე ნეკერჩხლისა, ცალ ფეხზე მდგარი.

ფოთლების წვიმით ვინც არის
მთვრალი,
მისი თვალები ხალისით ყვავის.
ეს იმიტომ, რომ ის ნეკერჩხალი
ოქროსფერია, ვით ჩემი თავი.

●

ამოიღე ხმა, გარმონო, საქორწილო
დაუკარი.
სიძე მოდის, პატარძალო, დღე
დაგიდგა სანუკვარი.

თითქოს გული ღიღილოა, შიგ
ფირუზის ფეთქავს ალი.
მე გარმონზე მიტომ ვუკრავ, რომ
ცისფერი ვაქო თვალი.

განა ტბაზე განთიადის ამონთება
გადიქარგა? —
ეგ მანდილი მთის ფერდობზე
გამოკრთა და გადიკარგა.
მაშ, დაუკარ საქორწილო, გული
დადნეს სანთელსავით,
დაუკარი, რომ პატარძალს მოაწონოს
საქმრომ თავი.

### მოგონება

გარეთ თოვლი ბარდნის,
ბუქი ძალას იკრებს.
წევს ღუმელზე ბერი
და იგონებს სიყრმეს:

„რა დრო იყო, რა დრო!
არა მქონდა დარდი.
ვმღეროდი და ვსვამდი,
ვიყავ დარდიმანდი.
ეჰ, რაღა ვარ ახლა,
გულს ნაღველი ტანჯავს.
წარსულიდან მხოლოდ
მოგონება დარჩა.
გავიგონებ ხოლმე:
— დრო მოჭამე შენი.
ძველებური ლხინი
ახლა აღარ გშვენის.
გეყო, ბერიკაცო,
იყავ შენთვის მშვიდად.
ცალი ფეხი უკვე
სამარეში გიდგას.
„კარგი, დავწყნარდები
და ვიქნები ჩემთვის.
მაგრამ არ ასცდებათ
მათაც ჩემი ბედი!“
გარეთ თოვლი ბარდნის,
დგება ბუქის მტვერი
და ღუმელზე ჩუმად
დარდით ჩათვლემს ბერი.

თარგმნა გიორგი სალუქვაძემ.

ერთ თავს ვჭამ. აი ცოტაოდენი ხიზილალა... თუ მოგეძებნებათ, რასაკვირველია.

გული შემიჩერდა. ვიცოდი, ხიზილალას ვერ გავწვდებოდი, მაგრამ სტუმრისათვის ამის თქმა არ შემეძლო და ოფიციანტს ვთხოვე, აუცილებლად მოეტანა ხიზილალა. საკუთრად კი მენიუდან ყველაზე იაფი კერძი — ცხვრის კატლეტი შევუკვეთე.

— ვგონებ, უგუნურად იქცევით, — მითხრა, — საინტერესოა, როგორღა მუშაობთ, თუკი ასეთ მძიმე საჭმელს მიირთმევთ?!

მერე დავიწყეთ იმის გამორკვევა, თუ რას დავლევდით.

— საუზმის დროს, საერთოდ, არაფერსა ვსვამ! — გამაფრთხილა.

— მეც, — სასწრაფოდ დავეთანხმე.

— გარდა თეთრი ღვინისა, — განაგრძობდა. თითქოს სულაც არ გაეგონოს ჩემი ნათქვამი, — ეს ფრანგული თეთრი ღვინოები საოცრად უხდება საჭმლის მონელებას!

— მაინც რას დალევთ?

— ჩემი ექიმი შამპანურის გარდა არაფრის დალევის უფლებას არ მაძლევს!

თუ არ ვცდები, ოდნავ გავფითრდი და ნახევარი ბოთლი შევუკვეთე, თანაც უმალ შევაპარე, რომ ჩემმა ექიმმა შამპანური კატეგორიულად ამიკრძალა-მეთქი.

— კი მაგრამ, რა უნდა დალიოთ?

— წყალი.

იგი ჭამდა ხიზილალას და ორაგულს აყოლებდა, მხიარულად ლაპარაკობდა ხელოვნებაზე, ლიტერატურაზე, მუსიკაზე, მე კი ვფიქრობდი იმაზე, თუ რამდენი უნდა გადამეხადა. ცხვრის კატლეტი რომ მომიტანეს, ჩემმა სტუმარმა მითხრა:

— როგორც ჩანს, მიჩვეული ხართ საუზმეზე მძიმე კერძის მიღებას. რატომ არ გსურთ, მომბაძოთ და მხოლოდ ერთი თავი მიირთვათ, თანაც მსუბუქი?!

— ამ კატლეტის გარდა სხვა რაიმეს ჭამას არ ვაპირებ, — მივუგე, როცა მენიუმომარჯვებული ოფიციანტი ისევ მომადგა. ჩემმა სტუმარმა ხელის მსუბუქი აქნევით შეაჩერა.

— არა, არა, ჩვეულებრივად, მე თითქმის არაფერსა ვჭამ საუზმეზე, გარდა მსუბუქი საუზმეულისა. აი, ცოტაოდენი გიგანტური სატაცური თუ მოგეძებნებათ! საოცრად დამწყდება გული, პარიზიდან სატაცურის გაუსინჯავად რომ წავიდე!

სუნთქვა შემეკრა. სატაცური მაღაზიაში მინახავს და ვიცოდი, ძალიან ძვირი რომ ღირს. მარტოოდენ მის ხილვაზეც კი ხშირად ნერწყვი მომსვლია.

— ქალბატონს სურს იცოდეს, გაქვთ თუ არა სატაცური? — ვკითხე ოფიციანტს.

იმედი მქონდა, გავიგონებდი; „არა“; მაგრამ მის მრგვალ სახეს ბედნიერი ღიმილი მოეფინა, რამაც დამარწმუნა, რომ ჩინებული, ნაზი, პირის ჩასატკბარუნებელი სატაცური ნამდვილად ჰქონდათ.

— სრულიადაც არა მშია, — ამოიხვნეშა ჩემმა სტუმარმა — მაგრამ რაკი ასე გადაგიწყვეტიათ, სატაცურზე უარს როგორ გეტყვით!

შევუკვეთე.

— თქვენ? — მკითხა.

— არა, მე სატაცური არ მიყვარს.

ჩვენ ველოდებოდით სატაცურის მოხარშვას. პანიკამ შემიპყრო. ახლა უკვე ის როდი მადარდებდა, თუ რა თანხა დამრჩებოდა თვის ბოლომდე, არამედ ის, შევძლებდი თუ არა, საერთოდ, ანგარიშის გასწორებას. ალბათ, გული გამისკდებოდა, ჩემი სტუმრისათვის ათიოდე ფრანკი რომ მესესხა დანახარჯის შესავსებად. ზუსტად ვიცოდი, რაც მედო ჯიბეში და იმ შემთხვევაში, თუკი ანგარიში ამ თანხას ასცილდებოდა, გადავწყვიტე, ჯიბეში ტრაგიკული სახით ხელს ჩავიყოფ და

# უცხოეთის თეატრ-კინემატოგრაფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

☐

კინოს სამყარომ დიდი დანაკლისი განიცადა — კალიფორნიაში გარდაიცვალა (მიოკარდის ინფარქტით) ცნობილი ინგლისელი კინომსახიობი პეტერ ფინჩი.

პეტერ ფინჩმა მოღვაწეობა ავსტრალიის თეატრში დაიწყო, შემდეგ ინგლისსა და აშშ-ში გადავიდა. აქ მოიპოვა წარმატება სიდნეი ლუმეტის ფილმში, რომლისთვისაც ოსკარის პრემიაზე წარადგინეს.

მან ითამაშა ჯონ შლეზინგერის ფილმში „ო, ეს წყეული კვირა!“ (1971 წ.), რომელშიც ექიმის როლს ასრულებდა.

ჩვენი მაყურებლისათვის პეტერ ფინჩი ცნობილია იტალია-საბჭოთა კავშირის ერთობლივი ფილმით „წითელი კარავი“ (რეჟისორი მიხეილ კალატოზოვი), რომელშიც იგი ლეგენდარული პოლარელი მზვერავის უმბერტო ნობილეს როლს ანსახიერებდა.

☐

გამომცემლობა „გარძანტიმ“ გამოსცა ენციკლოპედია „სპეტაკოლო“, რომელშიც შეტანილია იტალიელი დრამატურგი მასიმ დურსო (მისი ნამდვილ სახელი და გვარია ოტელო ვეკიეტი, იგი ბოლონიაში ოსერვანცას ქუჩაზე ცხოვრობს, ამჟამად 75 წლისაა). დასახელებული ენციკლოპედიის 215 გვერდზე აღნიშნულია, რომ დრამატურგი 1975 წელს გარდაიცვალა.

მწერალი მხიარული განწყობილებით ატყობინებს გამომცემლობას, რომ იგი ცოცხალია და გამომცემლობის შეცდომას კარგ ნიშნად თვლის, რადგან სწორედ 1975 წელი ყველაზე ნაყოფიერი იყო მის ცხოვრებაში; ამ წელს იტალიის სხვადასხვა თეატრში დაიდგა მისი შვიდი პიესა, ხოლო ბოლო ნამუშევარს ამჟამად საბჭოთა კავშირში დასადგმელად ამზადებენ.

☐

გამოჩენილი იტალიელი დრამატურგი, რეჟისორი და მსახიობი ედუარდო დე ფილიპო კარგადაა ცნობილი ჩვენში.

ჩვენი მაყურებლისათვის ცნობილია მისი ფილმები: „ნეაპოლი — მილიონერთა ქალაქი“, „გოგონები ესპანეთის მოედნიდან“, „ფილუმენა მარტურანო“, „ნეაპოლის ოქრო“, „ქორწინება იტალიურად“ (რომელშიც მისი ვაჟი ლუკა დე ფილიპო თამაშობს) და სხვ.

ამ ცოტა ხნის წინათ მსახიობი 76 წლის ასაკში დაქორწინდა თავის ახლობელ, საყვარელ ქალზე — იზაბელა გუარანტოტიზე. საქორწინო ცერემონიალმა მეტად სადად ჩაიარა. ჩეზარე როზაროლის ქუჩაზე მდებარე მუნიციპალიტეტში (სან-ფერდინანდოსთან — მის მშობლიურ თეატრთან ახლოს) დიდი ხელოვანის პატივსაცემად საქორწინო რიტუალი ნეაპოლის მერმა — მაურიცო ვალენტიმ შეასრულა. ქორწინებას მხოლოდ ახალდაქორწინებულთა ძალზე ახლობლები ესწრებოდნენ — იზაბელა გუარანტოტას ქალიშვილი — მსახიობი ანჟელიკა იპოლიტო და ლუკა დე ფილიპო მეუღლით.

ცერემონიალის დამთავრების შემდეგ სან-ფერდინანდოს თეატრის საგრიმიოროში, რომელიც ედუარდო დე ფილიპოს მრავალი ბრწყინვალე გამარჯვების მომსწრეა, შეისვა ახალდაქორწინებულთა ტრადიციული სადღეგრძელო, საღამოს კი ერთხელ კიდევ გაიბრწყინა ედუარდო დე ფილიპოს ნიჭმა — ახალგაზრდული ენთუზიაზმით შეასრულა როლი სცენაზე სპექტაკლ „შობა კუპიელოს სახლში“.

ქორწინებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ედუარდო დე ფილიპომ ნეაპოლის სცენას დაუბრუნა მისი ადრინდელი კომედია „ხმები შიგნიდან“, რომელიც ჩვიდმეტ საათში დაწერა, ეს კომედია სან-ფერდინანდოს სცენაზე ერთი კვირის განმავლობაში იდგმებოდა, შემდეგ კი რომში — ელისეის თეატრში გადაინაცვლა.

როგორც ნეაპოლში, ისე რომში ამ კომედიამ კვლავ დიდი აღიარება მოუტანა ხელოვანს.

## სალაღობო სტრიქონები

●

— ახლანდელ ქალიშვილებს წარმოდგენა არა გაქვთ, რისთვის არის საჭირო ნემსი, — უსაყვედურა გიზელას ბებიამ.

— როგორ არა, ბებია, ნემსი რადიოლასათვისაა.

●

— ჩემი მძღოლის მოხსნა მომიწევს, — უთხრა ცოლს ფირმის დირექტორმა, — მისი უყურადღებობის გამო კინაღამ ორჯერ დავიღუპე.

— ერთხელ კიდევ მიეცი საშუალება, ძვირფასო, — უთხრა ცოლმა.

●

კინომსახიობ ქალს არ მოეწონა ფოტოსტუდიაში დამზადებული თავისი პორტრეტი და ფოტოგრაფს უსაყვედურა:

— წინათ გადაღებული სურათი გაცილებით უკეთესი იყო.

— მართალი ბრძანდებით, — მიუგო ფოტოგრაფმა, — მაგრამ მხედველობაში იქონიეთ, რომ მე მაშინ რვა წლით ახალგაზრდა ვიყავი.

●

— მართა, შენ ამოიღე მუდმივი კალმისტარი ჩემი ჯიბიდან? — ჰკითხა ქმარმა.

— არა, ოტო, ჯერ ერთი, შენს ჯიბეებს არასოდეს არ ვჩხრიკავ, მეორეც ის, რომ ჯიბე გახვრეტილი გაქვს.

●

ორი კვირა ისე არ გაივლის, მე და თომა რომ არ წავკინკლავდეთ, — უთხრა მეგობარმა ქალმა ელზას.

— ჩვენ ასე ხშირად არა... ჩემი ქმარი თვეში ერთხელ იღებს ხელფასს, — მიუგო ელზამ.

●

ვაჟი: რას იფიქრებდით ჩემზე ჰაეროვანი კოცნა რომ გამომეგზავნა?

ქალი: რომ თქვენ უაღრესად ზარმაცი ბრძანდებით.

●

— დაიფიცებ, ძვირფასო, რომ შენი პირველი სიყვარული მე ვარ?

— რა თქმა უნდა, მაგრამ რატომ კითხულობთ ხოლმე მამაკაცები ყოველთვის ერთსა და იგივეს?

●

— ვერ გამიგია, რატომ მისთხოვდა ელენე თავის მაგინებელ კრიტიკოსს.

— გადაწყვიტა, შური იძიოს.

●

— ძვირფასო, მე მხოლოდ შენთვის ვითამაშებ, — უთხრა სატრფოს ახალგაზრდა მსახიობმა.

— მაგრამ, ალბათ, სხვებიც დაესწრებიან, ჰანს, — მიუგო მან.

●

შვეიცარიის გამძლე ქმრების საზოგადოების წევრებს, ვისაც ქორწინების ოცდახუთ წელზე მეტი სტაჟი აქვთ, კითხვით მიმართეს უცოლო მამაკაცებმა:

— რომელი ქალები არიან უფრო ცრთგულნი: ქერა, შავგვრემანი თუ წითური?!

— ჭაღარა! — მიუგეს ერთხმად.

●

— სასტიკად ვღელავ. ასეთ ცუდ ამინდში ცოლი ქალაქში წავიდა.

— არა უშავს, რომელიმე უნივერმაღს შეაფარებს თავს.

— სწორედ ეგ მაღელვებს.

გერმანულიდან თარგმნა
შ. ამირანაშვილმა

განვაცხადებ, ფული მომპარეს-მეთქი. თუკი ჩემს სტუმარს არ აღმოაჩნდებოდა საკმარისი თანხა, ისღა მიშველიდა, გირაოში დამეტოვებინა საათი და მეთქვა, რომ მოგვიანებით შემოვივლიდი და გადავიხდიდი.

სატაცურიც მოიტანეს — უზარმაზარი და მადისაღმძვრელი. მცენარეული ზეთის სუნი ნესტოებს მიღიზიანებდა თვალს არ ვაშორებდი ქალს. მან პირისაკენ გააქანა სატაცური, მე დახვეწილ მანერებით დავიწყე ლაპარაკი ბალკანეთში მომხდარ დრამაზე. მალე სატაცურის ხსენებაც კი აღარ იყო.

— ყავა? — ვკითხე.

— ჰო, ყავა და ნაღების ნაყინი! — მიპასუხა.

ახლა უკვე ყველაფერი სულ ერთი იყო. შევუკვეთე ორი ყავა და ნაღების ნაყინი.

— ჩემი აზრით, — შენიშნა მან, — ისე უნდა ვდგებოდეთ სუფრიდან, გვქონდეს ისეთი გრძნობა, რომ კიდევ ცოტაოდენის მირთმევა შეგვიძლია.

მერე უეცრად საშინელება დატრიალდა. სანამ ყავას ველოდით, საზიზღარი სახის უფროსი ოფიციანტი ყალბი ღიმილით მოგვიახლოვდა და ატმებით სავსე დიდი კალათა მოგვართვა. ატამი სულაც არ იყო სეზონური ხილი, ღმერთმა იცის, რა ღირდა, მე ეს ცოტა მოგვიანებით გავიგე. ჩემს სტუმარს ენა არ გაუჩერებია ისე, ერთი ცალი აიღო.

— თქვენ ხომ კუჭი ცარიელი ხორცით გაიტენეთ და ამიტომ მეტს ვერაფერს მიირთმევთ, — მითხრა, — მე კი მხოლოდ ვისაუზმე და ამიტომ შემიძლია ატმით შევიქციო თავი.

ანგარიში მოგვიტანეს და როცა გადავიხადე, აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ხურდაღა დამრჩენოდა. ოფიციანტისათვის დატოვებულ სამ ფრანკზე შეჩერებულ მის მზერაზე მივხვდი, რომ წუწურაქად ჩამთვალა. რესტორნიდან გამოსულმა აშკარად ვიცოდი, რომ თითქმის მთელი თვე ჯიბეგახვრეტილს უნდა მეცხოვრა.

— ჩემგან აიღეთ მაგალითი, — მითხრა მან, — საუზმის დროს ერთ თავზე მეტ კერძს ნურასოდეს შეჭამთ!

— მე უფრო კარგად მოვიქცევი, — ვუპასუხე, — დღეს საერთოდ აღარ ვისადილებ!

— იუმორისტი! — წამოიძახა, — თქვენ ნამდვილი იუმორისტი ხართ!

მაგრამ დღეს ხომ მოვიფხანე გული — იგი ახლა ას ოცდაათ კილოგრამზე მეტს იწონის.

თარგმნა ვასილ მჭედლიშვილმა

# 1977-შესარჩევი წელი

მსოფლიოს X ჩემპიონატის შემდეგ ისე სწრაფად გაირბინა სამმა წელმა, თითქოს გუშინ იყო მიუნხენის გრანდიოზული ბატალიები, რომლებმაც საყოველთაო აღიარება მოუტანეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ჰოლანდიისა და პოლონეთის ფეხბურთელებს, ხოლო იმედის სრული გაცრუება ადრინდელ კერპებს — ბრაზილიელებს.

და აი ფეხბურთის სამყარო კვლავ ამოძრავდა. თუ აქამდე წინა პლანზე იყვნენ ეროვნული ჩემპიონატები, ახლა მათ უკან დაიხიეს და პირველი ადგილი მსოფლიო პირველობის შესარჩევ მატჩებს დაუთმეს. სპორტული პრესის ძირითადი ყურადღებაც სწორედ ამ შესარჩევ მატჩებზე გადავიდა. და განა მარტო სპორტულის?!

მართალია, არის ორი გუნდი, რომელსაც ეს შესარჩევი შეჯიბრებები ნაკლებად აინტერესებს. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებს (როგორც მსოფლიო ჩემპიონს) და არგენტინელებს (როგორც მომავალ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ნაწილის მასპინძლებს) უკვე აქვთ ფინალის საგზურები. მათ შეუძლიათ 1977 წელი შედარებით მშვიდად გაატარონ, ემზადონ ფინალისათვის და თანაც „ცალი თვალით" თვალყური ადევნონ, რა ხდება შესარჩევ ჯგუფებში. კარგა ხანია ცნობილია, რომ როგორც გერმანელებმა, ისე არგენტინელებმა ასეთი მზადება დაიწყეს.

მსოფლიო ჩემპიონების — გფრ-ის ფეხბურთელების მწვრთნელმა ჰელმუტ შიონმა მზადება დაიწყო განცხადებით, რომ მისთვის მსოფლიო ჩემპიონატი უკანასკნელი იქნება, ასე ვთქვათ, ახლავე შეიტანა გადადგომის განცხადება... 1978 წლისათვის. შიონს ადრე კიდევაც ჰქონდა გადადგომის საფუძველი. მოიპოვეს თუ არა მსოფლიო ჩემპიონობა (1974 წლის ზაფხულში), გერმანელებს დაეწყოთ ხანგრძლივი კრიზისი, რაც რამდენიმე მიზეზით იყო განპირობებული. უპირველეს ყოვლისა, გუნდი აშკარად გადაიღალა, შემდეგ — რამდენიმე მოთამაშე (მიულერი, ოვერატი, გრაბოვსკი) მას საბოლოოდ გამოეთხოვა. ერთ მათგანს, 32 წლის განთქმულ სნაიპერ გერდ მიულერს შიონი დღესაც მისტირის. უცხოეთში გადაჯიდნენ და ნაკრებისათვის დაკარგული აღმოჩნდნენ ნეცერი და ბრაიტნერი. ამასთან ვეტერანების ჯგუფს, რომელიც ნაკრებში დარჩა, თანდათანობით შეცვლა დასჭირდა. როგორც ვხედავთ, შიონის წინაშე მრავალი პრობლემა დადგა, გუნდი ზედიზედ აგებდა ამხანაგურ მატჩებს და ბევრ მიმომხილველს ისიც კი გაუკვირდა, რომ ესოდენ „დაჩაჩანაკებული" გუნდი ევროპის 1976 წლის ჩემპიონატის ფინალში მოხვდა. ამ მომენტისათვის უკვე ორმა წელმა განვლო მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრებიდან. მაგრამ სწორედ ევროპის ჩემპიონატის ფინალმა გვიჩვენა, რომ იწყებოდა აღმავლობა გფრ-ს ნაკრებში.

თქმა არ უნდა, არგენტინის ნაკრების თამაში მსოფლიოს წინა ჩემპიონატში სავსებით უფერული იყო. მაგრამ ახლა თვით არგენტინელები არიან შეჯიბრების მასპინძლები, მასპინძლები კი ამგვარ შეჯიბრებებში ყოველთვის წარმატებით თამაშობენ; ასეთია მსოფლიო ჩემპიონატების ტრადიცია. ეს, ცხადია, იმას როდი ნიშნავს, რომ არგენტინელებს შეუძლიათ გულხელდაკრეფილნი იყვნენ და უცადონ, როდის გადასცემენ მათ მედლებს. ნაკრების ახალი მწვრთნელი სესარ ლუის მენოტი ძალზე ენერგიულად საქმიანობს, უპირველეს ყოვლისა, მან გამოაცხადა 40 საუკეთესო ფეხბურთელის გვარი, რომელთაც უცხოეთში გადასვლა ეკრძალებათ, სანამ მსოფლიო ჩემპიონატი არ დამთავრდება. არგენტინის პირობებში ეს აუცილებელი ღონისძიებაა, რადგან არც ერთი ქვეყნიდან არ წარმოებს ფეხბურთელთა ისეთი ექსპორტი, როგორც არგენტინიდან.

არის ერთი გუნდი, რომელიც ხან მსოფლიო ჩემპიონია, ხან საერთოდ, პრიზის გარეშე რჩება, მაგრამ ფეხბურთის სამყაროში მაინც განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობს. ცხადია, ლაპარაკია ბრაზილიელებზე, რომლებიც ახლა იძულებულნი არიან მონაწილეობა მიიღონ შესარჩევ თამაშებში. სპეციალისტების აზრით, ეს შესარჩევი მატჩები მათთვის ფორმალობა იქნება და ასე ვთქვათ, ბრაზილიელებს ფინალის საგზური დაჯავშნული ექნებათ. ასეა თუ ისე, ბრაზილიელებმა დაიწყეს ინტენსიური მზადება; რათა ნაკრებს მეტი ავტორიტეტი ჰქონდეს, მთავარმა მწვრთნელმა ოსვალდო ბრანდაომ თანაშემწედ მიიწვია ლეგენდარული პელე, რომელიც დღესაც განაგრძობს თამაშს ნიუ-იორკის „კოსმოსში". ამასთან ბრანდაოს ჰყავს „ახალი პელეც" — ცენტრალური თავდამსხმელი ზიკო, რომელმაც მისი აზრით, 1978 წელს ისე უნდა ითამაშოს, როგორც პელემ შვეციაში 1958 წელს. ბრანდაო მარტო არ არის, ახლა ბევრი ექსპერტი ზიკოს, მართლაც, განსაკუთრებით ნიჭიერ ფეხბურთელად სთვლის.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველას როდი მოსწონს ბრანდაოს მეთოდები. ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა, ცნობილმა ტელეკომენტატორმა ჟოაო სალდანიამ განაცხადა რომ მისთვის გაუგებარია კურსის აღება მაინცდამაინც ტანმაღალ ფეხბურთელებზე — „პელე, ტოსტაო, ჟაირზინიო და რიველინო სულაც არ იყვნენ ტანმაღალნი. ჩვენ ფეხბურთს ვთამაშობთ და არა კალათბურთს".

სანამ ბრაზილიაში ინტენსიური მზადება და ამასთანავე კამათიც გრძელდება, გადავხედოთ რა ხდება ევროპულ შესარჩევ ჯგუფებში.

პირველ ჯგუფში (პოლონეთი, პორტუგალია, დანია, კვიპროსი) მატჩების უმეტესობა ჯერ კიდევ ჩასატარებელია, მაგრამ მეტად ხელსაყრელი ვითარება შეექმნა პოლონეთის ნაკრებს, რომელსაც ახლა ახალგაზრდა სპეციალისტი გმოხი წვრთნის.

მეორე ჯგუფში (იტალია, ინგლისი, ფინეთი, ლუქსემბურგი) ყველაფერი დამოკიდებულია იტალიელებისა და ინგლისელების შეხვედრაზე. იტალიელებმა რომში სძლიეს( 2:0) ინგლისელებს, მაგრამ ახლა უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მატჩ-რევანშს ლონდონში, რომელიც 16 ნოემბერს გაიმართება.

მესამე ჯგუფიდან (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ავსტრია, თურქეთი, მალტა), უნდა ვიფიქროთ, ფინალში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდი გავა.

მეოთხე ჯგუფში (ჰოლანდია, ბელგია, ჩრდ. ირლანდია, ირლანდია) დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი ჰოლანდიელებსა და ბელგიელებს შორის.

მეხუთე ჯგუფი (საფრანგეთი, ბულგარეთი, ირლანდია) ამჯერად უპირატესობას ფრანგებს მიაკუთვნებენ. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ფრანგი ფეხბურთელები ძველი ტრადიციის თანახმად, სადილობისას თითო ბოთლ ღვინოს სვამდნენ. ისინი მხოლოდ რუმინელმა მწვრთნელმა სტეფან კოვაჩმა გადააჩვია ამ ტრადიციას.

მეექვსე ჯგუფიდან (შვეცია, ნორვეგია, შვეიცარია) ფინალის საგზურები თითქმის გარანტირებული აქვთ შვედებს.

მეშვიდე ჯგუფი (ჩეხოსლოვაკია შოტლანდია, უელსი) წინაზე გაცილებით უფრო ძლიერია; ევროპის ჩემპიონები, რომლებიც ორწელიწადნახევრის მანძილზე (!) დამარცხებულები იყვნენ, ახლა შეუპოვრად ებრძვიან ბრიტანულ ფეხბურთის ორ წარმომადგენელს და სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ საგზურებიც სწორედ მათ უნდა დარჩეთ.

მერვე ჯგუფში (ესპანეთში, იუგოსლავია, რუმინეთი) მთელი ბრძოლა ჯერ კიდევ წინაა.

მეცხრე ჯგუფში (საბჭოთა კავშირი, უნგრეთი, საბერძნეთი) დღემდე ასევე ერთადერთი მატჩია ნათამაშევი (საბერძნეთი — უნგრეთი, 1:1). ეს შეხვედრა ათენში გაიმართა და მისი შედეგით ერთნაირად უკმაყოფილო დარჩა როგორც საბერძნეთის, ისე უნგრეთის ნაკრებთა ხელმძღვანელები. ლაკის პეტროპულოსი (იგი საბერძნეთის ყველა ნაკრების საერთო ხელმძღვანელია) მიიჩნევდა, რომ საკუთარ მინდორზე ფრე ფაქტიურად დამარცხებაა, ლაიოშ ბაროტი კი აღნიშნავდა თავისი გუნდის ტექნიკურ და ტაქტიკურ უპირატესობას.

ერთი რამ ცხადია — ამჯერად საბჭოთა ფეხბურთელებს სერიოზული მეტოქეები ჰყავთ. უნგრეთის ნაკრებს ადრე ხანგრძლივი კრიზისი ჰქონდა მას არ უთამაშია მსოფლიოს ორ უკანასკნელ ჩემპიონატში, მაგრამ ახლა ვითარება შეიცვალა. 1976 წლის მთელი სეზონის განმავლობაში უნგრელებს დამარცხება არ უგემიათ. გუნდი გადახალისდა, გაახალგაზრდავდა და შესამჩნევად მომძლავრდა .მას უდავოდ არგო ძველი, მრავალნაცადი სპეციალისტის ბაროტის დაბრუნებამ. რაც შეეხება ბერძნებს, მათ ძალაზე უდავოდ მეტყველებს თუნდაც საკლუბო ფეხბურთის მიღწევები. ათენის აეკი, რომელმაც ბრძოლიდან გამოთიშა მოსკოვის „დინამო", უეფას თასის გათამაშებაში წარმატებას წარმატებაზე აღწევს და ახლა მეოთხედფინალში გამოსვლა მოელის.

ყოველივე ამის მიუხედავად, ფეხბურთის ექსპერტები საბჭოთა ნაკრებს მაინც ანიჭებენ უპირატესობას უნგრელებთან და ბერძნებთან შედარებით.

საცაა გუნდები კვლავ გამოვლენ მინდორზე და განაახლებენ ბრძოლას.

არგენტინისაკენ ხომ „ვიწრო გზა" მიდის.

გივი გამრეკელი

## ფეხბურთის ამბები

☐

ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ყველა ფინალური მატჩი მხოლოდ ესპანეთში დამზადებული ბურთებით ჩატარდა.

ეს ბურთები სარაგოსის პროვინციის პატარა ქალაქ კასპეში დაამზადეს ფეხბურთის მოყვარულმა ხელოსნებმა.

☐

ფეხბურთის ისტორიაში მხოლოდ ოთხი მოთამაშე მონაწილეობდა ოთხჯერ მსოფლიო ჩემპიონატებში.

ესენი არიან: ენრიკო ალებერტოსი და ჯან რივერა (იტალია), დობრომინ ჟეჩევი (ბულგარეთი), ლუის კუბილა (ურაგვაი).

☐

მსოფლიო ჩემპიონატების ფინალებში ყველაზე „ხნოვანი" იყო ურაგვაის გუნდი, რომლის მოთამაშეთა საშუალო ხნოვანება 29 წელს აღემატებოდა.

☐

ყველაზე ახალგაზრდული გუნდი ბულგარელებმა გამოიყვანეს. ფეხბურთელთა საშუალო ხნოვანება ამ გუნდში 24,9 წელს შეადგენდა.

☐

ნაციონალურ ნაკრებში შეუცვლელი თამაშის რეკორდი დაამყარა დამცველმა ბერნდ ბრანშმა.

მსოფლიოს IX ჩემპიონატზე ბერნდ ბრანშს, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებში ორმოცჯერ გამოვიდა, სამახსოვრო პრიზი გადასცეს.

☐

1970 წელს მექსიკაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებზე 1.678.975 ბილეთი გაიყიდა.

☐

ფეხბურთში მსოფლიოს X ჩემპიონატზე, რომელიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მოეწყო, ყველა თამაშს 1.700.000 მაყურებელი დაესწრო.

☐

ფეხბურთში მსოფლიოს მომდევნო ჩემპიონატი გაიმართება 1978 წელს არგენტინაში, 1982 წელს — ესპანეთში, 1986 წელს — კოლუმბიაში, 1990 წელს მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებაზე პრეტენზიას აცხადებენ იაპონია და იუგოსლავია.

☐

ბრაზილია აპირებს თხოვნით მიმართოს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას, რათა 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი ბრაზილიაში მოეწყოს.



·სპორტი·სპორტი·სპორტი·

# დღეს პირველი აპრილია

1 აპრილი ძველთაგანვე იყო სიცილისა და მხიარული ოინების დღე.

ძველ რომში, ინდოეთსა და სხვა ქვეყნებში 1 აპრილი დღესასწაულის დღედ ითვლებოდა. ამ დღეს ყველა ცდილობდა მახვილგონივრული საუბრით, მხიარული ტყუილებით, ათასგვარი ხრიკებით სიცილი და მხიარულება გაემეფებინა თავის ირგვლივ.

ევროპაში ეს ტრადიცია განსაკუთრებით პოპულარული გახდა XV-XVI საუკუნეებში.

ინგლისელებმა 1 აპრილს „სულელთა დღე“ შეარქვეს. ის, ვინც ამ დღეს რაიმე ტყუილზე შესცდებოდა, სულელის სახელით ინათლებოდა, დაცინვასა და აბუჩად აგდებას იმსახურებდა.

საპირველაპრილო მოტყუებამ განსაკუთრებით დიდი გავრცელება ჰპოვა გასულ საუკუნეში. ამ ხუმრობაში, მეფეებთან და დიდგვაროვან თავადებთან ერთად, გაზეთებიც ჩაერივნენ.

სხვადასხვა ქვეყნების გაზეთები ერთმანეთს ეცილებოდნენ 1 აპრილს მკითხველთა მოტყუებას, ათასგვარი მახვილგონივრული ოინებისა და ყალბი სენსაციური ამბების მოფიქრებას.

ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნდა ცნობა ,რომ უახლოეს ხანში მოსალოდნელია დედამიწაზე მთვარის ჩამოვარდნა. პანიკაში ჩავარდნილი ხალხი მხოლოდ მაშინ დაშოშმინდა, როცა გაზეთმა რამდენიმე დღის შემდეგ აღიარა, რომ მისი ინფორმაცია მხოლოდ საპირველაპრილო ხუმრობა იყო.

1886 წელს გაზეთმა „ციურიხ ცაიტუნგმა“ მკითხველებს აცნობა, რომ ციურიხში საგანგებოდ ჩამოდის რომის პაპი და უწმინდეს მამასთან შესახვედრად მოუწოდა მათ.

რკინ[illegible] სადგურზე თავშეყრილი უამრავი ხალხი ამაოდ ელოდა უწმინდესი მამის ჩამობრძანებას.

1 აპრილს ხუმრობა და ერთმანეთის მოტყუება საქართველოშიც იყო გავრცელებული.

ამის ერთ-ერთი ნათელი დადასტურებაა ხალხური გამოთქმა:

„დღეს პირველი აპრილია,
მოტყუება ადვილია“.

# თითქმის დაუჯერებელი

●

ლიონის მახლობლად ამას წინათ ერმთა მონადირემ საფანტით გატენილი თოფი ესროლა კურდღელს.

მონადირემ ის-ის იყო მიწაზე დადო თოფი, დაიხარა და ბალახში დავარდნილი კურდღლის აღება დააპირა, რომ ყურცქვიტა წამოხტა, ჩახმახს გამოჰკრა ფეხი და თოფმა იგრიალა.

ფეხში დაჭრილი მონადირე სწორედ იმ ადგილზე დაეცა, სადაც მანამდე კურდღელი ეგდო.

●

ამერიკელმა ესტრადის მომღერალმა ტემი ვაინანტმა დიდი პოპულარობა მოიხვეჭა ერთ-ერთი მოდური სიმღერის მაღალოსტატური შესრულებით. ამ სიმღერის „გაყრა“ ჰქვია.

აღსანიშნავია, რომ 34 წლის ტემი ვაინანტმა უკვე სამჯერ მოასწრო ქმრებთან გაყრა.

ამას წინათ მომღერალმა ქალმა მეოთხე ქმართან გაყრის საქმე აღძრა სასამართლოში.

●

ფლორიდის შტატის (აშშ) ერთ-ერთ სკოლაში ლიტერატურისა და მათემატიკის მასწავლებლების ვაკანტურ ადგილებზე დიდი კონკურსი მოეწყო.

კონკურსზე გამოირკვა, რომ ზოგიერთი მასწავლებლის ცოდნის დონე გაცილებით უფრო დაბალია... მერვე კლასის წარჩინებული მოსწავლეების ცოდნაზე.

●

ლოს-ანჟელოსის საბაჟოს თანამშრომელი ამას წინათ ავსტრალიიდან თვითმფრინავით გამოგზავნილ ბარგს ათვალიერებდა. გახსნილი ამანათიდან მოულოდნელად ამოხტა გველი.

მთელს მსოფლიოში ერთ-ერთმა ყველაზე შხამიანმა ავსტრალიური ჯიშის უზარმაზარმა გველმა საბაჟოს მოხელე რამდენიმე წუთში გამოასალმა სიცოცხლეს.

ეს გველი, როგორც შემდეგ გამოირკვა, კონდრაბანდისტებმა თურმე წინასწარ შეთანხმებულ პირთან მისაყიდად გამოგზავნეს.

●

ინგლისში თავისებური რეკორდი დაამყარა ერთ-ერთმა საავადმყოფომ. ამ საავადმყოფოში დასაწოლად რიგში დგას... სამი ათასზე მეტი ავადმყოფი.

●

ამერიკელი სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ შინაური პირუტყვის საკვებში შეიძლება შევურიოთ 15 პროცენტი... მუხის ნახერხი.

მათი მტკიცებით, ძროხები აგრეთვე სიამოვნებით შეექცევიან... ქაღალდის მრეწველობის ნარჩენებსაც.

●

მექსიკაში ამჟამად მოქმედებს კანონი, რომლის მიხედვით ვირის ყოველი მფლობელი მოვალეა ჩააბაროს გამოცდები... ქუჩაში მოძრაობის წესებზე.

მოწმობის მისაღებად სახედრის პატრონმა პოლიციაში უნდა წარადგინოს თავისი ექვსი და ვირის ორი ფოტოსურათი.

●

ამერიკის შეერთებულ შტატებში უკანასკნელ ხანებში ფართოდ გავრცელდა აგრეთვე ძვირფასი ფრინველების კონტრაბანდა.

ქალაქ ლარედოში ამას წინათ დააკავეს კონტრაბანდისტები, რომლებსაც კალათებში თუთიყუშები ჰყავდათ გადამალული.

ყველა თუთიყუში ალკოჰოლითა და სხვადასხვა ნარკოტიკებით იყო გაბრუებული.

●

„მამაკაცებისა და მამების დაცვის მოძრაობა“, ასე ეწოდება პარიზში შექმნილ ერთ-ერთ ახალ ორგანიზაციას.

ორგანიზაციის ხელმძღვანელები აცხადებენ, რომ მამაკაცები ქალებთან შედარებით მორალურად უფრო მგრძნობიარენი არიან და დიდი ხელშეწყობა სჭირდებათ.

ისინი მოითხოვენ ალიმენტის კანონის გაუქმებას და მამაკაცებისათვის სხვა პრივილეგიების მინიჭებას.

# ლალი მიქავა

ლალი მიქავა, ახალგაზრდა ნიჭიერი პიანისტი ქალი, ქართული საფორტეპიანო მუსიკის დაუცხრომელი პროპაგანდისტი და ენთუზიასტია. იგი წარმატებით გამოდის საბჭოთა კავშირის სხვადსხვა ქალაქებში და აგრეთვე უცხოეთშიც საინტერესო და მრავალფეროვანი პროგრამით, რომელიც მოიცავს, როგორც კლასიკური მუსიკის თვალსაჩინო ნიმუშებს, ისე საბჭოთა კომპოზიტორების და განსაკუთრებით ქართველი ავტორების ქმნილებებს: ბახი, მოცარტი, ბეთხოვენი, შუმანი, შოპენი, პროკოფიევი, შოსტაკოვიჩი, შჩედრინი — მისთვის საყვარელი კომპოზიტორებია. ამასწინათ საკავშირო ფირმა „მელოდიამ“ გამოუშვა ლალი მიქავას ორი საკუთარი ფირფიტა, რომლებშიც ჩაწერილია ვივალდი-ბახის ოთხი კონცერტი კლავირისათვის სოლოს შესრულებით და აგრეთვე ქართველი კომპოზიტორების ზ. ფალიაშვილის, ა. მაჭავარიანის, ო. თაქთაქიშვილის, ო. გორდელის, ნ. მამისაშვილისა და რ. გაბიჩვაძის საფორტეპიანო ნაწარმოებები.

ლალი მიქავას აქვს შესრულების „საკუთარი“ ხელწერა და მისი არტისტული ინდივიდუალობისათვის დამახასიათებელია რომანტიკული განწყობილება, ამაღლებული პათოსი. იგი აგრეთვე მრავალი ქართული საფორტეპიანო ნაწარმოების პირველი შემსრულებელია, მათი პირველი ინტერპრეტატორი.

ვუსურვოთ ახალგაზრდა ნიჭიერ შემსრულებელს ლალი მიქავას შემდგომი შემოქმედებითი წარმატებები.

**რევაზ გაბიჩვაძე**
კომპოზიტორი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.

„დროშა“ № 3 გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

**ჰორიზონტალურად:** 4. პლისეცკაია; 7. ურჩი; 8. რიდე; 9. პალაცო; 10. მანდილი; 11. ვოინიჩი; 12. აბაშელი; 15. დინამიკი; 17. ამირანაშვილი; 20. ბოროდინი; 22. ასათიანი; 24. მანიანი; 26. ცეტკინი; 28. ლეჩაქი; 29. ბიეშუ; 30. კვერი; 31. იანქოშვილი.

**ვერტიკალურად:** 1. პილპილი; 2. ლანოვოი; 3. მუშამბა; 4. პიკი; 5. არსი; 6. მენჩიკი; 13. კიაზო; 14. აბაზი; 15. დაშნა; 16. მაისი; 18. მორავია; 19. ანანური; 21. ნაილონი; 23. სიცილია; 25. ანუი; 27. ტუკი.

გარეკანის პირველ გვერდზე: ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალში.

გადაეცა წარმოებას 5/III-77 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/IV-77 წ., ქაღალდის ზომა 70×108[1]/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 8,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9. ტირაჟი 50.900. შეკვ. 829. უე 00668. ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

რედაქციის მისამართი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66,
პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ლალი მიქავა

თარხან არჩვაძის ფოტო



ქუთაისი.

თარხან არჩვაძის ფოტო

ИНДЕКС 76056

ეროვნული ბიბლიოთეკა